

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## მედიცინის ფაკულტეტი

მამუკა გურგენიძე

მინიონგაზიური ტექნოლოგიები ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი

გართულებების მკურნალობაში

(მულტიცენტრული, რეტროსპექტული კვლევა)

## დისერტაცია

მედიცინის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

- სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ზურაბ ბერიაშვილი  
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

მერაბ კილაძე



## სარჩევი

<b>1.</b>	<b>შესავალი</b>	
1.1	თემის აქტუალობა	3
1.2	კვლევის მიზანი და ამოცანები	6
1.3	მეცნიერული სიახლე	8
1.4	პრაქტიკული დირებულება	9
1.5	დასაცავად გამოტანილი ძირითადი დებულებები	10
<b>2.</b>	<b>ლიტერატურის მიმოხილვა</b>	<b>11</b>
<b>3.</b>	<b>მასალა და კვლევის მეთოდები</b>	<b>67</b>
3.1	საკვლევი ჯგუფების ავადმყოფთა მახასიათებლები	67
3.2	ოპერაციისწინა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები	91
3.3	ლაპაროსკოპიული და მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომიის მეთოდიკა და ტექნიკა	92
<b>4.</b>	<b>შედეგები</b>	<b>97</b>
4.1	ინტრაოპერაციული მაჩვენებლები	98
4.2	პოსტოპერაციული მაჩვენებლები	114
<b>5.</b>	<b>დისკუსია</b>	<b>130</b>
<b>6.</b>	<b>დასკვნები</b>	<b>138</b>
<b>7.</b>	<b>ლიტერატურის ჩამონათვალი</b>	<b>142</b>

## 1. შესავალი

### 1.1 თემის აქტუალობა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მთელს მსოფლიოში ნაღვლკენჭოვანი დაავადების სიხშირემ მკვეთრად მოიმატა და კვლავ აქვს ზრდის ტენდენცია. შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ნაღვლკენჭოვანი დაავადების ე.წ. “ჩუმ ეპიდემიასთან”. აშშ-ის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მონაცემებით იგი მსოფლიოს მოზრდილი მოსახლეობის 10–15%-ს აღენიშნება [1, 11, 13]. ა.შ.შ.-ში ქოლელითიაზით დაავადებულთა რიცხვი 30 მილიონ ადამიანს აჭარბებს, ხოლო ყოველ წელს ეს დაავადება მილიონზე მეტ ადამიანს უვითარდება [89, 377, 413]. აშშ-ში წელიწადში კეთდება 750,000-ზე მეტი, დიდ ბრიტანეთში – 50,000, ხოლო ნიდერლანდებში – 21,000 ქოლეცისტექტომია, რაც ადასტურებს, რომ ქოლელითიაზი არის საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემა [89, 196, 245, 337, 377]. დადგენილია, რომ ადამიანის სიცოცხლის ყოველ მომდევნო ათწლეულში მატულობს აღნიშნული დაავადების სიხშირე და 60-70 წლის ასაკში იგი მოსახლეობის 30-40%-ში გვხვდება [13, 27, 337]. ამასთან, თუკი ზოგადად, ქალებში აღნიშნული დაავადება გვხვდება 2-3-ჯერ უფრო ხშირად, ასაკის მატებასთან ერთად ეს განსხვავება მეტ-ნაკლებად ნიველირდება [27]. ნაღვლკენჭოვანი დაავადება მხოლოდ 1-4%-ში მიმდინარეობს ასიმპტომურად [11]. საყურადღებოა მწვავე ქოლეცისტიტების რიცხვის ზრდა, რაც მოხდა უპირატესად მათი დესტრუქციული ფორმების რაოდენობის მატების ხარჯზე. ეს ტენდენცია განსაკუთრებით პრობლემურია ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებს შორის [7, 70, 377]. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნაღვლკენჭოვანი დაავადება არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაცაა, განსაკუთრებით, ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყნებისათვის. შედეგად, მეტად აქტუალურია დესტრუქციული ქოლეცისტიტების მკურნალობის პრობლემა, განსაკუთრებით მაღალი ოპერაციული რისკის მქონე ჯგუფებისათვის, რომელთაც განეკუთვნება ხანშიშესული და მოხუცი პაციენტები. მათ შორის პოსტოპერაციული ლეტალობა 15-25%-ს აღწევს [11, 27, 37, 196, 252, 298, 332, 377, 412, 413].

ნაღვლკენჭოვანი დაავადების მკურნალობის ერთადერთი პათოგენეზურად დასაბუთებული ძირითადი და რადიკალური მეთოდი დღემდე ოპერაციულია. ტრადიციული ქირურგიული მეთოდი, რომელიც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულამდე რჩებოდა მკურნალობის “არჩევის ოპერაციად”, ხასიათდება მნიშვნელოვანი ტრაგმულობით, რაც ხშირად ხდება სხვადასხვა გართულებების განვითარებისა და ლეტალობის შედარებით მაღალი მაჩვენებლის მიზეზი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი შეიქნა მკურნალობის უფრო ეფექტური გზების ძიება, რაც აისახა მინიონვაზიური ტექნოლოგიების დანერგვასა და მსოფლიოს მასშტაბით ფართოდ და სწრაფად გავრცელებაში.

დღეისათვის მრავალი კვლევაა ჩატარებული ნაღვლკენჭოვანი დაავადების ოპერაციული მკურნალობის მეთოდების შესახებ და ყველა მათგანი უპირატესობას, ტრადიციულ დია მეთოდთან შედარებით, მინიონვაზიურ ჩარევას ანიჭებს. თუმცა ნათლად არაა ჩამოყალიბებული ორი მინიონვაზიური (ლაპაროსკოპია, მინილაპაროგომია) ოპერაციული ტექნიკის არჩევის ერთმნიშვნელოვანი რეკომენდაციები პაციენტთა ასაკის, ნაღვლკენჭოვანი დაავადებების სხვადასხვა სიმძიმის გართულებების, თანმხლები დაავადებების გათვალისწინებით. მკურნალობის მეთოდი ყოველი კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში დამოკიდებულია დაავადების ფორმასა და ხანგრძლივობაზე, ავადმყოფის ზოგად მდგომარეობაზე, თანმხლებ დაავადებათა არსებობაზე. საჭირო ხდება არჩევანის გაპეოება მკურნალობის სხვადასხვა მეთოდს შორის, რომლებიც გამოირჩევიან როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებით. საყოველთაოდაა ცნობილი მინიონვაზიურ ჩარევათა უპირატესობანი. აღნიშნული მეტად აქტუალურს ხდის ნაკლებტრაგმულ ოპერაციულ მიღომათა გარიანტების ძიებას ქირურგიული ჩარევის ადექვატურობის შენარჩუნებით.

ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია (ლქ) ითვლება ქირურგიის ერთერთ მნიშვნელოვან მიღწევად XX საუკუნეში. ვიდეოენდოსკოპიური ტექნიკის შემოღების, სპეციალური ინსტრუმენტების შექმნისა და დანერგვის შემდეგ დაიწყო ლაპაროსკოპიული ტექნოლოგიის უსწრაფესი დანერგვა პრაქტიკაში. დღეისათვის მსოფლიოში გაკეთებულია ათეულ ათასობით ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, დაზუსტებულია ჩვენებები და უკუჩვენებები, შესწავლილია მოსალოდნელი

გართულებები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ქოლეცისტექტომიათა 70 – 90% კეთდება ლაპაროსკოპიულად, ხოლო მათი მესამედი მოდის მწვავე შემთხვევებზე [196]. სამწუხაროდ, ლქ-ის ფართოდ გავრცელებასთან ერთად გამოვლინდა ამ მეთოდისათვის სპეციფიური გართულებების ზრდის ტენდენცია ტრადიციულ ქოლეცისტექტომიასთან შედარებით [10, 11, 43, 58, 89, 106, 166, 172, 196, 264, 301, 304, 406, 413, 471].

დღემდე, ჯერ კიდევ მცირე ყურადღება ექცევა სხვა მინინვაზიურ ჩარევას – მინილაპაროტომიულ ქოლეცისტექტომიას (მქ), მიუხედავადი იმისა, რომ აღნიშნულ მეთოდს აქვს გარკვეული უპირატესობები ტრადიციულ და ლაპაროსკოპიულ ქოლეცისტექტომიებთან შედარებით, როგორც სამედიცინო, ასევე ეკონომიკური კუთხით [58, 66, 246, 264, 354, 365, 403, 412].

მრავალწლიანი გამოცდილების დაგროვების შედეგად ნათელი გახდა მინინვაზიური ტექნოლოგიების მნიშვნელობა ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მკურნალობაში, თუმცა კვლავ აქტუალურია სხვადასხვა მინინვაზიურ მეთოდთა შესაძლებლობების შემდგომი, ობიექტური კვლევა ერთმანეთთან მიმართებაში მათი უპირატესობების წარმოსაჩენად. აქტუალურია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაკუთრებით თანმხლები დაავადებებით დამძიმებულ სანშიშესულ და მოხუც პაციენტებში, ასევე, ქოლეცისტიის დესტრუქციული ფორმებით დაავადებულ ავადმყოფებში მკურნალობის ადექვატურობის, რადიკალიზმის, ოპერაციული თუ პოსტოპერაციული გართულებების და სხვა მაჩვენებელთა შეფასება ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისას. მრავალი რანდომიზებული კვლევა ჩატარებული ლქ-სა და მქ-ს შესაბამის შედეგად. თუმცა ჯერ კიდევ არაა ნათლად განსაზღვრული ლქ-სა და მქ-ს უპირატესობა და ნაკლი ერთმანეთთან მიმართებაში, როგორც კლინიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის. შედეგად, აქტუალურია ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მქონე სხვადასხვა სიმძიმის პაციენტთა ქირურგიული მკურნალობის ოპტიმიზაცია.

## 12 კვლევის მიზანი და ამოცანები

შრომის მიზანია მინინვაზიური ჩარევების გამოყენებით ნაღვლკენჭოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება სხვადასხვა რისკის მქონე პაციენტთა ჯგუფებისათვის, ავადმყოფთა ასაკის, ძირითადი თუ თანმხლები დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარდა მულტიცენტრული რეტროსპექტული კვლევა ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მქონე პაციენტებზე, რომელთაც ჩაუტარდათ ლქ და მქ და დასახულ იქნა შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. კვლევაში ჩართული ორი ჯგუფის პაციენტთა შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ა) პაციენტთა სქესი, ასაკი, სხეულის მასის ინდექსი (სმი); ბ) მწვავე და გეგმიური შემთხვევები; გ) მწვავე შემთხვევებში დესტრუქციული ქოლეცისტიტების რაოდენობა; დ) ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში ქოლეცისტიტის სხვადასხვა დესტრუქციული ფორმის (ფლეგმონური, განგრენული) სიჭარბე; ე) საკვლევი ჯგუფის პაციენტთა მიერ გადატანილი დაავადებები და/ან ოპერაციები; ვ) თანმხლები დაავადებების არსებობა და მათი სიმძიმე; ზ) ASA-ს კლასიფიკაციით პაციენტთა გადანაწილება; თ) ძირითადი ანუ ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებათა არსებობა და მათი სიმძიმე. თვითონეული პარამეტრი გაანალიზებული იყო, როგორც მთლიანი საკვლევი ჯგუფებისათვის, ისე მწვავე შემთხვევებისათვის და ასევე ხანშიშესულ და მოხუც პაციენტთა ასაკობრივი ჯგუფებისათვის. შედეგად, გამოიყო ავადმყოფთა სხვადასხვა ოპერაციული რისკის ჯგუფები;
2. ორი მინინვაზიური მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგების ანალიზი. გაანალიზებულ იქნა: ა) დამატებითი ინტრაოპერაციული ჩარევები, მათი რაოდენობა, მოცულობა და მათი შესრულებისას გამოყენებულ კონვერსიათა რაოდენობა; ბ) ინტრაოპერაციული და პოსტოპერაციული გართულებები და მათი სიმძიმე; გ) კონვერსიათა რაოდენობა და მიზეზები; დ) ოპერაციის ხანგრძლივობა; ე) ოპერაციის შემდგომ არანარკოტიკულ და ნარკოტიკულ ანალგეტიკთა გამოყენების საშუალო ხანგრძლივობა მედიკამენტის ჯგუფისა და დღიური დოზის თანაბრობის პირობებში; ვ) ოპერაციის შემდგომ დამატებითი მანიპულაციებისა და განმეორებითი

- ოპერაციული ჩარევების რაოდენობა და მათი მოცულობა; ბ) ოპერაციის შედეგად მიღებულ გართულებათა რაოდენობა და სიმბიმის ხარისხი Clavien-Dindo-ს კლასიფიკაციის მიხედვით; თ) ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა საწოლ-დღეების მიხედვით და რეპოსპიტალიზაციის შემთხვევები ქირურგიული ჩარევიდან 30 დღის განმავლობაში. მოცემული კრიტერიუმები გაანალიზებული იყო როგორც მთელ საკვლევ ჯგუფებში თავმოყრილი პაციენტებისათვის, ისე მწვავე შემთხვევებისათვის და ასევე, ხანშიშესულ და მოხუც პაციენტთა ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
3. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ლაპაროსკოპიული და მინილაპაროტომიული მეთოდების შესაძლებლობების წარმოჩენა ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების ქირურგიულ მკურნალობაში;
  4. ნაღვლკენჭოვანი დაავადების და მისი გართულებების მქონე ავადმყოფთა სხადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ნაკლებადტრავმული, ნაკლებაგრესიული, თუმცა რადიკალური მინიონგაზიური ქირურგიული მკურნალობის ალგორითმის განსაზღვრა.

### 1.3 მეცნიერული სიახლე

შრომაში პირველად:

1. წარმოჩენილ იქნა ლაპაროსკოპიულ და მინილაპაროტომიულ მეთოდთა უპირატესობა და ნაკლი ერთმანეთთან მიმართებაში, მათი შესაძლებლობები ნაღვლკენჭოვანი დააგადებისა და მისი მრავალფეროვანი გართულებების მქონე, ასევე სხვადასხვა თანმხლები დააგადებებით გართულებულ და/ან ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებთან მიმართებაში.
2. გამოვლინდა მაღალი ოპერაციული რისკის მქონე ავადმყოფთა ჯგუფები და მათი მკურნალობის სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდა ქირურგიული მკურნალობის ოპტიმიზაცია.
3. შემუშავებულ იქნა სხვადასხვა მინიონვაზიური მეთოდით ნაღვლკენჭოვანი დააგადებისა და მისი გართულებების მქონე პაციენტების ქირურგიული მკურნალობის ალგორითმი ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის რეალიების გათვალისწინებით.

#### 1.4 პრაქტიკული ღირებულება

1. შრომაში შემუშავდა რიგი რეკომენდაციები ნაღვლენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მქონე სხვადასხვა სიმძიმის ავადმყოფების ადექვატური, ეფექტური, ნაკლებტრაგმული, ხელმისაწვდომი და ამავე დროს რადიკალური ქირურგიული მკურნალობისათვის.
2. შრომის შედეგად წარმოჩინდა, რომ მინილაპაროტომიული მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს ლაპაროსკოპიული მეთოდის სრულფასოვან ალტერნატივად, გარკვეულ შემთხვევებში კი ე.წ. “არჩევის ოპერაციად”, რაც გვაძლევს საშუალებას ჩარევა კაწარმოოთ მინიონგაზიურად.
3. პრაქტიკოსი ქირურგისათვის ლაპაროსკოპიული ტექნიკის დახვეწათან შედარებით მინილაპაროტომიული მეთოდის ათვისების სიმარტივე, ასევე მისი თვითდირებულებისა და ექსალოატაციის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმცირე მეტად აქტუალურს ხდის მინილაპაროტომიას, განსაკუთრებით, შედარებით დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყნებისათვის.
4. მინილაპაროტომიისას პერიტონეუმის ღრუს რევიზიის, სანაციის, ექსუდატის ასპირაციის და ადექვატური დრენირების ჩვენს მიერ მოწოდებული მეთოდი მარტივი და იაფია. შესაბამისად, მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ქალაქის, ასევე რეგიონების კლინიკებში.

## 1.5 დასაცავად გამოტანილი ძირითადი დებულებები

1. ნადვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მქონე პაციენტთა ოპერაციული მკურნალობის სხვადასხვა რისკის ჯგუფების გამოყოფით და მათვის ოპტიმალური მინიმაზიური მეთოდის შერჩევით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ რიგი ინტრა- და პოსტოპერაციული გართულებები, ოპერაციის ადექვატურობის, რადიკალიზმის შენარჩუნებით მივიღოთ მკურნალობის შეძლებისდაგვარად უკეთესი შედეგები.
2. ლაპაროსკოპიულ მეთოდთან ერთად მინილაპაროტომია გვევლინება სრულფასოვან მინიმაზიურ მეთოდად, რომლის დროსაც შესაძლებელია მუცლის ღრუს რევიზია, სანაცია, ადექვატური დრენირება. ამავე დროს, მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია არის მარტივი, უსაფრთხო და იაფი, ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებით დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყნებისათვის. აღნიშნული მეტად აქტუალურია რეგიონული სამედიცინო დაწესებულებებისათვის.
3. გარკვეულ სიტუაციებში მინილაპაროტომიულ მეთოდს აქვს უპირატესობები მთელი რიგი მაჩვენებლებით და გამოყენებადია სიტუაციებში, როცა ლქ უკუნაჩვენებია ან მისი ტექნიკურად შესრულება გაძნელებულია, რაც გვაძლევს მინიმაზიურობის პრინციპის, როგორც იდეის შენარჩუნების საშუალებას.

## 2. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაღვლკენჭოვანი დაავადება დღემდე რჩება საჭმლის მომნელებელი სისტემის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ პრობლემად. აღნიშნული პათოლოგია აქვს თითქმის ყოველ მეცნიერებულ კალსა და მეათე კაცს. ნაღვლკენჭოვანი დაავადება გვხვდება ყველა აუტოფსიის შემთხვევათა 11-დან 36%-ში. მისი ფართოდ გავრცელება მრავალ ისეთ ფაქტორთანაა დაკავშირებული, როგორიცაა ასაკი, სქესი, ეთნიკური კუთვნილება. 60 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის დაახლოებით 1/4-ს და 70 წელზე მეტი ასაკის 1/3-ს აღნიშნება ნაღვლკენჭოვანი დაავადება. ასევე, თუ ნაღვლკენჭოვანი დაავადება 30 წლის ქალების 5%-სა და მამაკაცების 2%-ში გვხვდება, იგივე მაჩვენებელი 55 წლის ქალების 20%-ში, ხოლო მამაკაცების 10%-შია, 70 წლისათვის კი – 30% და 20%-ში, შესაბამისად [64, 89, 101, 103, 106, 143, 146, 337, 377, 446]. ნაღვლკენჭოვანი პათოლოგიით დაავადებულების, განსაკუთრებით კი ხანშიშესული და მოხუცი პაციენტების აბსოლუტური რიცხვის ზრდამ შესაბამისად გამოიწვია ამ დაავადების გართულებული ფორმების რიცხვის გაზრდა. ასაკის გარდა, ამ ნოზოლოგიის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია სიმსუქნე, ორსულობა, კვების თავისებურებები, კრონის დაავადება, წვრილი ნაწლავის ტერმინალური ნაწილის რეზექცია, კუჭზე წარმოებული ოპერაციები, თანდაყოლილი სფეროციტოზი, ნამგლისებრუჯრედოვანი დაავადება, თალასემია. აღნიშნული დაავადებები ზრდიან ქოლელითიაზის განვითარების რისკს. ასევე დადგენილია, რომ დაავადებულთა პირველი რიგის ნათესავებში ორჯერ მეტი სიხშირით გვხვდება ნაღვლის კენჭები [1, 6, 7, 10, 11, 13, 18, 20, 27, 37, 89, 106, 146, 196, 208, 238, 245, 252, 332, 399, 412, 413, 500].

ნაღვლკენჭოვანი დაავადება ძველი დროიდანაა ცნობილი. წარსულის უდიდესმა ექიმმა გალენიუსმა პირველმა აღმოაჩინა ნაღვლოვანი კენჭები გვამების გაპვეთისას. ნაღვლკენჭოვანი დაავადების შესახებ ცნობები გვხვდება აღორძინების ეპოქის ექიმთა ნაშრომებში. ნაღვლოვანი კენჭები აღწერილი აქვთ Gentile de Foligno-ს 1341 წელს, V.Coiter-ს 1573 წელს. J.Fernel-ის მიერ კი (1497-1558) აღწერილ იქნა დაავადების კლინიკა და დადგინდა მისი კავშირი სიყვითლესთან. ნაღვლოვანი კენჭების ქიმიური შემადგენლობის კვლევის პირველი მცდელობა პჟონდა Albrecht von Haller-ს 1755 წელს. 1824 წელს M.E.Chevreul და L.Gmelin ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ნაღვლისაგან გამოყვეს ქოლესტერინი. XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა L.Aschoff-ის

ფუნდამენტური ნაშრომები. მან შეიმუშავა ნივთიერებათა ცვლის დარღვევის თეორია და იგი დაასახელა ქოლელითიაზის წარმოქმნის მიზეზად. მის მიერვეა წარმოდგენილი “შეგუბებითი ნაღვლის ბუშტის” კონცეფცია.

ნაღვლის კენჭები შედგება ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისაგან. მათ შორისაა ქოლესტერინი, ბილირუბინი, ნაღვლის მჟავები, ცილები, გლიკოპროტეიდები, სხვადასხვა სახის მარილები, კალციუმი, ზოგიერთი მიკროელემენტი და ა.შ. რაოდენობრივი თვალსაზრისით ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ქოლესტერინული (კენჭების 80-90%) და პიგმენტური, რომლებიც იყოფიან შავ (კენჭების 10-20%) და ყავისფერ კენჭებად. ეს უკანასკნელი შედგება კალციუმის ბილირუბინატისაგან და უმთავრესად გვხვდება სანაღვლე გზებში. ისინი ხშირად გვხვდებიან სანაღვლე გზებზე ენდოსკოპიური ან ქირურგიული მანიპულაციებიდან გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ. კენჭების უმეტესობა ხშირად შერეული შემადგენლობისაა. როგორც აღინიშნა, კენჭების პირველი ორი ტიპი უმთავრესად ნაღვლის ბუშტში გვხვდება, ხოლო ყავისფერი პიგმენტური კენჭები – ღვიძლშიდა და ღვიძლგარე სანაღვლე გზებში, თუმცა ნაღვლის ბუშტის კენჭებმა შეიძლება განიცადონ მიგრაცია სანაღვლე გზებში. შესაბამისად, ავადმყოფთა 15%-ს კენჭები აღენიშნებათ როგორც ნაღვლის ბუშტში, ასევე სანაღვლე სადინარებში. დასავლეთის ქვეყნებში ნაღვლკენჭოვანი დაავადება წარმოდგენილია 80%-ით ქოლესტერინული კენჭებისაგან. პიგმენტური კენჭების ორივე ტიპი გავრცელებულია აზიის ქვეყნებში. დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქოლესტერინული კენჭები ქალებში უფრო ხშირად გვხვდება. პიგმენტური კენჭები თანაბარი სიხშირით გვხვდება ორივე სქესის პაციენტებში. ეს კანონზომიერება მსოფლიოს ყველა რეგიონში შეინიშნება [6, 11, 18, 27, 89, 106, 146, 153, 285, 407, 448].

ბოლო ათწლეულებში ჩატარებულმა კვლევებმა არათუ უარყვეს ლიპიდური ცვლის დარღვევის, ნაღვლის ბუშტის ატონიის და ინფექციის წამყვანი როლი ქოლეფოქლითიაზის პათოგენეზის თეორიაში, არამედ დაადასტურეს მისი აქტუალობა. ნაღვლის კენჭების წარმოშობის მექანიზმი, მათი ბიოქიმია და ბაქტერიოლოგია დაწვრილებითაა შესწავლილი. სუფთა ქოლესტერინული კენჭები შედარებით იშვიათია და გვხვდება ყველა კენჭების 10%-ზე ნაკლებ შემთხვევაში.

ისინი ძირითადად დიდი ზომის, ერთეული, გლუვი ზედაპირის მქონეა. ქოლესტერინული კენჭების დიდი უმრავლესობა შეიცავს არანაკლებ 70% ქოლესტერინს, ასევე სხვადასხვა რაოდენობით ნალვლის პიგმენტებსა და კალციუმს. ამგვარი კენჭები მრავლობითია, სხვადასხვა ზომისაა, შეიძლება იყოს მყარი ან რბილი, ფასეტირებული, არასწორი ფორმის. მათი ფერი ვარირებს ბაცი ყვითლიდან, ასევე რუხიდან შავამდე. ქოლესტერინული კენჭების უმეტესობა რენტგენონეგატიურია და მათგან მხოლოდ 10%-ზე ნაკლებია რენტგენოკონტრასტული. ხანჭიშესულებსა და მოხუცებს აღენიშნებათ ნალველში ქოლესტერინის გამოყოფის ფიზიოლოგიური ზრდა და ნალვლის მუვების სეკრეციის შემცირება. აღნიშნული ხსნის ამ ასაკობრივ ჯგუფში ნალვლკენჭოვანი დაავადების სიხშირის ზრდას. ნალვლის ბუშტის ნორმალური მოტორიკის პირობებში ქოლესტერინის გამოყოფილი მიკროლითები შეიძლება გადადენილ იქნან ნაწლავში, ნალვლის ბუშტის მოტორიკის დარღვევის პირობებში კი მიკროლითებიდან ყალიბდება კონკრემენტები [6, 11, 27, 57, 79, 80, 89, 106, 146, 197, 204, 254, 255, 285, 363, 437, 446, 448, 479].

პიგმენტური კენჭები შეიცავენ 20%-ზე ნაკლებ ქოლესტერინს. ისინი მუქია კალციუმის ბილირუბინატის შემცველობის გამო. შავი და ყავისფერი პიგმენტური კენჭები განიხილება როგორც სხვადასხვა სახის კონკრემენტები. შავი პიგმენტური კენჭები ჩვეულებრივ მცირე ზომისაა, მყიფეა. მათი 50% რენტგენოკონტრასტულია. ისინი წარმოიქმნებიან კალციუმის ბილირუბინატის, კარბონატების და ფოსფატების სუპერსატურაციის შედეგად და უხშირესად გვხვდებიან ჰემოლიზური დაავადებებისა და დვიძლის ციროზის მქონე პაციენტებში. ქოლესტერინული კენჭების მსგავსად ისინიც ნალვლის ბუშტში ფორმირდებიან. ყავისფერი პიგმენტური კენჭი შეიძლება აღმოჩენილ იქნას სანალვლე გზების წვრილ განტოტებებშიც კი. მათ წარმოქმნას წინ უსწრებს ბილირუბინგლუკურონიდის ნაწლავის ჩხირით, ბაქტეროიდებით ან კლოსტრიდებით დეკონიუგაცია. როგორც ალექტრონულმიკროსკოპულმა სკანირებამ აჩვენა, პიგმენტური კენჭების 90%-ზე მეტი შეიცავს ბაქტერიულ კომპონენტს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაქტერიებს აქვთ ერთ-ერთი უმთავრესი როლი პიგმენტური კენჭების ფორმირებაში. ამით შეიძლება აიხსნას ფაქტი, რომ პიგმენტური ნალვლკენჭოვანი დაავადების მქონე ავადმყოფებს უფრო ხშირად უნვითარდებათ სეფსისი, ვიდრე ქოლესტერინული კენჭების მქონე პაციენტებს [11, 27, 89, 106, 146, 197, 254, 255, 285, 434, 446, 448].

ნაღვლკენჭოვანი დაავადების გამოვლინება მეტად მრავალფეროვანია და მოიცავს დაავადებათა მთელ სპექტრს, დაწყებულს ასიმპტომური ფორმიდან, რომელიც შეიძლება ასეთად დარჩეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, დამთავრებულს სიცოცხლისათვის საშიშ გართულებებამდე. ყოველ წელს ასიმპტომური ფორმის მქონე პაციენტთა 2-3%-ს უნვითარდება სხვადასხვა სიმპტომი, რომელთაგან ნაღვლკენჭოვანი დაავადებისათვის ტიპიურია ბილიარული კოლიკა, რომელიც გამოწვეულია კენჭის მიერ ნაღვლის ბუშტის სადინონის დახმობით [6, 11, 18, 30, 89, 106, 146]. სხვა სიმპტომები, მაგალითად, სიმბიმის შეგრძნება ეპიგასტრიუმში, გულისრევა, ცხიმიანი საკვების აუტანლობა, მეტეორიზმი და სხვა, არასპეციფიურია და იგივე სიხშირით გვხვდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვა დაავადებებისას. ნაღვლკენჭოვანი დაავადების მქონე პაციენტთა ორ მესამედს აღენიშნება სიმპტომური ნაღვლკენჭოვანი დაავადების ყველაზე ჩვეული ფორმა - ქრონიკული ქოლეცისტიტი, რომელიც ხასიათდება ხან უპირატესად დისპეფსიით, ხან გამოხატული შეტევების გარეშე არსებული ქრონიკული ტკივილით, ხან კი მორეციდივე ტკივილის ეპიზოდებით - ბილიარული კოლიკით [83, 89, 106, 146, 184, 221, 448]. სიმპტომური ნაღვლკენჭოვანი დაავადების მქონე პაციენტებს აქვთ შემდგომ გართულებათა განვითარების მაღალი რისკი. ასე მაგალითად, NCGS (National Cooperative Gallstone Study)-ის მიხედვით სიმპტომური ფორმის მქონე პაციენტების 69% უვითარდება ბილიარული კოლიკის რეციდივი ორი წლის განმავლობაში, McSherry et al. მონაცემით - 44%-ს ესაჭიროება სანაღვლე გზებზე ოპერაციული ჩარევა დაავადების მანიფესტაციიდან 6 წლის განმავლობაში, Brunicardi FC et al. მონაცემით აღნიშნული ფორმის მქონე პაციენტების 3-5% უნვითარდება ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებები ერთი წლის განმავლობაში, ხოლო GREPCO (Group for Epidemiology and Prevention of Cholelithiasis)-ს კვლევა აჩვენებს, რომ - 6,5%-ს უვითარდება ნაღვლკენჭოვანი დაავადების სერიოზული გართულებები 10 წლის განმავლობაში [64, 89]. გართულებებს მიეკუთვნება მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმა, ქოლედოქოლითიაზი სიყვითლითა და სიყვითლის გარეშე, ბილიარული პანკრეატიტი, ქოლეცისტოქოლედოქური ფისტულა (მირიზის სინდრომი), ქოლეცისტოდუოდენური და ქოლეცისტოენტერო ფისტულები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ნაღვლკენჭოვანი გაუვალობა, ნაღვლის ბუშტის კარცინომა [11, 25, 28, 89, 106, 146].

ნაღვლკენჭოვანი დაავადების მქონე პაციენტთა დაახლოებით 25%-ს უგითარდება მწვავე ქოლეცისტიტი. მას მუცლის ღრუს მწვავე ქირურგიულ პათოლოგიათა შორის სიხშირის მიხედვით უჭირავს მეორე ადგილი მწვავე აპენდიციტის შემდეგ და შეადგენს ქირურგიულ სტაციონარში შემოსულ მწვავე პაციენტთა 20%-ს [11]. კალკულოზური ეტიოლოგიის მწვავე ქოლეცისტიტი გვხვდება შემთხვევათა 90-95%-ში [106]. ნაღვლის კენჭებით ნაღვლის ბუშტის საღინარის დახშობა არის საწყისი მექანიზმი, რაც იწვევს ნაღვლის ბუშტის გადაბერვას, მისი კედლის შეშუპებასა და ანთებას. თუმცა საღინრის დახშობა არაა მწვავე ქოლეცისტიტის განვითარების ერთადერთი წინაპირობა, რაღანაც მწვავე პროცესი ყოველ მოცემულ შემთხვევაში არ ვითარდება. იგი სავარაუდოდ დიდად არის დამოკიდებული ობსტრუქციის ხანგრძლივობაზე. დასაწყისში, მწვავე ქოლეცისტიტი არის ანთებითი პროცესი, რომელის განვითარებას ხელს უწყობს ლორწოვანის ტოქსიური ლიზოლეციტინი, ასევე ნაღვლის მჟავები და ე.წ. თრომბოციტების გამაპტიურებელი ფაქტორი. პროსტაგლანდინის სინთეზი აძლიერებს ანთებით პროცესს. შემთხვევათა 15-30%-ში მეორადი ბაქტერიული კონტამინაცია დოკუმენტირებულია მწვავე ქოლეცისტიტის გაურთულებელი ფორმისას წარმოებული ქოლეცისტექტომიის შემდეგ. მწვავე ქოლეცისტიტისას სუბსეროზული სისხლჩაქცევების გამო ნაღვლის ბუშტის კედლი ძლიერ სქელდება და ხდება ჰიპერემიული. აღნიშნულ პროცესს ხშირად თან ახლავს პერიგეზიკულური ექსუდაცია. 5-10%-ში აღინიშნება ნაღვლის ბუშტის კედლის იშემია და შემდგომი ნეკროზი. მოგვიანებით გვხვდება პოლიმორფონუკლური ლეიკოციტები. როდესაც ნაღვლის ბუშტის ობსტრუქცია გრძელდება და ზედდებულია მეორადი ბაქტერიული ინფექცია, ვითარდება ფლეგმონური ან განგრენული ქოლეცისტიტი, ემპიემა. შესაძლებელია მოხდეს იშემიური კერის პერფორაცია. ასეთ დროს, ხშირად ბუშტი იფარგლება დიდი ბადექონითა და მიმდებარე ორგანოებით. თუმცა, შესაძლებელია განვითარდეს თავისუფალი პერფორაცია მუცლის ღრუში და პერიტონიტი, ინტრაჰემატური პერფორაცია და დვიძლის აბსცესი, პერფორაცია მიმდებარე ორგანოებში (თორმეტგოჯა ნაწლავი, კოლინჯი) და ფისტულა. კენჭით ზეწოლის გამო შესაძლებელია განვითარდეს ქოლეცისტოქოლედოქური ფისტულა. ქოლეცისტიტის ემფიზემატოზური ფორმა ვითარდება მაშინ, როცა მეორადი ბაქტერიული ინფექციისას გვხვდება გაზარმომქმნელი ბაქტერიები [11, 19, 89, 106, 285, 437, 448, 451, 499].

უურადღებას იპყრობს მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტთა კონტინგენტის ე.წ. „დაბერება”. მწვავე ქოლეცისტიტის მკურნალობის პრობლემა უკვე დიდი ხანია იქცა გერიატრიულ პრობლემად. ასე მაგალითად, ა.შ.შ.-ში 65 წლისა და მეტი ასაკის ავადმყოფთა რიცხვი 1932 წლიდან 1974 წლამდე გაიზარდა 3,2%-დან 37,6%-მდე [176, 177], მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტთა საშუალო ასაკი ნორვეგიაში შეადგენს 71 წელს [309], ხოლო დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსა და ა.შ.შ.-ში – 55-65 წელს [59, 165, 293]. იგივე სურათია რუსეთში, სადაც 60 წელზე უფროსი ასაკის პაციენტების რაოდენობა სხვადასხვა ავტორების მონაცემებით აღწევს 30-70%-ს [9, 15, 19, 24]. ხანშიშესულ და მოხუც პაციენტთა ხვედრითი წილი 1964 წლიდან 1994 წლამდე გაიზარდა 5,4%-ით და შეადგინა 72,2% [39].

ნაღვლენჭოვანი დაავადების დიაგნოსტიკაში ინსტრუმენტული კვლევის ყველაზე რუტინულად გამოყენებადი მეთოდია ულტრასონოგრაფია. მისი სენსიტიურობა და სპეციფიურობა 95%-ს აღწევს. ცრუ-პოზიტიური შედეგი კენჭის არსებობის დადგენისას მეტად მცირე შემთხვევებში გვხვდება, ხოლო ცრუ-ნეგატიური - მხოლოდ 5%-ში აღინიშნება, ისიც მცირე კენჭების ან შეჭმუხნული ნაღვლის ბუშტის არსებობისას. ულტრაბგერითი კვლევისას, შედარებით უფრო ხშირად, ნაღვლის სადინარში არსებული კენჭი რჩება ხოლმე შეუმჩნეველი. კარგად ვიზუალიზდება ექსტრაჰეპატური ბილიარული გზები, გარდა რეტროდუოდენური ნაწილისა. ულტრასონოგრაფიამ მთლიანად ჩაანაცვლა ორალური ქოლეცისტოგრაფია. ჩვეულებრივ, ულტრასონოგრაფია კომპიუტერულ ტომოგრაფიასთან (კტ) შედარებითაც კი მეტად ინფორმაციულია. კტ უმთავრესად გამოიყენება ექსტრაჰეპატური ბილიარული გზებისა და მიმდებარე სტრუქტურების, ორგანოების მდგომარეობის აღსაწერად. იგი არის არჩევის კვლევა ნაღვლის ბუშტის, ექსტრაჰეპატური ბილიარული სისტემის და ირგვლივმდებარე ორგანოების, განსაკუთრებით პანკრეასის თავის სიმსიგნის შესაფასებლად. სპირალური კტ სკანირება საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის ინფორმაცია, მაგალითად, სურათი სისხლძარღვთა ჩართულობის შესახებ პერიამპულარული სიმსიგნის მქონე პაციენტებში. პერკუტანური ტრანსპეპატური ქოლანგიოგრაფია (პტქ) ნაკლებაქტუალურია ნაღვლენჭოვანი დაავადების გაურთულებელი ფორმებისას, თუმცა მნიშვნელოვანია სანაღვლე გზების

სტრიქტურებისა და სიმსივნისას, ვინაიდან სახავს დაზიანებული სეგმენტის პროქსიმალურად მდებარე ნაწილის ანატომიას. ამ მეთოდის გამოყენება არაა მიზანშეწონილი ქოლანგიტის არსებობისას, იმ დრომდე, ვიდრე ინფექცია არ იქნება კუპირებული. როგორც ინვაზიურ პროცედურას, პტქ-ს ახლავს ისეთ გართულებათა რისკი, როგორიცაა სისხლდენა, ქოლანგიტი, ნაღვლუონგა და სხვა. ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოგრაფიისას (ერქ) გვაქვს ამპულარული ნაწილის ვიზუალიზაციის, ქოლედოქის დისტალურ ნაწილთან მიღებომის, ასევე თერაპიული ჩარევის საშუალება. ერქ გამოიყენება სანაღვლე გზების კენჭების არსებობისას და მასთან ასოცირებული მექანიკური სიყვითლის, ქოლანგიტის ან ბილიარული პანკრეატიტისას. კენჭების არსებობის დადგენისას შესაძლებელია სფინქტეროტომიის წარმოება და მათი ექსტრაქცია. გამოცდილი სპეციალისტის მიერ წარმოებული ერქ წარმატებულია 90%-ზე მეტ შემთხვევაში. პანკრეატიტითა და ქოლანგიტით გართულების შემთხვევები გვხვდება 5%-ში. მცირე ბოჭკოვან-ოპტიკური კამერების დანერგვის შემდეგ შესაძლებელი გახდა ინტრადუქტალური ენდოსკოპიის დანერგვა. იგი ზრდის ერქის ეფექტურობას. მაგნიტურ-რეზონანსული (მრ) კვლევა გვაძლევს ლვიძლის, ნაღვლის ბუმბის, პანკრეასის, სანაღვლე გზების და პანკრეასის სადინრის მაღალი რეზოლუციით ვიზუალიზაციის საშუალებას. ამ მეთოდს აქვს 95% და 89% სენსიტიურობა და სპეციფიურობა, შესაბამისად. მრ კვლევა მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიით (მრქპ) არის არაინვაზიური მეთოდი, რომელიც გვაძლევს ბილიარული ტრაქტისა და პანკრეასის დაავადებათა მაღალი დონით დიაგნოსტიკის საშუალებას. ბილიარული რადიონუკლიდური სკანირება, კ.წ. “HIDA სკანირება”, გვეხმარება ატიპიურ შემთხვევების დიაგნოსტიკაში. ტექნიკიუმ 99-ით მონიშნული იმინოდიმარმჯავას დერივატები მაღალი კონცენტრაციით გამოიყოფა ნაღვლით და გვაძლევს კარგ სურათს გამა-კამერით. ინტრავენური ინექციიდან 15-30 წთ-ში შესაძლებელია დავინახოთ ნაღვლის ბუმბი და სანაღვლე გზები, ხოლო 1 სთის შემდეგ – ნაწლავი. მაშინ, როდესაც კარგად კონტურირდება სანაღვლე გზები, ხოლო ნაღვლის ბუმბი არ ჩანს, ეს მიუთითებს ნაღვლის ბუმბის სადინრის ობსტრუქციაზე და შესაბამისად – მწვავე ქოლეცისტიტზე. “HIDA სკანირებისას” ნორმალური სურათი გამორიცხავს მწვავე ქოლეცისტიტის არსებობას. აღნიშნული ტესტი ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლო მეთოდია დიაგნოზის დასადასტურებლად [3, 89, 102, 106, 110, 146, 203, 269, 285, 295, 367, 448, 451, 472, 483].

ნაღვლკენჭოვანი დაავადების მკურნალობაში გადამწყვეტი როლი ოპერაციულ ჩარევებს ენიჭება. ქირურგიულ მკურნალობასთან ერთად მოწოდებულია კონსერვატიული მეთოდები. მათ მიეკუთვნება ქოლელითიური ოერაპია ქენოდეზოქსიქოლიუმისა და ურსოდეზოქსიქოლიუმის პრეპარატებით და ექსტრაკორპორული ლითოტრიფსია. თუმცა აღნიშნულ მეთოდებს აქვთ შეზღუდული ჩვენებები და მათი შედეგები არასაიმედოა. ქირურგიული მკურნალობა რჩება ნაღვლკენჭოვანი დაავადების მკურნალობის ეტიოპათოგენურად განპირობებულ ძირითად მეთოდად [11, 27, 30, 38, 89, 146, 285, 306, 368, 397, 411, 464].

ჯერჯერობით სადაცო საკითხად რჩება ასიმპტომური ნაღვლკენჭოვანი დაავადების ოპერაციული მკურნალობის ჩვენება. ცნობილია, რომ ნაღვლის ბუშტის კენჭები მრავალჯერ გამოვლენილა ნაღვლკენჭოვან დაავადებასთან დაკავშირებული ჩივილის არმქონე, სხვა დაავადებით გარდაცვლილ პაციენტთა აუტოფსიისას. პვლევებმა აჩვენეს, რომ ნაღვლკენჭოვანი დაავადების ასიმპტომური ფორმისას მოცდით ტაქტიკას და დაკვირვებას თითქმის იგივე რისკი ახლავს, რაც ქოლეცისტექტომიას. მიმდინარე რეკომენდაციებით მისაღებია მოცდითი ტაქტიკა, ხოლო ოპერაცია განიხილება მკურნალობის სარეზერვო მეთოდად სიმპტომური ფორმის ან გართულებების განვითარების შემთხვევებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას ასიმპტომური ქოლელითიაზის მქონე იმ ჯგუფების პაციენტთა შესახებ, რომელთაც გართულებათა განვითარების უფრო მაღალი რისკი აქვთ. ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება შაქრიანი დიაბეტით დაავადებული, აგრეთვე, ორგანოს ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე ავადმყოფები. თანამედროვე მონაცემებით პროფილაქტიკური ქოლეცისტექტომიის რისკი ან უპირატესობა მოცდით ტაქტიკასთან შედარებით თითქმის თანაბარია, ამიტომ პროფილაქტიკური ოპერაცია აღარ ითვლება არჩევის მეთოდად. სხვა მიზეზით წარმოებული გეგმიური ოპერაციებისას ქოლეცისტექტომიის სიმულტანურად წარმოება ასიმპტომური ქოლელითიაზის არსებობისას ჯერ კიდევ სადაცოა. თუმცა, თუკი ძირითადი ოპერაცია მიმდინარეობს პრობლემების გარეშე და პაციენტის ზოგადი მდგომარეობა იძლევა ნარკოზის გახანგრძლივების საშუალებას, ქოლეცისტექტომიის შესრულება ლოგიკური და მიზანშეწონილია. ამავე დროს, ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და ანემის, მათ შორის ნამგლისებრუჯრედოვანი ანემის მქონე პაციენტებში ოპერაციის, მაგალითად სპლენექტომიის წარმოებისას

ქოლეცისტექტომიის შესრულების აუცილებლობა ნათელია, რადგან აღნიშნულ ავადმყოფებს აქვთ ქოლელითიაზთან დაკავშირებული გართულებების ადრეული განვითარების მაღალი რისკი. იგივე მიზეზის გამო მისაღებია ქოლეცისტექტომია ბარიატრიული ოპერაციებისას. პროფილაქტიკური ოპერაცია ასევე მიზანშეწონილია 2,5 სმ-ზე მეტი ზომის კენჭის არსებობისას, კალციფიცირებული ნაღვლის ბუშტის მქონე პაციენტებში, ასიმპტომური ქოლელითიაზის მქონე ბავშვებში, რადგან მათაც აქვთ გართულებათა ადრეული განვითარების მაღალი ალბათობა. მხედველობაშია მისაღები ქოლეცისტექტომიის ლოგიკურობა იმ პირებთან, ვინც აპირებს მოგზაურობას ან სამუშაოდ წასვლას, სადაც გართულებების განვითარების შემთხვევაში ადექვატური სამედიცინო დახმარების გაწევა გართულებულია. ფაიფურისებრი ნაღვლის ბუშტის არსებობისას, ნაღვლის ბუშტის კედლის ექსცენტრიულად გასქელებისას, აგრეთვე ნაღვლის ბუშტის 1.5 სმ-ზე მეტი ზომის პოლიპის დიაგნოსტიკების შემთხვევაში, ოპერაციული მკურნალობა, მიუხედავად ასიმპტომურობისა, ითვლება აუცილებლად, ნაღვლის ბუშტის კიბოს განვითარების მაღალი რისკის გამო [11, 89, 234, 253, 285, 289, 320, 368, 427].

სიმპტომური ქოლელითიაზის მქონე პაციენტებისათვის გეგმიური ქოლეცისტექტომია არის მკურნალობის ერთადერთი დადასტურებულად მართებული მეთოდი, რომელიც ადკვეთს ბილიარული კოლიკის შეტევებს და ახდენს გართულებების პრევენციას. დადგენილია, რომ თუკი ერთხელ განვითარდა ქოლელითიაზისათვის დამახასიათებელი სიმპტომოკომპლექსი, 50%-ში იგი პვლევის თავს, რაც შემდეგ გადაიზდრება სერიოზულ გართულებებში. ოპერაციული მკურნალობა იძლევა საუკეთესო შორეულ შედეგებს. პაციენტთა 90% თავისუფლდება ტიპიური ბილიარული სიმპტომებისაგან. მოცდითი ტაქტიკა სიმპტომური ქოლელითიაზისას მიზანშეწონებია. ამასთანავე, ასაკის მატებასთან და თანმხლები დაავადებების განვითარებასთან ერთად ოპერაციული მკურნალობის რისკი მნიშვნელოვნად მატულობს [11, 28, 38, 89, 104, 106, 119, 146, 285, 289, 368, 448].

მწვავე ქოლეცისტის მკურნალობის ერთადერთი მართებული მეთოდია ადრეული ქოლეცისტექტომია. უწინ ოპერაციის წარმოების დრო წარმოადგენდა დებატების საგანს. არსებობს მოსაზრება, რომ ანტიბიოტიკოთერაპიისა და სიმპტომური მკურნალობის შედეგად შესაძლებელია დაახლოებით შემთხვევათა 60%-ში მწვავე

პროცესის კუპირება. კუპირების შემდეგ პაციენტი იმყოფება დაკვირვების ქვეშ და წარმატებული კონსერვატიული მკურნალობიდან 6-10 კვირის შემდეგ უტარდება გეგმიური ქოლეცისტექტომია. სასწრაფო ოპერაცია განიხილება როგორც სარეზერვო, ანუ ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც დაავადება პროგრესირებს და საქმე გვაქვს დესტრუქციულ პროცესთან. დღეისათვის მრავალი კვლევით დადგენილია, რომ თუკი არ არსებობს ოპერაციისათვის სპეციფიური, მნიშვნელოვანი უკუჩვენებები (სერიოზული თანმხლები დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში) და დადგენილია მწვავე ქოლეცისტიტის დიაგნოზი, ადრეული ქოლეცისტექტომია არის მკურნალობის არჩევის მეთოდი. იგი არ უნდა იქნას დაყოვნებული, რადგანაც კონსერვატიულმა ლონისმიებებმა და მოცდითმა ტაქტიკამ შეიძლება გამოიღოს უარესი შედეგი - პროგრესირდეს ანთებითი პროცესი და ოპერაცია გახდეს ტექნიკურად შედარებით უფრო რთულად შესასრულებელი. დადგენილია, რომ ადრეული ქოლეცისტექტომია, მოცდითი ტაქტიკისაგან განსხვავებით, ამცირებს დაავადების საერთო ხანგრძლივობას დაახლოებით 30 დღით, პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობას - 5-7 დღით, პირდაპირ სამედიცინო ხარჯებს - რამოდენიმეჯერ. ასევე, ადრეული ქირურგიული მკურნალობისას რამდენადმე მცირდება ლეტალობა პაციენტებში, რომელთა ზოგადი მდგომარეობა მოცდითმა ტაქტიკამ შეიძლება გააუარესოს ძირითადი დაავადების გართულებათა განვითარებისა თუ თანმხლები დაავადების დეკომპენსაციის ხარჯზე. მწვავე ქოლეცისტიტის დესტრუქციული ფორმებისას ერთმნიშვნელოვნად ნაჩვენებია სასწრაფო ოპერაცია ოპტიმალური წინასაოპერაციაო მომზადების შემდეგ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული პათოლოგიის მქონე პაციენტებს აქვთ მძიმე, დეკომპენსირებული თანმხლები დაავადებები და ოპერაციის რისკი ზოგადად სჭარბობს მკურნალობის ალტერნატიულ გზას, მიზანშეწონილია პერკუტანური ქოლეცისტოსტომიის წარმოება ულტრაბგერითი ან კტ დამიზნებით. თუმცა, აღნიშნული მეთოდი არაა რადიკალური მკურნალობის სახე და მდგომარეობის მეტნაკლები სტაბილიზაციის შემდეგ საჭიროა ქოლეცისტექტომია შეტევის რეციდივისა და შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად [17, 25, 26, 28, 35, 38, 81, 89, 104, 106, 119, 146, 155, 194, 283, 377, 397, 428, 448, 485].

1882 წელს Langenbuch-ის მიერ შესრულებულ იქნა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქოლეცისტექტომია. შემდგომში მისი გამონათქვამი მრავალჯერ იქნა ციტირებული: “ნადვლის ბუშტი იმიტომ კი არ უნდა იქნას ამოკვეთილი, რომ იგი

შეიცავს კენჭებს, არამედ იმიტომ, რომ იგი შობს კენჭებს”. მას შემდეგ ქოლეცისტექტომია გახდა ნაღვლკენჭოვანი დაავადების მკურნალობის ოქროს სტანდარტი. დღევანდელ დღეს, მსოფლიო მასშტაბით, ნაღვლკენჭოვანი დაავადების გამო შესრულებული ოპერაციები სისმირით მხოლოდ აპენდექტომიას ჩამოუვარდება. მწვავე ქოლეცისტიტის გამო წარმოებული ლია ოპერაციებისას ლეტალობა მრავალი წლის განმავლობაში შეადგენდა 6-10%-ს, ხოლო სანშიშესულ და მოხუც პაციენტებში აღწევდა 10-45%-ს. ბოლო წლების განმავლობაში მრავალ ქვეყანაში შეინიშნება ლეტალობის კლების აშკარა ტენდენცია. მაგალითად, C. Arvieux-Barthelemy et. al. (1999) აღნიშნავს ლეტალობის 2%-ს, S. Adamsen et al. (1995) – 1,24%-ს, J.M. McGee et al. (1997) – 2,01%-ს, S.M. Garber et al. (1997) – 1,5%-ს, A. Madani et. al. (1999) - 2,4%-ს 1991 წელს და 1,8%-ს 1995 წელს. ყურადღებას იპყრობს სანშიშესულ და მოხუც პაციენტებში შენარჩუნებული ლეტალობის მაღალი მაჩვენებელი. S. Adamsen et. al., ასევე J.M. McGee et. al. მონაცემების ყველა ლეტალური შემთხვევა მოდიოდა 72 წელზე მეტი ასაკის მქონე ავადმყოფებში [46, 60, 169, 293, 309].


მიუხედავად მინიმალური გართულებებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლისა, ქირურგები მუდამ ეძებდნენ ნაღვლკენჭოვანი დაავადების მკურნალობის ალტერნატიულ გზებს. 70-ანი წლების მეორე ნახევრიდან მსოფლიოში ფართოდ და წარმატებით გავრცელდა თირკმლის ლითოტრიფსია. შედეგად, იყო მცდელობა ანალოგიური ტექნოლოგია გამოყენებული ყოფილიყო ნაღვლკენჭოვანი დაავადების მკურნალობაში. მსოფლიოს მრავალი ინსტიტუტის მიერ მობილიზებულ იქნა როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსები ბილარული ლითოტრიფსიის განვითარებისათვის. თუმცა, სანამ აღნიშნული ტექნოლოგია მოიკიდებდა ფეხს, ლაპაროსკოპიულმა ქოლეცისტექტომიამ მოახდინა გადატრიალება და დღემდე განიხილება, როგორც რევოლუციური ნახტომი ქირურგიის ისტორიაში [4, 5, 45, 115, 202, 291].

კითხვა, თუ ვინ გამოიგონა ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია ადიქმება როგორც კითხვა, თუ ვინ აღმოაჩინა ამერიკა. შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო ლია ქოლეცისტექტომიის ალტერნატიული გზების სანგრძლივი ძიების შედეგი და მინიონვაზიური ტექნოლოგიით მისი ჩანაცვლება მომწიფებული იყო, როგორც დროის გამოწვევა. ლაპაროსკოპიული ტექნოლოგია ცნობილი იყო ნახევრ საუკუნეებებში მეტი

ხნის განმავლობაში. მან 70-ანი წლების შუა ხანებში წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი გინეკოლოგიაში [291].

1985 წლის სექტემბერში გერმანელმა ქირურგმა Erich Muhe პირველად შეასრულა ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, თუმცა ეს ფაქტი გარკვეული მიზეზების გამო უცნობად დარჩა. 1987 წელს ფრანგმა ქირურგმა Philippe Mouret შეასრულა ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია და იგი ჩაითვალა ამ ოპერაციის პიონერად მსოფლიოში. 1988 წლის მაისში ასევე ფრანგმა ქირურგმა Dubois გააკეთა იგივე ოპერაცია და კოლეგებთან ამ ფაქტის პრეზენტაციით დიდად გააღვივა ინტერესი ახალი ტექნოლოგიისადმი როგორც საფრანგეთში, ასევე სხვა ქვეყნებში. თითქმის ამავდროულად, ქირურგთა ორი ამერიკული ჯგუფი ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობდა მოცემულ თემაზე. McKernan და Saye ქალაქ Marietta-დან (Georgia), ასევე Olsen და Reddick ქალაქ Nashville-დან (Tennessee) გააკეთეს აღნიშნული ოპერაცია შესაბამისად 1988 წლის ივნისსა და აგვისტოში. ფრანგმა და ამერიკულმა ჯგუფებმა არ იცოდნენ ერთმანეთის ნამუშევრის შესახებ. ნათელია, რომ საკითხი თუ ვინ შეიმუშავა და ვინ შეასრულა პირველად ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია რჩება ღიად [95, 278, 279, 280, 281, 291].

აღნიშნული სადაცო საკითხების მიუხედავად, გასული საუკუნის 80-ანი წლების ბოლოს, ვიდეონდოსკოპიური ტექნიკის შემოღების, სპეციალური ინსტრუმენტების შექმნისა და დანერგვის შემდეგ დაიწყო ლაპაროსკოპიული ტექნოლოგიის უსწრაფესი დანერგვა პრაქტიკაში. ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია ითვლება ქირურგიის ერთერთ მნიშვნელოვან მიღწევად XX საუკუნეში. დღეისათვის მსოფლიოში გაკეთებულია ათეულ ათასობით ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, დაზუსტებულია ჩვენებები და უკუჩვენებები, შესწავლილია მოსალოდნელი გართულებები. მრავალ ქვეყანაში აღნიშნული ჩარევა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ზოგადქირურგიულ ოპერაციად. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად სრულდება 40 000 ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია. მათგან დაახლოებით 13 000 ჩატარებულია მწვავე ქოლეცისტიტის გამო. 1990-ანი წლებიდან მან თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ღია მიღგომა და მიიჩნევა არჩევის ოპერაციად. დიდ ბრიტანეთში ქოლეცისტექტომიათა 70 – 90% კეთდება ლაპაროსკოპიულად, ხოლო მათი მესამედი მოდის მწვავე შემთხვევებზე [45, 89, 196] (სურ.1).



სურათი 1. ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია

ბოლო ათწლეულებში დაგროვილი გამოცდილება, კლინიკური მასალის ანალიზი აშკარად ცხადყოფს ლაპაროსკოპიული მეთოდიკის უპირატესობებს ტრადიციულ ქოლეცისტექტომიასთან შედარებით. იგი გვაძლევს საშუალებას 2-3-ჯერ შევამციროთ გამოჯანმრთელების პერიოდი შრომისუნარიანობის სრული აღდგენით. პოსტოპერაციულ პერიოდში ავადმყოფები არიან აქტიურნი, იმავე დღეს იწყებენ წამოდგომასა და სიარულს, მეორე დღეს დებულობენ საკვებს. უხშირესად, განსაკუთრებით გეგმიური ოპერაციებისას, პაციენტთა სტაციონარში დაყოვნება შეადგენს 1-2 დღეს. შედეგად, იზრდება კლინიკაში პაციენტთა ბრუნვა, ადვილდება მათი მოვლა, დია მიღვომასთან შედარებით მცირდება მათზე გაწეული პირდაპირი

თუ არაპირდაპირი ხარჯები. ამავე დროს, მინინვაზიური მეთოდი იძლევა ოპერაციისადმი პაციენტის შიშის, ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევის საშუალებას. შედეგად, იოლდება სანალვლე გზების სანაციის დროულად, ანუ ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებების განვითარებამდე, წარმოება [104, 291, 397].

Cochrane-ის კოლაბორაციის მიმოხილვის შედეგების მიხედვით ლაპაროსკოპიული და დია ქოლეცისტექტომიების შედარებით არ იქნა მიღებული განსხვავება ოპერაციის დროში, გართულებებსა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებში. მიუხედავად ამისა, დია, კლასიკურ ქოლეცისტექტომიასთან შედარებით ლაპაროსკოპიული მიღგომისას მიღებულ იქნა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ნაკლები საწოლ-დღე (განსხვავება, - 3 დღე (95% CI - 3,9 და 2,3 საწოლ-დღე)) და სწრაფი გამოჯანმრთელება (-22,5 დღე (95% CI - 36,9 დღე და -8,1 დღე)). აღნიშნული შედეგები იძლევა ქირურგებისათვის დია ოპერაციასთან შედარებით, უპირატესად ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის შესრულების რეკომენდაციას [104, 397].

თუმცა, მიუხედავად მინინვაზიური ტექნოლოგიების სწაფად მიღწეული პოპულარობისა და ტრადიციულ, დია მეთოდთან შედარებით არსებული ობიექტური უპირატესობებისა, ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია გახდა მრავალი კამათის მიზეზი. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო დასაწყისში ლაპაროსკოპიული მეთოდის მეცნიერულად დასაბუთებული ჩვენებების, უკუჩვენებების, ინტრა- თუ პოსტოპერაციული გართულებების, ახლო და შორეული შედეგების ანალიზის არქონით, კვალიფიციური კადრების მომზადების მწყობრი სისტემის ჩამოუყალობებლობით. მნელია არ დაეთანხმო Robert E. Condon-ის აზრს, რომ მინინვაზიური ქირურგია, სხვა მრავალი ტექნიკური ინოვაციისაგან განსხვავებით, ქირურგიულ სასწავლო ცენტრებში არ დაწყებულა. ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის შემოთავაზება, მისი ფართო პრომოციო მოხდა სამედიცინო სფეროში მოდგაწე მეწარმეთა მიერ, რომელთაც ბუნებრივია არ ჰქონდათ ექიმებისათვის სიახლის უანგარო გაზიარების რაიმე აკადემიური ვალდებულება. შედეგად, ქირურგებმა, უმეტეს შემთხვევაში, ახალი ტექნოლოგიის კრიტიკული შეფასების, ფრთხილი, აკადემიური ანალიზისა და ერთმანეთისათვის გამოცდილების, ცოდნის თავისუფლად გაზიარების ნაცვლად დაიწყეს მეთოდის დასაუფლებლად, თვით სამედიცინო აპარატურისა და ინსტრუმენტების მწარმოებელთა მიერ დაარსებულ სასწავლო ცენტრებში, საკმაოდ დიდი თანხების გადახდა. სამედიცინო

ინდუსტრიამ სწრაფად დაინახა ლაპაროსკოპიულ ქირურგიაში ხმარებადი ერთჯერადი ინსტრუმენტების წარმოების პოტენცია. ერთჯერადი, ესე იგი შემოსავლიანი, და დაიწყო მთელს მსოფლიოში ლაპაროსკოპიული ტექნოლოგიის ფართოდ რეკლამირება როგორც ექიმებისათვის, ასევე მოსახლეობისათვის. პაციენტებმაც დაიწყეს ე.წ. “ლაზერული ან უსისხლო ქირურგიის” მოთხოვნა. 1990-ანი წლების დასაწყისში მრავალმა ინსტიტუტმა თუ ჰოსპიტალმა უპასუხა ბაზრის მოთხოვნას და დაჩქარებულად, თანაც საკმაოდ ძვირად შეიძინა აპარატურა და ინსტრუმენტები. მათ ხშირად არ გააჩნდათ რეზიდენტთა, ქირურგთა გადამზადების დასრულებული პროგრამა. ამავე დროს, თვით აკადემიურ პერსონალს მათვის გასაზიარებლად არ პქონდა ახალი ტექნოლოგიით მუშაობის საკმაო გამოცდილება. ამან განაპირობა აკადემიური პერსონალის მიერ საკმაოდ დიდი თანხების გადახდა ე.წ. “უიქენდ კურსებში”, შემდეგ კი პრაქტიკოსი კოლეგებისა თუ რეზიდენტებისათვის იქ შეძენილი “ცოდნის” როგორდაც გადაცემის მცდელობები. ობიექტურ ფაქტორებთან ერთად მრავალწილად ზემოაღნიშნულითაა განპირობებული ინტრა და პოსტოპერაციულ გართულებათა შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებელი ლაპაროსკოპიული მეთოდის დანერგვის საწყის წლებში [63]. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის რეალობაში ზემოთაღნიშნული დღესაც მეტნაკლებად აქტუალურია.

მინიინვაზიური მეთოდის ადრეული კვლევების შედეგები დამყარებული იყო ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისათვის შერჩეულ პაციენტთა შედარებით შეზღუდული ჯგუფების მონაცემებზე. აქედან გამომდინარე, განსხვავებულად იყო ჩამოყალიბებული მინიინვაზიური მეთოდის გამოყენების აბსოლუტური და შედარებითი უპრეცენტები [291].

აკადემიკოს Борисов А.Е. и соавт. მიხედვით ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის აბსოლუტურ უკუჩვენებათა რიცხვში შედის დესტრუქციული ქოლეცისტიტი მკვეთრი პერივეზიკულური ანთებითი ინფილტრატით ან დიფუზური პერიტონიტით (ავტორი მიიჩნევს, რომ ლაპაროსკოპიული მიდგომა ყოველთვის არ იძლევა პერიტონულის ღრუს ადექვატური სანაციის საშუალებას დიფუზური პერიტონიტის დროს); ქოლედოქოლითიაზის ფონზე მიმდინარე მწვავე ქოლეცისტოპანკრეატიტი, განსაკუთრებით პანკრეასის დესტრუქციის ნიშნებით (ავტორის აზრით ფიბროქოლანგიოსკოპიამ და ქოლანგიოგრაფიამ შეიძლება გააღრმავოს პანრეატიტის მიმდინარება); პეპატოპანკრეატობილიარული ზონის ავთვისებიანი სიმსივნე;

ბილიოდიგესტიური და ბილიობილიარული ხერელმილები; ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების განვითარების თანდაყოლილი ანომალიები, რომელთა დროს ნაღვლის ბუშტი ან მისი ყელი მიუწვდომელია როგორც დასათვალიერებლად, ასევე მანიპულაციებისათვის ან ჩართულია დვიძლგარე სანაღვლე გზებში; ორსულობის გვიანდელი პერიოდი. შედარებით უკუჩვენებებად მიჩნეულია გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის ფუნქციათა გამოხატული დარღვევა; სისხლის შემადედებელი სისტემის დარღვევები; პორტული ჰიპერტენზია; მუცლის წინა კედლის ქსოვილების ანთებითი ცვლილებები; მწვავე ქოლეცისტიტის გამოსავლის პერიოდში არსებული ანთებითი ცვლილებები; ნაწლავის ჰიპომოტორული დისკინეზია, დისბაქტერიოზი და სხვა დაავადებები, რომელთაც თან ახლავს ნაწლავთა შებერილობა (ავტორი აღნიშნავს, რომ ზემოთჩამოთვლილი შედარებითი უკუჩვენებებისას ლაპაროსკოპიის წარმოება შესაძლებელია გეგმიურად, მოცემული პრობლემების მაკორეგირებელი სათანადო კონსერვატიული მკურანალობის შემდეგ); ნაწიბუროვან-სკლეროზული ნაღვლის ბუშტი; უხეში ნაწიბუროვანი ცვლილებები ყელის და ბუშტის სადინრის მიდამოში; დვიძლქვეშ არსებული მასიური შეხეორცებითი პროცესი; პერიტონეუმის ღრუს “ზემო სართულზე” არსებული ოპერაციის ან რაიმე დაავადების შემდგომი მასიური შეხეორცები; მუცლის ზემო ნაწილის ჩაუსწორებელი თიაქრები; მკვეთრად გამოხატული სიმსუქნე [11].

აკადემიკოს Савельев В.С. и соавт. მიხედვით აბსოლუტურ უკუჩვენებად ითვლება ლაპაროსკოპიული ოპერაციების წარმოების ზოგადი უკუჩვენებები, ამასთან ერთად - ნაღვლის ბუშტის კიბო, ნაღვლის ბუშტის ყელის არეში არსებული მკვრივი ინფილტრატი, ორსულობის გვიანდელი პერიოდი. შედარებით უკუჩვენებად მიიჩნევა ქოლედოქოლითიაზი, მექანიკური სიყვითლე, ქოლანგიტი, მწვავე პანკრეატიტი, მირიზის სინდრომი, სკლეროატროფიული ნაღვლის ბუშტი, დვიძლის ციროზი, მწვავე ქოლეცისტიტი დაავადების დაწყებიდან 72 სთ-ის შემდეგ, მუცლის ღრუს ზემო სართულის ორგანოებზე გადატანილი ოპერაციები, ფსევდოტუმოროზული პანკრეატიტი, წყლულოვანი დაავადება, მკვეთრად გამოხატული სიმსუქნე [43].

პროფესორ Douglas O. Olsen მიხედვით ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის უკუჩვენებად მიიჩნევა დია ქოლეცისტექტომიის უკუჩვენებები, რომელშიც მოიაზრება პაციენტები, რომელთაც მცირე ხნით ადრე გადაიტენეს მიოკარდიუმის ინფარქტი, აგრეთვე ავადმყოფები, რომელთათვისაც უკუნაჩვენებია ზოგადი ანესთეზია და

კოაგულოპათიის მქონე პაციენტები; პნევმოპერიტონეუმის ატანის შეუძლებლობა (თუმცა, ავტორი მიიჩნევს, რომ რთულია ოპერაციამდე აღნიშნულის შეფასება); ორსულობა (ავტორი აღნიშნავს, რომ არის მონაცემები ორსულობისას ლაპაროსკოპიული ჩარევის შესახებ, თუმცა არ არის კვლევები, რომლებიც შორეული შედეგებით დაადასტურებენ ნაყოფისათვის პნევმოპერიტონეუმის უსაფრთხოებას); ქირურგის გამოცდელობა (ავტორი აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი, როგორც ოპერაციის უკუჩვენება აქტუალური უფრო ადრეულ წლებში იყო და დღეისათვის ქირურგთა უმეტესობას კარგად აქვს ათვისებული ლაპაროსკოპია) [291]. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ეს პრობლემა კვლავ მტკიცნეულია, ვინაიდან ქირურგთა საერთო რაოდენობასთან შედარებით ერთეულთა ხვედრია ლაპაროსკოპიული ტექნიკის აკადემიურად ათვისებისა და შემდგომ პრაქტიკაში დახვეწის შესაძლებლობა.

Kirk A. Ludwig და Constantine T. Frantzides აღნიშნავენ, რომ ლაპაროსკოპიული ქოლეციებუქმიის დანერგვის შემდგომ ადრეულ წლებში საკმაოდ დიდი იყო უკუჩვენებათა ნუსხა. თუმცა, ქირურგების მიერ გამოცდილების დაგროვებასთან ერთად იგი სწრაფად მცირდებოდა. ამჟამად, ნადვლებნჭოვანი დაავადების მქონე პაციენტთა 90% ექვემდებარება ლაპაროსკოპიულ ჩარევას. მათი აზრით, აბსოლუტურ უკუჩვენებებს მიეკუთვნება გამოხატული კოაგულოპათია, პორტული ჰიპერტენზიის შორსწასული ფორმა, მწვავე ქოლანგიტი, აბდომინური სეფსისი, ხოლო შედარებით უკუჩვენებებს – მწვავე ქოლეციებიტი, კოაგულოპათია, მუცლის ღრუს ზემო სართულის ორგანოებზე გადატანილი ოპერაციები, დვიძლის დაავადებები, მწვავე პანკრეატიტი, ორსულობა [45].

პროფესორ Rebecca M. Minter et al. მიხედვით ლაპაროსკოპიული ჩარევის აბსოლუტურ უკუჩვენებას მიეკუთვნება ზოგადი ანესთეზიის წარმოების შეუძლებლობა (მაგალითად, პაციენტები გულ-სისხლძარღვთა და/ან სასუნთქი სისტემების დაზიანების შორსწასული ფორმებით, არასტაბილური ჰემოდინამიკი); ოპერაციისწინა კვლევებზე დაყრდნობით არსებული ეჭვი ნაღვლის ბუშტის კიბოზე. შედარებით უკუჩვენებას წარმოადგენს ორსულობა (ჰიპველი და მესამე ტრიმესტრი); ლაპაროსკოპიული მიღვომის ხელშემშლელი, გადატანილი ოპერაციები; ციროზი, პორტული ჰიპერტენზია და სისხლდენის რისკი კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან [322].

რიგი ავტორების მოსაზრებით, ქირურგთა გამოცდილების ზრდასა და უკეთესი ინსტრუმენტების გამოყენების შემდეგ, მუცლის ღრუს ორგანოებზე გადატანილი

ოპერაციები აღარ ითვლება უკუჩვენებად ლაპაროსკოპიური ჩარევის მცდელობისათვის. აღსანიშნავია, რომ გადატანილი ქირურგიული ჩარევა არ არის შეხორცებების არსებობის აბსოლუტური წინაპირობა. აუტოფსიურ კვეთებზე გადატანილი ოპერაციების მქონე პაციენტთა 75-90%-ს ჰქონდა შეხორცებები. ამავე დროს, ისეთი პაციენტების 25%-ს აღენიშნებოდათ შეხორცებები, ვისაც არ ჰქონდათ ჩატარებული რაიმე ოპერაცია [63, 478]. კლინიკური კვლევები კი აჩვენებს, რომ გადატანილი ოპერაციების შემდეგ პაციენტთა 2/3-ს არ ჰქონდათ შეხორცებები მუცლის დრუში. ყველა შემთხვევაში, ლაპაროსკოპიული ოპერაციის შესრულების წინ ანამნეზში არსებული ოპერაციის მქონე პაციენტი გაფრთხილებული უნდა იყოს ნაწლავის შესაძლო დაზიანების, დამატებითი ტროაკარების ჩადგმის შესაძლო აუცილებლობის, ოპერაციის გაზრდილი დროის და კონვერსიის გაზრდილი რისკის შესახებ [98, 99, 128, 144, 171, 200, 201, 259, 267, 273, 356, 403, 489, 498].

1992 წლის National Institutes of Health Consensus Development Conference on Gallstones and Laparoscopic Cholecystectomy გადაწყვეტილებით ქოლეცისტექტომიის ლაპაროსკოპიული მიღებომით შესრულება არ იქნა რეკომენდებული დვიძლის ციროზის მძიმე ფორმის მქონე პაციენტებისათვის [333]. ლაპაროსკოპიული ქირურგიის ტექნიკის დახვეწასთან ერთად, დვიძლის ციროზი, როგორც მინიინვაზიური ჩარევის უკუჩვენება, გადახედვას დაექვემდებარა. მიუხედავად ამისა, დვიძლის ციროზის მქონე პაციენტები არიან განსაკუთრებული რისკის ქვეშ ლაპაროსკოპიული ოპერაციისას არსებული მომატებული ინტრააბდომინური წნევისა და დვიძლის შემცირებული სისხლმომარაგების გამო. თუმცა არის მონაცემები, რომ ლაპაროსკოპიული ჩარევის შემთხვევაში, განსაკუთრებით Child A ან B დაზიანებისას, გართულებების და სიკვდილიანობის მაჩვენებელი ნაკლებია დია ოპერაციებთან შედარებით [135, 193, 272, 417, 458, 494]. ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის შემდეგ დვიძლის ციროზის მქონე პაციენტებისა და ციროზის არმქონე პაციენტების შედარებისას აღმოჩნდა, რომ სისხლდენის რისკი იზრდება უმნიშვნელოდ, ხოლო კონვერსიების და პერიოპერაციული სიკვდილიანობის სიხშირე არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგი ავტორის მონაცემით, დია ოპერაციასთან შედარებით ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის სპეციფიურ უპირატესობებს მიეკუთვნება ჭრილობის ინფიცირების ძალიან დაბალი და პოსტოპერაციული დვიძლის უკმარისობის დაბალი

მაჩვენებელი. ამასთან ერთად, ლაპაროსკოპიული ჩარევისას მცირდება ქირურგიული ბრიგადის ვირუსული (ჰეპატიტი B, C, შიდსი) დაინფიცირების რისკი. [56, 121, 228, 265, 282, 326, 336, 360, 395, 495]. ზემოთადნიშნული მონაცემები მისაღებია Child A ან B ფორმებისათვის, მაგრამ არა Child C დაზიანების მქონე პაციენტებისათვის, რომელთაც თავისთავად აქვთ მძიმე გართულებებისა და ლეტალობის მაღალი რისკი. ასეთ პაციენტებში ლაპაროსკოპიულ ჩარევის გადაწყვეტილება ძალიან დიდი სიფრთხილითაა მისაღები [121, 138, 139, 260, 265, 282, 495].

ორსული პაციენტების 0,75%-ს ესაჭიროება არასამეანო ქირურგიული ჩარევა [307, 467]. მრავალი ავტორის აზრით ორსულობისას მიზანშეწონილია მაქსიმალური თავშეკავება ოპერაციული მკურნალობისაგან. თუმცა, თუკი ოპერაცია გარდაუვალია, ლაპაროსკოპიული ქირურგია შესაძლოა უსაფრთხოდ იქნას გამოყენებული მიუხედავად ნაყოფის ასაკისა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საშვილოსნოს ჰიპოპერფუზიის და დედის რესპირატორული ფუნქციის დათრგუნვის ასაცილებლად სასურველია პნევმოპერიტონეუმის ჩამოყალიბება < 10 მმ/ვწყ სვ, აუცილებელია დედის ჰიპერვენტილაცია, საოპერაციო მაგიდაზე პაციენტის პოზიცია უნდა იყოს ისეთი, რომ არ მოხდეს საშვილოსნოს მიერ ქვემო დრუ ვენაზე ზეწოლა (მარცხენა ლატერალური პოზიცია, მინიმალური დახრა ფოვლერის პოზაში) [50, 75, 86, 175, 346, 410, 419, 431, 432, 477]. გამოცდილების დაგროვების კვალობაზე, ჩამოყალიბდა აზრი, რომ მიუხედავად ტრიმესტრისა, წარმოებული ლაპაროსკოპია, არ არის ორსულობის ნაადრევი დარღვევის, ნაყოფის დაკარგვის ან უარყოფითი შორეული შედეგების რაიმე მტკიცებულება [270, 292, 381, 401, 444]. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არაა საკმარისი კვლევები ლაპაროსკოპიული ჩარევის ნაყოფზე ზემოქმედების შორეული შედეგების შესახებ.

რაც შეეხება მწვავე ქოლეცისტიისას ლაპაროსკოპიული ჩარევის ჩვენებასა და დროს, ისევე, როგორც დია ოპერაციისას უპირატესობა ადრეულ ჩარევას ენიჭება. Cochrane-ის კოლაბორაციის მიმოხილვის შედეგების მიხედვით (5 კვლევა, რომელიც მოიცავს 451 რანდომიზებულ პაციენტს) ადრეული ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისა (სიმპტომების დაწყებიდან პირველი 7 დღის განმავლობაში) და გადავადებული ლაპაროსკოპიული ჩარევის (6 კვირაზე მეტი დროის გასვლის შემდეგ) შედარებისას ნაღვლის სადინართა დაზიანებისა და დია ოპერაციაზე კონვერსიის

სიხშირის მიხედვით განსხვავება ნანახი არ იქნა. ოუმცა, მწვავე ქოლეცისტიზის დროს კონვერსიის სიხშირე როგორც ადრეულ, ისე გადავადებულ ჩარევათა შემთხვევაში მაღალია და შეადგენს 20,3% და 23,6% შესაბამისად. საწოლ-დდეთა რაოდენობა სამი დღით ნაკლებია ადრეული ჩარევის შემთხვევაში [194, 196]. კვლევები ასევე აჩვენებს, რომ მოხდა გადავადებული ჩარევისათვის გაწერილ პაციენტთა 28%-ის არადაგეგმილი, ნაღვლაქონფორმული დაგვადებასთან დაკავშირებული, სხვადასხვა გართულებებით განპირობებული ხელახალი ჰოსპიტალიზაცია. ავტორები ასკვნიან, რომ სიმპტომური ნაღვლაქონფორმული დაგვადების მქონე პაციენტებისათვის, რომლებიც ჰოსპიტალიზებულნი იყვნენ ურგენტული წესით, შეთავაზებულ უნდა იქნას ოპერაციული მკურნალობა [119, 341]. Cochrane-ის კოლაბორაციის მიმოხილვაში შესული რანდომიზებული კვლევის მიხედვით, მწვავე ქოლეცისტიზის შემთხვევაში, შემოსვლიდან 3 დღის განმავლობაში სპეციალისტების მიერ წარმოებულ ურგენტულ ქოლეცისტექტომიას აქვს ნაკლები კონვერსიის სიხშირე (მოცემულ პირობებში ოპერაციის წარმოების 37,3%-დან 67,3%-მდე გაზრდის შემთხვევაში კონვერსიის სიხშირე დაეცა 32%-დან 12%-მდე), ნაკლები საწოლ-დდე (მოცემულ პირობებში იგი დაეცა 9-დან 5,5 საწოლ-დდე), ნაკლები დაუგეგმავი ხელახალი ჰოსპიტალიზაცია (იგი დაეცა 19%-დან 3,6%-მდე), მისაღები ოპერაციის დრო და გართულებათა დაბალი სიხშირე [319]. სხვა ავტორთა კვლევებით, რომელიც ეყრდნობა The Cochrane Hepato-Biliary Group Controlled Trials Register, The Cochrane Central Register of Controlled Trials in The Cochrane Library, MEDLINE, EMBASE, Science Citation Index Expanded მონაცემებს, ადრეული ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისას (ოპერაცია წარმოებულია დიაგნოზის დასმიდან 24 საათში) კონვერსია საერთოდ არ აღნიშნულა, მაშინ, როცა გადავადებულ შემთხვევებში (მოცდის პერიოდი – 4,2 თვე) კონვერსიას ადგილი ჰქონდა 20%-ში. ოპერაციის დრო და საწოლ-დდეთა რაოდენობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ნაკლები იყო ადრეული ოპერაციებისას (შეწონილი საშუალო სხვაობა (WMD) – 14,80 წთ (95% სარწმუნოების ინტერვალი (CI) – 18,2-11,58) და 1,25 საწოლ-დდე (95% CI 2,05-0,45)). გადავადებული ოპერაციისას, კ.წ. “მოცდის პერიოდში” (დრო სიმპტომების განვითარებიდან ოპერაციამდე), პაციენტთა 35%-ს აღენიშნა ნაღვლაქონფორმული დაგვადებასთან დაკავშირებული გართულებები, რის გამოც ისინი კვლავ იქნენ ჰოსპიტალიზებული [195]. აღნიშნული და ასევე, სხვა პროსპექტული კვლევების საფუძველზე სხვადასხვა ავტორი ასკვნის, რომ სიმპტომური

ნაღვლკენჭოვანი დაავადებისას ადრეული ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია უსაფრთხოა და ამცირებს კონვერსიის, ოპერაციის დროის, საწოლ-დღეების, ასევე ე.წ. მოცდის პერიოდში სხვადასხვა გართულებების გამო ხელახლი პოსპიტალიზაციის მაჩვენებლებს [104, 397].

ზემოთაღნიშნული მცირე ნაწილია სასწრაფო თუ გეგმიური ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი ან სხვადასხვანაირად ფორმულირებული ჩვენებებისა და უკუჩვენებების ჩამოყალიბების მრავალი მცდელობიდან. საფიქრებელია, რომ მომავალშიც გაგრძელდება შეხედულებათა ცვლილებები. ლაპაროსკოპიული ქირურგია მუდამ განვითარების სტადიაშია. ახალ კონცეფციათა განვითარება ფენომენალური სისწრაფით ხდება. მრავალი უკუჩვენება დღეისათვის აღარ ითვლება აბსოლუტურად. ამას ხელი შეუწყო ქირურგთა მიერ გამოცდილების დაგროვებამ, ტექნიკის დახვეწამ, ტექნოლოგიების მაღალ დონეზე განვითარებამ. თუმცა ზემოთაღწერილ რთულ სიტუაციებში ოპერაციის წარმოების დრო მეტია, ასევე შედარებით მაღალია კონვერსიათა სიხშირე, ლიტერატურაში მრავლად გვხვდება პრობლემათა წარმატებით დაძლევის მაგალითები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ისიც, რომ გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ქირურგებმა გააცნობიერეს თუ სად გადის მათი ტექნიკური შესაძლებლობების ზღვარი და დრო თუ როდის უნდა მოახდინონ კონვერსია დია ოპერაციაზე. ზოგი ავტორის მონაცემით, თეორიულად, ყველა ის პაციენტი, ვინც ექვემდებარება ღია ქოლეცისტექტომიას შესაძლებელია განიხილებოდეს, როგორც ლაპაროსკოპიული ტექნიკით ოპერაციის დაწყების კანდიდატი [291].

მნიშვნელოვანია, რომ დროთა განმავლობაში მოხდა ფსიქოლოგიური გარდატეხა იმ ქირურგებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ აქტუალურად თვლიდნენ ფრაზას – “დიდი ქირურგი – დიდი განაკვეთი”. პროფესორი Constantine Frantzides იგონებს, რომ 90-ანი წლების მეორე ნახევარში მის ლექციას ლაპაროსკოპიული ქირურგიის დღევანდელობისა და მომავლის შესახებ მოჰყვა დიდი დისკუსია და მრავალი კრიტიკული მსჯელობა. თუმცა რამოდენიმე დღის შემდეგ მან მიიღო ლექციის ერთ-ერთი დამსწრის, დოქტორ Leonardo W. Worman-საგან წერილი. იგი წერდა: “იმ დღით მე მივიღე სიამოვნება თქვენი ლექციისაგან, რომელიც მიძღვნილი იყო ლაპაროსკოპიული ქირურგიისადმი. თქვენი კრიტიკოსები ლაპარაკობდნენ მათ

მსგავსად, კინც 25 წლის წინ უკრძალავდა თორაკალურ ქირურგებს დრეკადი ბრონქოსკოპის გამოყენებას” [45].

მიუხედავად ლაპაროსკოპიული მიდგომის აშკარა უპირატესობებისა ტრადიციულ ქოლეცისტექტომიასთან შედარებით, მას ახლავს ტექნოლოგიიდან გამომდინარე სპეციფიური გართულებები.

ლაპაროსკოპიულ ქირურგიასთან ასოცირებული გართულებების დიდი უმრავლესობა დაკავშირებულია პირველი ტროაკარის ჩადგმასა და პნევმოპერიტონეუმის ჩამოყალიბებასთან. მაგისტრალურ სისხლძარღვთა დაზიანება იშვიათა, მაგრამ შემთხვევათა 9-13%-ში დგება ლეტალობა [77, 118, 140, 386]. მუცლის დრუს ორგანოთა დაზიანების შემთხვევები უფრო ხშირია. ნაწლავთა დაზიანება გვხვდება 1000-დან 1 შემთხვევაში. 50-66%-ში მათი დაზიანება არაა ამოცნობილი ოპერაციის მიმდინარეობისას, რამაც შემდგომში შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მნიშვნელოვანი გართულებების განვითარება, როგორიცაა პერიტონიტი, სეფსისი. შედეგად, ლაპაროსკოპიული ოპერაციის საწყის ფაზაში მომხდარი გართულებების გამო დამდგარი სიკვდილიანობის მაჩვენებელი 0,05-0,2%-ს შეადგენს [63, 70, 342, 386]. ცნობილია მიდგომის დია და დახურული ძირითადი მეთოდი. დია გულისხმობს ჰასონის ტიპის ტროაკარის ჩაყენებას, დახურული – ბრმა მიდგომას. ამ უკანასკნელში მოიაზრება ლაპაროსკოპის ჩადგმამდე პრეინსუფლაცია (ვერეშის ნემსი/ტროაკარი) ან ინსუფლაცია ლაპაროსკოპის შეყვანის შემდეგ (პირდაპირი ტროაკარული მეთოდი). არსებობს, ასევე, ე.წ. პიბრიდული მეთოდი – ოპტიკური ტროაკარის საშუალებით პნევმოპერიტონეუმის ჩამოყალიბება. არცერთ მეთოდს არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული უპირატესობა ურთიერთთან მიმართებაში. მეტა-ანლიზები გვიჩვენებს, რომ დიასთან შედარებით დახურული მეთოდი ასოცირდება სისხლძარღვთა დაზიანების უმნიშვნელოდ მაღალ მაჩვენებელთან. სამაგიეროდ, დია მეთოდისას უფრო ხშირია აირის ჟონვა, რაც ართულებს ოპერაციის წარმოებას, განსაკუთრებით ჭარბწონიან პაციენტებში. ოპტიკური ტროაკარის გამოყენება შედარებით ახლადდანერგიიდან და ჯერჯერობით არაა საკმარისი მასალა მისი მოხმარების დადებითი თუ უარყოფითი შედეგების მტკიცებისათვის [96, 145, 199, 212, 213, 409, 414, 492, 501].

1901 წელს Georg Kelling-ის მიერ პირველად იქნა აღწერილი დღეისათვის ლაპაროსკოპიად წოდებული ცელიაკოსკოპიის წარმოებისა და პნევმოპერიტონეუმის

შექმნის ტექნიკა. 1924 წელს Zollikofer-ის მიერ პნევმოპერიტონეუმის ჩამოსაყალიბებლად გამოიყენებულ იქნა ნახშირორჟანგი. დღეისათვის კეთდება მრავალი ტექნიკურად რთული და ხანგრძლივი ოპერაციები, მათ შორის ხნიერ და თანმხლები დაავადებებით დამძიმებულ პაციენტებზე. თუმცა, პნევმოპერიტონეუმის ფიზიოლოგიური ეფექტების შესწავლა და მისი ფორმირებისათვის იდეალური აირის ძიება კვლავ გრძელდება [63].

პნევმოპერიტონეუმის ფორმირებას ორგანიზმში მოყვება გარკვეული ფიზიოლოგიური ძვრები და აქვს სხვადასხვა პათოლოგიური ეფექტები. მისი გავლენა კარდიო-ვასკულურ სისტემაზე კარგადაა შესწავლილი. ეუვოლემიურ პაციენტებში შეინიშნება ვენური უკუქცევის შემცირება, პერიფერიული რეზისტენტურობისა და ე.წ. ინტრათორაკალურ/პლევრული წნევის გაზრდა. შედეგად, 15 მმ/ვწყ ინტრააბდომინური წნევისას ადინიშნება გულის წუთმოცულობის სხვადასხვა მცირე ცვლილებები, ყველაზე ხშირად – მისი შემცირება [148, 154, 211, 232, 299, 330]. ზოგი ავტორი მონაცემით, ზემოთადნიშნული წნევის დროს, როგორც წესი, გულისცემის სიხშირე უცვლელია. ფიქრობენ, რომ გულის ფუნქციური შესუსტება დაკავშირებულია რეფრაქტერულ ფაზაში მის გაძლიერებასთან [236, 251]. პნევმოპერიტონეუმმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს ვაგუსური სტიმულაცია, რაც აისახება გამოხატული ბრადიკარდიით. აღნიშნული ეფექტი განსაკუთრებით შესამჩნევია ახალგაზრდა, კარგად გამოხატული მუსკულატურის მქონე პაციენტებში, როდესაც ოპერაციის დასაწყისში ხორციელდება სწრაფი ინსუფლაცია [70, 97, 210].

პნევმოპერიტონეუმის დროს აღწერილი სისტემური ჰიპერტენზია დაკავშირებულია მომატებულ ინტრაკრანიულ წნევასთან. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მარჯვენა წინაგულში არსებული მაღალი წნევის შედეგად ჩამოყალიბებული ვენური დრენირების შემცირებასთან. მაღალი ინტრაკრანიული წნევა იწვევს მოგრძო ტვინში კატექოლამინებისა და ვაზოპრესინის გამოთავისუფლებას, რაც მიზეზია სისტემური ვაზოკონსტრიქციისა. სისტემური ჰიპერტენზია არის ავტორეგულატორული პასუხი ცერებრული პერფუზიური წნევის ნორმის ფარგლებში შესანარჩუნებლად [82].

მარჯვენა წინაგულში არსებული მაღალი წნევა, ასევე დიაფრაგმის დონეზე წარმოქმნილი კონსტრიქცია, იწვევს გულისაკენ ინტრააბდომინური ვენური დინების ცვლილებებს. იგი იმატებს, როდესაც წნევა მარჯვენა წინაგულში ნაკლებია

ინტრააბდომინურზე და პირიქით. ჰიპოვოლემიურ პაციენტებში ქვემო დრუ ვენა ადვილად კომპრესირებადია და ადგილი აქვს გულისაკენ ვენური უკუქცევის შემცირებას, ჰიპერვოლემიურ პაციენტებში კი გაზრდილი ინტრააბდომინური წნევა ნაკლებად მოქმედებს ვენურ დინებაზე და შესაბამისად, გულის წუთმოცულობაზე. მაღალი ინტრააბდომინური წნევის გამო ვენური დინება შეიძლება შემცირდეს სუპრაპეპატურად, დიაფრაგმის დონეზე, ქვემო დრუ ვენის შევიწროების ხარჯზე. თუმცა ეუვოლემიურ პაციენტებში აღნიშნული ეფექტი იშვიათად იქცევა ხოლმე პრობლემად [112, 132, 133, 236, 251, 380, 387, 441, 470].

ქვემო დრუ ვენის კომპრესია და ვენური უკუქცევის შემცირება, თავის მხრივ იწვევს ვენურ სტაზს ქვემო კიდურებში, რაც ხშირად ხდება თრომბოზებისა და თრომბოფლებიტების განვითარების მიზეზი. თუმცა, ზოგი ავტორის მონაცემით, მიუხედავად პნევმოპერიტონიუმით გამოწვეული თრომბოემბოლიური დაავადების განვითარების თეორიული რისკისა, ჩატარებული ადექვატური თრომბოპროფილაქტიკური მკურნალობის შემთხვევაში ქვემო კიდურების დრმა ვენების თრომბოზების სიხშირე დაბალია [219, 231, 286, 393].

უმეტეს კვლევებში პნევმოპერიტონეუმის ჰემოდინამიური ეფექტები შესწავლილია ინსუფლაციურ აირად ნახშირორჟანგის გამოყენებისას. ჯერ კიდევ სადაცოდ კარდიო-გასკულურ სისტემაზე მოქმედი დეპრესიული ძვრები უპირატესად მაღალი ინტრააბდომინური წნევითაა მიღებული თუ ნახშირორჟანგით გამოწვეული ჰიპერკაპნიით და აციდემიით მიღებული ფარმაკოლოგიური ეფექტებით. გახანრძლივებული ოპერაციის დროს (2 საათზე მეტი) შესაძლებელია მოხდეს CO<sub>2</sub>-ის დეპონირება ქსოვილებში, განსაკუთრებით ძვლებსა და კუნთებში, რაც შეიძლება მანიფესტირდეს ე.წ. მოგვიანებითი ანუ პოსტოპერაციული CO<sub>2</sub> ნარკოზით. აღნიშნულის გამო შასაძლებელია რეინტუბაციაც გახდეს საჭირო. ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ ცალკე აღებული 15 მმ/ვწყ პნევმოპერიტონეუმი ვერ გახდება სისტოლური მოცულობის შემცირების მიზეზი და რომ იგი უპირატესად გამოწვეულია ჭარბი ნახშირორჟანგის მიერ მიღებული ქიმიური ეფექტებით [218, 219].

ამრიგად, გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტებში მაღალი ინტრააბდომინური წნევა, განსაკუთრებით

პნევმოპერიტონეუმი შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი კარდიო-ვასკულური სტრესების მიზეზი [63].

გაზრდილი ინტრააბდომინური წნევის შედეგად აღინიშნება დიაფრაგმის მაღლა დგომა, რაც შეიძლება გახდეს რესპირატორული ფუნქციების მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზი. დიაფრაგმის შეზღუდული რესპირატორული ექსკურსია იწვევს ფილტვების გაშლის შეზღუდვას, შედგად კი ფილტვების საერთო მოცულობის, ფუნქციური ნარჩენი მოცულობის შემცირებას [329]. ინტრააბდომინური წნევის 10-დან 16 მმ/გზუ-მდე გაზრდის შემთხვევაში ფილტვის ქსოვილის ელასტიურობა 50%-ით მცირდება, ხოლო 40მმ/გზუ-მდე გაზრდისას წნევა სასუნთქ გზებში თანდათან მატულობს 15-დან 35მმ/გზუ-მდე და აღწევს პიკს. აღნიშნულს თან ხდევს მნიშვნელოვანი ჰიპოქსემია და ჰიპერკაპნია [343, 378, 380]. პაციენტის მდებარეობა საოპერაციო მაგიდაზე ასევე დიდ გაგლენას ახდენს ფილტვის ქსოვილის ელასტიურობაზე. ელასტიურობა ტრენდელენბურგის პოზიციაში მეტად მცირდება, ვიდრე ფოვლერის პოზიციაში. ტრენდელებურგის პოზიციაში დიაფრაგმის მოქნილობის არსებულ შემცირებას ემატება შინაგანი ორგანოების დიაფრაგმაზე ზეწოლა და მათი კომბინაციის შედეგად ფილტვის ქსოვილის ელასტიურობა კიდევ უფრო იზღუდება [343]. მნიშვნელოვანია ვენტილაციური პარამეტრების, ასევე არტერიული სისხლის გაზების მონიტორინგი, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომელთაც აქვთ რესპირატორული სისტემის დაავადებები. როდესაც ფილტვების დისფუნქციისას ხდება ჰიპერვენტილაცია, ნახშირორეანგის ელიმინაცია შეუძლებელია და შედეგად, დგება რესპირატორული აციდოზი. აღნიშნული სიტუაციის კონტროლისათვის საჭიროა ინტრააბდომინური წნევის შემცირება და/ან ინსუფლაციისათვის ალტერნატიული, მეტაბოლურად უფრო ინერტული აირის ძიება [112, 132, 217, 488].

გაზრდილ ინტრააბდომინურ წნევასა და თირკმლების ფუნქციებს შორის არსებობს ურთიერთქმედებათა მთელი კომპლექსი. Harman-ის მიხედვით მაღალი ინტრააბდომინური წნევის გამო თირკმლების ფუნქციების დაქვეითების მიზეზი გულის წუთმოცულობის შემცირებაზე მეტად, უპირატესად, თირკმლების პარენქიმაზე მოქმედი პირდაპირი კომპრესიაა დასახელებული [209, 276, 308]. აღსანიშნავია, რომ 20-დან 40-მდე მმ/გზუ-ზე არსებული ინტრააბდომინური წნევისას სისხლმომარაგების შემცირება, თირკმელზედა ჯირკვლებთან ერთად, ყველა ინტრააბდომინურ ორგანოზე

შეინიშნება [111]. ინტრააბდომინური წნევის მატებისას გვაქვს თირკმლების კორტიკულ შრეში სისხლმომარაგების შემცირება, ხოლო მედულურ შრეში – გაზრდა [120, 474]. საბოლოოდ გამოიკვეთა თირკმლების ფუნქციებზე უმნიშვნელოვანესი გავლენის მქონე სამი ფაქტორი: კომპრესია თირკმლების პარენქიმაზე, გულის წუთმოცულობის შემცირება და ვენური უკუქცევის დარღვევა. 15 მმ/კმ<sup>2</sup>-ზე მეტი ინტრააბდომინური წნევა იწვევს პლაზმაში რენინისა და ალდოსტერონის დონის გაზრდას, რამაც თავის მხრივ შეიძლება ხელი შეუწყოს ლოკალურ ვაზოკონსტრიქციასა და თირკმლების სისხლმომარაგების დაქვეითებას [94, 189, 214]. პლაზმის რენინის აქტიურობისა და ალდოსტერონის დონის ზრდის ზუსტი მექანიზმი ჯერ-ჯერობით ბოლომდე ახსნილი არაა. აღნიშნულ მოვლენაში სავარაუდოა გულის წუთმოცულობის შემცირების, ასევე თირკმლების პერფუზიის დონის შემცირების და თირკმლებში გაზრდილი ვენური წნევის როლის არსებობა. ვაზოპრესინ/ალდოსტერონის დონის ზრდის მექანიზმის სხვა ახსნა მდგომარეობს კარბოქსიკერიტონეუმის შედეგად მეორადად მიღებული ინტრააბდომინური pH-ის ცვლილებით გამოწვეული პერიტონეული ნერვული დაბოლოებების აქტივაციაში [300]. კიდევ ერთი ალტერნატიული მექანიზმის მიხედვით შემცირებული ვენური უკუქცევის შედეგად ხდება მარჯვენა წინაგულის ვოლუმრეცეპტორების სტიმულაცია, რაც მოქმედებს, როგორც ჩამრთველი მექნიზმი პიპოფიზზე და იწვევს მის მიერ ვაზოპრესინ/ალდოსტერონის გადმოსროლას [350].

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, კვლევები აჩვენებს საკმაო მოცულობით ინტრავასკულური ინფუზიისას და ვაზოაქტიური მედიკამენტების გამოყენებისას თირკმლების ფუნქციების გაუმჯობესებას. დიურეზის მოცულობასა და თირკმლების სისხლმომარაგებაზე ინტრააბდომინური წნევის უკავშექტები ფიზიოლოგიური სსნარის ინფუზიისას კლებულობს, თუმცა კრეატინინის კლირენსი რჩება დაბალი. დოფამინის გ.წ. “რენული დოზის” გამოყენებას შეუძლია თირკმლების დისფუნქციის შესუსტება გახანგრძლივებული პნევმოპერიტონეუმის პირობებში [284, 358]. კლინიკური კვლევების მიხედვით კლონიდინის გამოყენება იწვევს რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის სუპრესიას პლაზმის რენინის აქტივობის შემცირებით. შედეგად, მცირდება კატეპლამინების დონე, ხდება ჰემოდინამიკის სტაბილიზაცია და თირკმლების დაცვა ვაზოკონსტრიქციისაგან [253, 358]. თირკმლების ნორმალური პრეოპერაციული ფუნქციების მქონე პაციენტებში

პნევმოპერიტონეუმით გამოწვეული მომატებული ინტრააბდომინური წნევა იწვევს გარკვეულ ფიზიოლოგიურ, თუმცა კლინიკურად ნაკლებად გამოხატულ ცვლილებებს. პაციენტებში, რომელთაც ოპერაციამდე აქვთ თირკმლების დისფუნქცია საჭიროა განსაკუთრებული ინტრაოპერაციული მონიტორინგი და მიმდინარე მდგომარეობის შესაბამისი ფარმაკოლოგიური კორეგირება [63, 106].

მომატებული ინტრააბდომინური წნევა იწვევს ორგანიზმის ნეიროენდოკრინულ პასუხთა კომპლექსს. პნევმოპერიტონეუმის შესაქმნელად გამოყენებული აირის ტიპის მიუხედავად, ინტრააბდომინური წნევის 20 მმ/გწუ-მდე გაზრდა იწვევს პლაზმის ადრენალინისა და ნორადრენალინის დონის გაზრდას [321]. ინტრაოპერაციულად, როგორც ღია, ასევე ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისას, ხდება პლაზმის ადრენოკორტიკოტოპული პორმონის, კორტიზოლის, ნორადრენალინის, ადრენალინის, ინსულინისა და გლუკოზის კონცენტრაციის, ასევე თირეოიდული მარკერების თანაბარი მომატება. თუმცა ზოგი ავტორის მონაცემით პლაზმის კორტიზოლის დონე ლაპაროსკოპიული ოპრაციისას უფრო მაღალია ვიდრე ღია ჩარევისას [355]. უნდა აღინიშნოს, რომ ლაპაროსკოპიისაგან განსხვავებით, ღია ოპერაციისას ადრენალინის, ნორადრენალინის, გლუკოზის დონე რჩება მაღალი პირველი 24 საათის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ, როგორც ოპერაციულ ტრაგმაზე ორგანიზმის საპასუხო რეაქცია, ინტერლეიკინი-6-ის კონცენტრაციის ცვლილება უფრო სენსიტიურია, ვიდრე სისტემური ნორადრენალინისა და ადრენალინის დონის ცვლილება. ლაპაროსკოპიის შემდგომ ხდება ციტოკინების დონის უფრო სწრაფი შემცირება, ვიდრე ღია ოპერაციის შემდეგ [108, 174, 206, 325, 257, 350]. ვაზოპრესინის ან ანტიდიურეზული პორმონის დონის მომატება უფრო სწრაფად ხდება ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისას. პნევმოპერიტონეუმით გადიზიანებული ვაგუსური ნეიროგენური გზით სტიმულირდება ნეიროპიპოფიზი. ეს უპანასკნელი კი იწვევს ვაზოპრესინის გამოთავისუფლებას. ლაპაროსკოპიული ჩარევის შემთხვევაში, განსხვავებით ღია ოპერაციისაგან, ვაზოპრესინ/ანტიდიურეზული პორმონის დონის მატება იწვევს დიურეზის შემცირებას, თუმცა ეს ფიზიოლოგიური ეფექტი პნევმოპერიტონეუმის ლიკვიდაციიდან 1 საათის განმავლობაში ნიველირდება. მრავალ პაციენტში, მიუხედავად ადექვატური ინტრავასკულური ინფუზიისა, მომატებული ინტრააბდომინური წნევა და ვაზოპრესინ/ანტიდიურეზული პორმონის დონის მატება კლინიკურად ინტრაოპერაციული ოლიგურიით ვლინდება. აღნიშნული ეფექტის ჭარბი

ინფუზიით კორეგირების მცდელობაში კი შეიძლება მიგვიყვანოს ორგანიზმის სითხით გადატვირთვამდე [63, 106, 214, 300].

აღსანიშნავია, რომ, თუმცა ოპერაციულ სტრესზე ნეიროენდოკრინული სისტემური პასუხი, როგორც ლაპაროსკოპიის, ასევე ღია ჩარევის შემთხვევაში თანაბარია, პოსტოპერაციულ პერიოდში სტრესული პორმონების დონე ტრადიციული ოპერაციის შემდეგ რჩება მაღალი, ხოლო ლაპაროსკოპიის შემდეგ მაღალი უბრუნდება ნორმას. აღნიშნული მნიშვნელოვნად განაპირობებს ღია ჩარევასთან შედარებით ლაპაროსკოპიული ოპერაციისას ადრეულ გამოჯანმრთელებას [63, 106].

ზოგადი ანესთეზიით წარმოებული ნებისმიერი ოპერაციისას ხდება იმუნური სუპრესია. ამ უკანასკნელის დონე მით მეტია, რაც მეტია ჩარევის მოცულობა და ხანგრძლივობა. ლაპაროსკოპიული ქირურგია ღია ჩარევასთან შედარებით იწვევს იმუნური სისტემის ნაკლებ დათრგუნვას. შედეგად, ლაპაროსკოპიული ოპერაციების შემდეგ ნაკლებია პოსტოპერაციული ტკივილის ინტენსივობა, დგება ადრეული გამოჯანმრთელება [182, 316]. ქირურგიულ ჩარევასა ან ტრავმაზე ფიზიოლოგიური პასუხი მოიცავს სტრესული პორმონების მყისიერ მომატებას და უჯრედული იმუნური პასუხის ზოგად დათრგუნვას. C-რეაქტიული ცილა მატულობს ქირურგიული ჩარევის შემდეგ 4-12 სთ-ში, ხოლო პიქს აღწევს 24-72 სთ-ში. თუმცა, როგორც კლინიკური კვლევები მოწმობენ პოსტოპერაციულ პერიოდში C-რეაქტიული ცილის დონის მატება ღია ჩარევასთან შედარებით ლაპაროსკოპიის შემდეგ ნაკლებია [108, 198, 347, 389]. ინტერლეიკინ-6 არის კიდევ ერთი ციტოკინი, რომელიც ოპერაციის შემდგომ მატულობს და მისი მატების დონე კორელაციაშია ქირურგიული ჩარევის მოცულობასთან. ისევე, როგორც ციტოკინების დონე, პერიფერიული ლეიკოციტების რაოდენობა უფრო მეტად მატულობს ღია ჩარევის შემთხვევაში [373]. T-უჯრედების პროლიფერაცია ღია ოპერაციის შედეგად უფრო მეტად ითრგუნება, ვიდრე ლაპაროსკოპიული ჩარევისას, რაც მიუთითებს უჯრედული იმუნიტეტის შესაბამის ცვლილებებზე [188]. Brune et al.-ის მიხედვით, ინტერფერონ-γ, სიმსივნის ნეკროზული ფაქტორი-α და ინტერლეიკინ-2-ის ცვლილებების შედეგების შედარებით დადგინდა ღიასთან შედარებით ლაპაროსკოპიული ოპერაციების შემდეგ უჯრედული იმუნიტეტის ნაკლები დათრგუნვა. პირველ პოსტოპერაციულ დღეს იგი ორიგე თპერაციის შემდეგ ითრგუნება, თუმცა ღია ოპერაციისას მოცემული ეფექტი უფრო

დრმადაა გამოხატული [105]. Allendorf et al., ასევე Trokel et al. მიხედვით T-უჯრედების ფუნქცია გამოკვლეული იქნა გადავადებული ტიპის ჰიპერსენსიტიურობით და ნაჩვენები იქნა, რომ დია ოპერაციის შემდეგ იგი მეტად ითრგუნება, ვიღრე ლაპაროსკოპიულის შემდეგ [52, 450]. ასევე, სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისას იმუნური მარკერების დონე ნაკლებად მატულობს დია ოპერაციისთან შედარებით, რაც მეტად აქტუალურია იმუნოკომპრომეტირებულ პაციენტებში, სადაც ლაპაროსკოპიული ქირურგიის უპირატესობები უფრო აქტუალურია [109, 192, 440].

აიროგანი ემბოლია პნევმოპერიტონეუმის იშვიათი ( $<0,6\%$ ), მაგრამ პოტენციურად ფატალური გართულებაა, რომელიც განვითარების შემთხვევაში მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. აიროგანი ემბოლიის განვითარების მექანიზმებია: ვერეშის ნემსით ან პირველი ტროაკარით სისხლძარღვის დაზიანება და ინსუფლაცია, პარენქიმულ ორგანოში ინსუფლაცია, ჭარბი წნევა, განსაკუთრებით ჰელიუმით ინსუფლაციისას. ყველაზე ხშირია პულმონური ემბოლია, თუმცა აღწერილია კორონარული და ცერებრული არტერიების აიროგანი ემბოლიის შემთხვევებიც. ბრადიკარდია, ციანოზი და კარდიოგასკულური კოლაფსი მნიშვნელოვანი, თუმცა მოგვიანებითი გართულებებია. აიროგანი ემბოლიის ადრეული ამოცნობა შესაძლებელია ამოსუნთქვის ფაზაში  $\text{CO}_2$ -ის ვარდნით. აიროგანი ემბოლიის მკურნალობისათვის მისაღები ყველაზე ეფექტური დონისძიებებია ინსუფლაციის შეწყვეტა და პერიტონეუმის დრუს მომენტალური დეკომპრესია, პაციენტის მოთავსება დურანტის პოზიციაში (წამოწეული მარცხენა მხარე, ტრენდელენბურგის პოზიცია, რაც ახდენს მარჯვენა პარკუჭიდან ფილტვში აირის გადასვლის პრევენციას), 100%-ანი ჟანგბადის მიწოდება [65, 240, 352, 362, 393].

პნევმოთორაქსის განვითარება სხვადასხვა მექანიზმით შეიძლება იყოს გამოწვეული. მისი განვითარების სისშირე მეტად მცირეა ( $0,1/1000$ ), თუმცა არსებითია მისი ადრეული ამოცნობა და დროული კორეგირება. იგი ყველაზე ხშირად დიაფრაგმის ახლოს მუშაობისას ვითარდება. პნევმოთორაქსის განვითარებაზე მიუთითებს ინტრაოპერაციულად განვითარებული კანქვეშა ემფიზემა, ამოსუნთქვის ფაზაში  $\text{CO}_2$ -ის უეცარი მატება, სასუნთქ გზებში წნევის ზრდა, ჰიპოქსემია, აუსკულტაციით სუნთქვის შესუსტება, ასევე დიაფრაგმის გუმბათის ჩამოწევა. მკურნალობა მოიცავს პერიტონეუმის დრუს დეკომპრესიას და ამის შემდგომ,

უპირატესად ჰემოდინამიკურად არასტაბილურ პაციენტებში, პლევრის ღრუს დრენირებას ან კონსერვატიულ მკურნალობას – პლევრის ღრუს პუნქციას და რადიოგრაფიულ მონიტორინგს. ასევე, შეიძლება განვითარდეს პნევმომედიასტინუმი, პნევმოპერიკარდიუმი, რომლებიც როგორც წესი პნევმოთორაქსის ლიკვიდაციასთან ერთად ქრებიან [288].

პნევმოპერიტონეუმის ჩამოყალიბებისას არის კანქვეშა ემფიზემის განვითარების რისკი. ამ დროს CO<sub>2</sub>-ის შეწოვის ზადაპირი დიდია და შესაბამისად, განვითარებული ჰიპერკაპნიის ხარისხიც მაღალია. კანქვეშა ემფიზემის ადრეული ნიშნებია კანქვეშა კრეპიტაცია, ამოსუნთქვის ფაზაში CO<sub>2</sub>-ის მატება. განვითარებული კანქვეშა ემფიზემის შემთხვევაში საჭიროა პნევმოპერიტონეუმის ლიკვიდირება. ასევე მიზანშეწონილია საანესთეზიო საშუალებად N<sub>2</sub>O-ს გამოყენების შეწყვეტა, ამოსუნთქვის ფაზაში CO<sub>2</sub>-ის ცვლილებების გამოსასწორებლად ვენტილაციის კორეგირება [240, 362].

არითმია, როგორც წესი, ასოცირებულია ჰიპერკაპნიასა და აციდოზთან. თუმცა ლაპაროსკოპიული ოპერაციებისას, მუცლის ღრუში აირის სწრაფი ინსუფლაციის შემთხვევაში, ჰიპერკაპნია არითმიის გარეშეც შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ჩვეულებრივ, ვითარდება ბრადიკარდია, რომელიც პნევმოპერიტონეუმით გამოწვეული გაგუსის სტიმულაციის შედეგია. მოცემული გართულების კორეგირება ხდება დესუფლაციით, ვაგოლითიური საშუალებებით (ატროპინი) და ადექვატური ინფუზიური თერაპიით. აღწერილია ასისტოლიის განვითარება ინსუფლაციის ადრეულ ფაზაში [97, 142, 210].

სასუნთქ გზებში ასპირაცია არის ლაპაროსკოპიული ქირურგიისათვის ღიასთან შედარებით უფრო მეტად დამახასიათებელი კიდევ ერთი გართულება. ინტრააბდომინური წნევის ზრდა ხელს უწყობს რეგურგიტაციას. ანესთეზიოლოგის მიერ გართულების გამორჩენის შემთხვევაში პოსტოპერაციულად ვითარდება პნევმონიტი. სასუნთქ გზებში წნევის მატება და O<sub>2</sub> სატურაციის ვარდნა ასპირაციის ადრეული ნიშნებია. თუმცა აღნიშნული გართულების პრევენცია სრულადაა შესაძლებელი. საჭიროა ინსუფლაციის დაწყებამდე კუჭის რუტინული დეკომპრესია [65].

აღსანიშნავია, რომ დია ოპერაციის შემდეგ დამახასიათებელია ე.წ. პარიესული, ხოლო ლაპაროსკოპიისას – გისცერული ტკივილი. დიაფრაგმის ნერვის გადიზიანების

გამო ლაპაროსკოპიის შემდეგ ხშირია ტკივილი ბეჭის არეში. ზოგი ავტორის მონაცემით ინტრაოპერაციულად ფიზიოლოგიური ხსნარით, ბუპივაკაინით, ბუპივაკაინისა და მორფინის ნაზავით ან ლიდოკაინით დიაფრაგმის ზედაპირისა და ნაღვლის ბუშტის სარეცელის ირიგაცია მნიშვნელოვნად ამცირებს გისცერული ტკივილის ინტენსივობას [48, 216].

არის მოსაზრება, რომ მუცლის ღრუში ინფექციის არსებობისას პნევმოპერიტონეუმი ხელს უწყობს ბაქტერიულ კონტამინაციას, ბაქტერიათა მოცირკულირე სისხლში ტრანსლოკაციას. ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მწვავე შემთხვევებში ლაპაროსკოპიული ოპერაციების წარმოებისას [91, 92, 93, 481, 482]. პერიტონიტზე კარბოქსიპერიტონეუმის ზემოქმედებასთან დაკავშირებით მრავალი კვლევაა ჩატარებული. ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა კარბოქსიპერიტონეუმის უარყოფითი ეფექტი პერიტონეუმის უნარზე შეასრულოს ბაქტერიემიისა და კნდოტოქსემიის წინააღმდეგ ბარიერული ფუნქცია. ეს ცდები ჩატარებული იყო 12 სთ-ის წინ დაწყებული პერიტონიტების შემთხვევაში. ამასთან ერთად, წარმოჩნდა კარბოქსიპერიტონეუმით გამოწვეული მეზოთელიუმის მორფოლოგიური დაზიანება. შემდგომი კვლევით დადგინდა, რომ CO<sub>2</sub> იწვევს მაკროფაგების მიერ გამოყოფილი ლიპობოლისაქარიდ-სტიმულირებული ციტოკარინგბის დეპრესიას, რაც სავარაუდოდ ამცირებს დაზიანებაზე საპასუხო რეაქციას [480, 481]. სხვა კვლევების მიხედვით კი, ინტრააბდომინური ინფექციისას, არ აღმოჩნდა კარბოქსიპერიტონიუმით განპირობებული რაიმე დამაზიანებელი ეფექტი. ასევე, სხვადასხვა კლინიკური კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ კარბოქსიპერიტონეუმი არ იწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ეფექტებს. ასე, რომ არ არსებობს პერიტონიტის (ჩვენს შემთხვევაში დესტრუქციული ქოლეცისტიტით განპირობებული) დროს ლაპაროსკოპიული ოპერაციის წარმოების უკუჩვენებების მყარი მტკიცებულებები [122, 205, 237, 382].

ამრიგად, პნევმოპერიტონეუმით გამოწვეული პოტენციური გართულებების ცოდნა აუცილებელია. როგორც წესი, რაც უფრო დაბალია წნევა მუცლის ღრუში, მით ნაკლებია გართულებები. თუმცა დაბალი ინტრააბდომინური წნევით ოპერაციის წარმოება არ უნდა მოხდეს ექსპოზიციის გაუარესების სარჯზე. რესპირატორული და პერიდინამიკური პარამეტრების მუდმივი მონიტორინგი სავარაუდო, თუმცა იშვიათი

გართულებების პრევენციის, მათი დადგომისას კი ადრეული გამოვლინების და კორეგირების საშუალებას იძლევა [63, 106].

ბოლო ასწლეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა მედიცინაში მაღალსიხშირული ელექტროქირურგიის დანერგვა, რომელიც ქსოვილების კვეთისა და კოაგულაციისათვის გამოიყენება [23]. ეს მეთოდი იძლევა საშუალებას კვეთა და ჰემოსტაზი განხორციელდეს ერთიდაიგივე ინსტრუმენტით, ქსოვილებში არ დარჩეს უცხო სხეული (საკერავი მასალა ან კლიფსი). მაღალი ტემპერატურა პასუხობს ასეპტიკისა და აბლასტიკის მოთხოვნებს, იზოგება დრო, მცირდება სისხლდანაკარგი, უმჯობესდება კოსმეტიკური ეფექტი, მცირდება ქსოვილების პოსტტრავმული ანთებითი პროცესი. ელექტროქირურგიამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ლაპაროსკოპიული ქირურგიის ფართოდ დანერგვის შემდეგ. იგი ქსოვილთა ჭრისა და ჰემოსტაზის უზრუნველყოფის პრაქტიკულად ერთადერთი მეთოდია ენდოსკოპიურ ქირურგიაში. თუმცა, მაღალსიხშირული ენერგიის სპეციფიკის გაუცნობიერებლობამ სწორედ ლაპაროსკოპიულ ქირურგიაში გამოიღო მძიმე შედეგები [42, 43]. ჯერ კიდევ 1992 წელს Voyles SR წერდა: “ქირურგიაში, სავარაუდოდ, არ არსებობს სფერო, რომელსაც ასე ფართოდ იყენებდნენ და ამავე დროს, რომელშიც ასე ნაკლებად ერკვეოდნენ ქირურგები, როგორიცა ელექტრული ენერგია” [453].

ლაზერული დიათერმია გამოიყენებოდა ლაპაროსკოპიის განვითარების ადრეულ ეტაპზე, თუმცა სხივის პენეტრაციის სიღრმის ვარიაბილობა იწვევდა კოლატერალურ დაზიანებებს [70, 76, 127, 452]. მონოპოლარული დიათერმია, რომელიც რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფართოდ გამოიყენება დია ქირურგიაში, ლიმიტირებულია დახურულ სივრცეში მუშაობისას, რადგან შეიცავს გარკვეულ რისკებს. აღწერილია მრავალგვარი პრობლემა. მათი აღქმა აუცილებელია მონოპოლარული დიათერმიის უსაფრთხო გამოყენებისათვის [70, 453, 468, 469]. დიათერმია არგონით გამოიყენება მრავალ სამედიცინო ცენტრში. არც მისი შესაძლებელობებია უნივერსალური [70, 106]. ლაპაროსკოპიულ ქირურგიაში მეტად მისადებია ბიპოლარული დიათერმია. მისი საშუალებით შესაძლებელი შეიქნა შემცირებულიყო გართულებთა სიხშირე. მას ესაჭიროება უფრო რთული კონსტრუქციის ელექტროდები, თუმცა უსაფრთხოა, რადგან ქსოვილებზე ზემოქმედებს ლოკალურად. ბიპოლარული ელექტროდის სხვა მეტალის ინსტრუმენტთან შეხების შემთხვევაშიც კი დენი ერთი ბრანშიდან გადადის

მეორეზე და მისი საშუალებით ბრუნდება გენერატორზე. ბიპოლარული ინსტრუმენტებით მუშაობისას არ იქმნება იზოლაციის პრობლემები, არ ქმნის პრობლემას სახელურსა ან ინსტრუმენტზე არსებული დეფექტები. აღნიშნულმა ტექნოლოგიამ ბოლო დეკადის განმავლობაში მნიშვნელოვანი განვითარება განიცადა. მისი საშუალებით შესაძლებელია კოაგულირებულ იქნეს 7 მმ დიამეტრის სისხლძარღვი. “ინტელექტუალურ” მოწყობილობას შეუძლია გამოითვალოს ქსოვილის წინაღობა, აღიქვას თუ როდის დასრულდა კოაგულაცია და შეასრულოს ჭრა [70, 90, 152, 457]. ქსოვილთა პვეთისა და კოაგულაციისათვის საჭირო ენერგია არაა აუცილებელი იყოს ელექტრული. იგი შესაძლებელია იყოს უზრუნველყოფილი ულტრაბგერითი სიხშირით მიღებული კინეტიკური ენერგიით. ასეთს მიეკუთვნება ე.წ. “harmonic scalpel” [54, 70, 226]. თრომბინისა და ფიბრინის აპლიკაცია, როგორც ქიმიური კოაგულანტი, ეფექტურია სისხლმდებ ქსოვილზე, მაგალითად დვიძლისა ან ელექტოს ზედაპირზე. იგი, როგორც წესი, იძლევა თითქმის მყისიერ ეფექტს და ხშირ შემთხვევაში შეუძლია აგვარიდოს დია ოპერაციაზე კონვერსია [70].

როგორც აკადემიკოსი Савельев B.C. ი თავტ. აღნიშნავს, ენდოქირურგიაში ორგანოების დაზიანება შეიძლება მოხდეს ენდოსკოპიური ხედვისა და მის გარეთ არსებულ ზონებში. პირველი მათგანის მიზეზი დაკავშირებულია ქირურგიული ტექნიკის დეფექტებთან. ტიპიური შეცდომაა ელექტროქირურგიული ინსტრუმენტის არასწორი, არამიზანმიმართული მოძრაობა. ხშირად ამის შედეგია ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისას დიაფრაგმის ან თორმეტგოჯა ნაწლავის დაზიანება. შეცდომის სხვა ვარიანტია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების დაზიანება ნორმალური ანატომიური განლაგების ცვლილებების შემთხვევაში. ამის მაგალითია სკლეროატროფიული ნაღვლის ბუშტის არსებობისას კალოს სამკუთხედის შექმუხვნა და ჰეპატოდეუროდენური იოგის ელემენტების შეხორცება ბუშტის მედიალურ კედელთან. ენდოსკოპის ხედვის არეალის მიღმა არსებული დაზიანებები ვითარდება სამი სხვადასხვა მექანიზმით: ელექტროდის იზოლაციის დეფექტით, ელექტროენერგიის ე.წ. მოცულობითი და პირდაპირი გარღვევებით [43].

ელექტროდის იზოლაციის თუნდაც თვალით უხილავი დეფექტის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ენერგიის 100%-ის გამოთავისუფლება ირგვლივმდებარე ორგანოებსა და ქსოვილებზე, მათ შორის არახილულ ზონაში. ინსტრუმენტების

მრავალჯერადი გამოყენება გარკვეულ ეტაპზე იწვევს დამცავი ზედაპირის დაზიანებას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ერთჯერადი ინსტრუმენტების მრავალჯერ გამოყენებისას [43, 70, 157, 291, 324, 344, 357].

ეფექტს, როდესაც ელექტროსტატიკური ველის გამოისობით ელექტრული ენერგია, დაუზიანებელი იზოლაციის მიუხედავად, გადაეცემა ირგვლივ განლაგებულ გამტარ მასალას, ეწოდება ე.წ. მოცულობითი გარღვევა. ასე, რომ ერთ გამტარში არსებულმა დენძა შეიძლება მოახდინოს მეორე, პირველისაგან იზოლირებულ გამტარში დენის ინდუცირება. ასეთი ეფექტი წარმოიქმნება დიდ ზედაპირზე (რამოდენიმე კვადრატული სანტიმეტრი) ორი ელემენტის მჭიდრო ურთიერთობისას, როცა ერთ-ერთი მათგანით ტარდება ელექტროენერგია. ექნება თუ არა აღნიშნულ ეფექტს რამე კლინიკური გამოვლინება, დამოკიდებულია დენის სიმძლავრით ინდუცირებული ენერგიის საერთო რაოდენობაზე და ელექტროდის გავლისას ელექტროენერგიის დინების კონცენტრაციაზე. მოცულობითმა ეფექტმა შეიძლება გამოიწვიოს დენის საწყისი სიმძლავრის 70%-ის გადატანა პირდაპირი ელექტრული კონტაქტისა და იზოლაციის დაფარების გარეშე. ტროაკართან ინდუცირებული დინება იზრდება ტროაკარისა და ელექტროდის სიგრძის გაზდასთან ერთად, თუმცა მცირდება ტროაკარის რადიუსის გაზრდისას. შედეგად, 5 მმ-ანი ინსტრუმენტის 5 მმ-ან ტროაკარში შეევანისას შესაძლოა მოხდეს ე.წ. “მოხეტიალე” დენის მნიშვნელოვანი ინდუცირება. აღნიშნული ეფექტი უფრო მეტად გამოხატულია 10 მმ-ანი ტროაკარისა და ინსტრუმენტის შემთხვევაში. ამ მხრივ, თეორიულად ყველაზე კეთილსამედო განლაგებაა 5 მმ-ანი ინსტრუმენტი 10 მმ-ან ტროაკარში. მეტალის ტროაკარების გამოყენებისას, დიდი სიმძლავრის მიწოდების შემთხვევაშიც კი, მოცულობითი დინების “მოხეტიალე” ენერგია არ იწვევს ორგანოების ელექტროთერმულ დაზიანებას. ენერგია უსაფრთხოდ იფანტება მუცლის წინა კედლის ქსოვილებში. პრინციპულად სხვა სიტუაცია კომბინირებული (მეტალ-პლასტმასი) ან პლასტმასის ფიქსატორების მქონე მეტალის ტროაკარების გამოყენებისას. ამ შემთხვევაში მუცლის წინა კედლი კონტაქტშია მხოლოდ პლასტმასის ფიქსატორთან და მოცულობითი ეფექტის მქონე “მოხეტიალე” დენი კონცენტრირდება ტროაკარის კედლზე. შემდგომ, ლაპაროსკოპიული ოპერაციის მიმდინარეობისას, ინდუცირებული მუხტი შეიძლება განიმუხტოს ელექტროდის ქსოვილებთან ან ორგანოსთან შეხებისას. კონტაქტის მცირე ფართი ზრდის დენის

სიმკვრივეს, რაც თავის მხრივ იწვევს ორგანოს დაზიანებას. ასეთი ერთჯერადი მოწყობილობები მრავლად იყო გამოშვებული ზოგიერთი, ფიზიკის ნაკლებადმცოდნე ენდოქირურგიული ტექნიკის მწარმოებელი ფირმების მიერ. კომბინირებული ინსტრუმენტების გამოყენებისას გვხვდება დაზიანების სხვა მექანიზმიც. მაგალითად, - იზოლირებული ელექტროდი, რომელიც გადის მეტალის მილში. შედეგად, მთელი “მოხეტიალე” დენი შეიძლება კონცენტრირდეს ორგანოსთან ინსტრუმენტის შეხების ადგილას. ამრიგად, მიზანშეწონილია, რომ ტროაკარიცა და ინსტრუმენტიც იყოს ან ორივე მეტალის ან ორივე პლასტმასის [43, 74, 225, 291, 334, 456, 469, 486, 493].

სიტუაციას, როდესაც აქტიური ელექტროდი პერიტონეუმის ლრუში ეხება სხვა მეტალის ინსტრუმენტს (მაგალითად, ლაპაროსკოპს), უწოდებენ ელექტროენერგიის პირდაპირ გარღვევას. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ელექტროდიდან ლაპაროსკოპის გავლით ქსოვილებზე ენერგიის გადაცემა. კვლევებმა აჩვენა, რომ მეტალის ტროაკარების გამოყენებისას 100 ვტ-ის შემთხვევაშიც კი ხდება მუცლის კედლის ქსოვილებში დენის უსაფრთხო გაფანტვა. პლასტმასის ტროაკარები 15 ვტ-ის შემთხვევაშიც კი შეიძლება იყოს სახიფათო. ასე, რომ მეტალის, მრავალჯერადი ტროაკარები არა მხოლოდ იაფი, არამედ უსაფრთხოა პლასტმასის ტროაკარებთან შედარებით [43, 486].

ელექტროქირურგიული ზემოქმედების დაწყებისას ქირურგი ვარაუდობს, რომ ჭრა ან კოაგულაცია მოხდება სასურველ ადგილას, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში დენი მოძრაობს ანომალური მიმართულებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილების მძიმე დამწერობა. დენის გადასვლა ელექტროდიდან ირგვლივმდებარე ქსოვილებსა და ორგანოებზე შესაძლოა მოხდეს დიელექტრიკული საფარის მთლიანობის დარღვევისას და ასევე, არასამიზნებ, მეზობელ ქსოვილებთან ინსტრუმენტის სამუშაო ზედაპირის შემთხვევითი, პირდაპირი კონტაქტისას. განმუხტვა სითხის გავლით ხდება მაშინ, როდესაც ელექტროდის დიელექტრიკული საფარი სველია. ამ დროს იგი ხდება კარგი გამტარი და ხელს უწყობს დენის ანომალურ სვლას. ენერგია შეიძლება გადავიდეს მუცლის დრუს ნებისმიერ ორგანოზე, რომელიც შეხებაშია ასეთ ინსტრუმეტთან, რადგან ცნობილია, რომ ელექტროენერგია მიემართება პაციენტის ზედაპირზე მოთავსებული ფირფიტისაკენ უმოკლესი, ნაკლები წინაღობის მქონე გზით. ელექტროენერგიის განმუხტვა შესაძლოა მოხდეს როგორც ტროაკარზე, ასევე დადებულ მეტალის კლიფსებზე. ენერგიის გადაცემაშ შეიძლება გამოიწვიოს

მნიშვნელოვანი სტრუქტურების დამწერობა ან კლიფსის მოძრობა შემდგომი უარყოფითი შედეგებით. ელქტროქირურგიული ზემოქმედებისას ქსოვილთა წინაღობის ხარისხი შესაძლოა შეიცვალოს. კოაგულაციისას ხდება მათი გამოშრობა და წინაღობა იზრდება. შედეგად, შესაძლოა დენის მიმართულება შეიცვალოს ნაკლები წინაღობის მქონე ქსოვილებისაკენ [43, 187, 454, 455].

ექიმთა დაზღვევის ამერიკული ასოციაციის (Physician Insurers Association of America – PIAA) მონაცემებით ელექტროენერგიით მიყენებულ დაზიანებათა უდიდესი უმეტესობა არაა ამოცნობილი ლაპაროსკოპიული ოპერაციების მიმდინარეობისას, რასაც მივყავართ მკურნალობის დაყოვნებამდე. დაზიანებათა სიხშირე მატულობს ჩარევების სირთულის პროპორციულად. მსოფლიო პრაქტიკაში გართულებათა რეალური სიხშირე უცნობია, რადგანაც ქირურგთა წარუმატებლობები არაა აფიშირებული. აღნიშნული ასოციაციის აზრით, გართულებების სიხშირის შემცირების ერთადერთი გზა პრობლემის გაცნობიერება და შესაბამისად, გართულებათა პრევენციისაკენ მიმართული დონისძიებებია [290].

ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის ყველაზე ხშირ და მრისხანე გართულებებს სანაღვლე გზების დაზიანება და თავისუფალ მუცლის დრუში ნაღვლურნვა განეკუთვნება. ლაპაროსკოპიული ქირურგიის ერის დადგომამდე ქოლეცისტექტომია ასოცირდებოდა სანაღვლე გზების დაზიანების დაბალ სიხშირესთან. სხვადასხვა ლიტერატურული მონაცემებით დია ოპერაციისას სანაღვლე გზების დაზიანების სიხშირე შეადგენს 0,05-0,5% [11, 16, 33, 43, 116, 123, 242, 264, 301, 314, 325, 388, 397, 413, 435]. ლაპაროსკოპიული ქირურგიის ფართოდ დანერგვის შემდგა სანაღვლე გზების დაზიანების (განსაკუთრებით მძიმე დაზიანებათა) სიხშირე გაიზარდა და მრავალი სხვადასხვა ავტორის მონაცემებზე დაყრდნობით, შეადგენს 0,1-3,2% [11, 16, 33, 43, 45, 47, 49, 68, 69, 89, 125, 126, 127, 130, 134, 137, 140, 141, 147, 151, 161, 164, 167, 172, 173, 178, 180, 182, 185, 223, 242, 243, 244, 261, 262, 263, 264, 277, 291, 301, 303, 314, 335, 349, 359, 361, 371, 372, 374, 379, 391, 392, 397, 402, 404, 406, 413, 420, 421, 423, 425, 435, 439, 449, 462, 465, 466, 468, 471, 476, 484]. ქოლეცისტექტომიის შემდგომი სანაღვლე გზების დაზიანების მქონე პაციენტთა 16,7-47%-ს აღენიშნება ამავდროული სისხლძარღვთა დაზიანება. მათგან ყველაზე ხშირია ღვიძლის მარჯვენა არტერიის დაზიანება, რაც უმეტესად ანატომიური თვისებურებებით არის გამოწვეული [53, 67, 107, 186, 191, 256, 274, 294, 405, 438].

აკადემიკოს Савельев В.С. и соавт. მიხედვით ლაპაროსკოპიული და ლიაქოლეცისტექტომიის შედარება არაკორექტულია, რადგან ჯგუფები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან პაციენტთა მახასიათებლების მიხედვით. ტრადიციული მეთოდით ოპერაცია უკეთდება ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებების მქონე პრაქტიკულად ყველა, ხოლო ლაპაროსკოპიული მეთოდით - უხშირესად უფრო მარტივ და პროგნოზულად უფრო კეთილსაიმედო პაციენტებს. მიუხედავად იმისა, რომ ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისას საერთო სიკვდილიანობა ნაკლებია და ქოლეცისტექტომიასთან შედარებით ( $0,06\text{--}0,1\%$  და  $0,2\text{--}0,4\%$  შესაბამისად), მინინვაზიური ჩარევისას ლეტალურ შემთხვევათა ნახევარზე მეტი გამოწვეულია თვითონ მეთოდით. მაშინ, როცა და ოპერაციისას  $90\text{-}\%$ -ში პაციენტის დაღუპვა დაკავშირებულია გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების თანმხლებ დაავადებებთან. აქედან გამომდინარე, სანაღვლე გზების იატროგენული დაზიანების პრობლემას ლაპაროსკოპიული ჩარევისას ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა [43].

მრავალი კვლევის შედეგად დადგენილია სანაღვლე გზების დაზიანების რისკ-ფაქტორები. მაშინ, როცა “არცერთი ქირურგი არაა დაცული და არცერთი შემთხვევა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც რუტინული” [117], რისკ-ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია დაზიანებათა პრევენციისათვის. სხვადასხვა რისკ-ფაქტორები მოიცავს სახიფათო პათოლოგიას, სახიფათო ანატომიას და სახიფათო ქირურგიას. რისკ-ფაქტორებია: კალოს სამკუთხედის მიღამოში მწვავე ანთებითი პროცესი, აღნიშნულ არეში ინფილტრაცი, აბსცესი, შეხორცებების არსებობა, სკლეროატროფიული ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუმბის მოკლე სადინრით, ნაღვლის ბუმბის ყელში ჩაჭედილი კენჭი ან კენჭები, მირიზის სინდრომი, ბილიარული ანომალია. სიმსუქნე არ ითვლება რისკ-ფაქტორად, თუმცა აღნიშნული ჯერ კიდევ რჩება სადაცო საკითხად. სმი-ს მაღალი მაჩვენებლის მქონე პაციენტებში მაღალია კონვერსიის სიხშირე [168, 173, 301, 462, 466, 487]. სანაღვლე გზების დაზიანების მექანიზმებს შორის აღსანიშნავია პრობლემები კალოს სამკუთხედის დისექციის დროს ნაღვლის ბუმბის სადინრის, არტერიის არასწორი იდენტიფიცირებისას, მათი არასწორი კლიპირებისას, ქოლანგიოგრაფიის, ტრანსცისტიკური ბალონური დილატაციის შესრულების და/ან დორმიას კალათის გამოყენებისას, შეხორცებების არსებობის შემთხვევაში ადჰეზიონლიზის შესრულების, ასევე, კოაგულციის დროს,

ნაღვლის ბუშტის ართანამიმდევრული მობილიზაციისას [43, 136, 173, 442]. რაც შეეხება ქირურგთა გამოცდილებას, იგი, ლაპაროსკოპიული ქირურგიის დანერგვისა და გავრცელების ადრეულ წლებში, ითვლებოდა სანაღვლე გზების დაზიანების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. მოცემულ იატროგენულ დაზიანებას ხშირად უკავშირებდნენ ე.წ. “სწავლების მრუდს”. მას შემდეგ, რაც ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია გახდა რუტინული პროცედურა, ნათელი გახდა, რომ ქირურგთა გამოცდილება არაა ინტრაოპერაციული შეცდომებისაგან თავის დაზღვევის გარანტი. სანდვლე გზების დაზიანების ერთი მესამედი მოდის ქირურგებზე, რომელთაც შესრულებული პქონდათ 200 და მეტი ოპერაცია, ხოლო აშშ-ის მთელ ქირურგთა ერთ მესამედს შესრულებული ყველა ლაპაროსკოპიიდან თუნდაც ერთხელ პქონდა აღნიშნული გართულება. ამავე დროს, სხვადასხვა კვლევების მონაცემებით ლაპაროსკოპიულ ქირურგიაში დაგროვილი გამოცდილების მიუხედავად, დროთა განმავლობაში არ მცირდება წელიწადში სანაღვლე გზების დაზიანების რაოდენობა. ამრიგად, მიუხედავად მოლოდინისა, რომ ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის ე.წ. “სწავლების მრუდის” პიკის გავლის შემდეგ სპეციფიური გართულებების სიხშირე შემცირდებოდა, აღმოჩნდა, რომ მივიღეთ მათი სიხშირის “პლატო”. სანაღვლე სადინართა დაზიანების ერთ მესამედზე მეტი შემთხვევის ძირითადი მიზეზი არის არა ქირურგთა გამოუცდელობა, არამედ ექსტრაჰეპატური სანაღვლე გზების ფუნდამენტურ სტრუქტურებთან არასწორი მიდგომა, რაც გამოწვეულია ვიზუალური აღქმების ილუზიებით. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევებში პრობლემა, განსაკუთრებით მწვავე ანთების ან ქრონიკული ფიბროზის არსებობისას, არაა აღმოჩენილი ოპერაციისას. ზემოთაღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად ასევე სახელდება ქირურგთა მიერ ლაპაროსკოპიაში გამოცდილების დაგროვებასთან ერთად გართულებათა მეტი რისკის მქონე უფრო როულ შემთხვევებთან შეჭიდება [11, 49, 58, 89, 113, 161, 166, 173, 230, 301, 406, 413].


### ცხრილი 1 – Bismuth-ის კლასიფიკაცია

ტიპი	კრიტერიუმი
I	სტრიქტურა მდებარეობს კონფლუენსიდან >2სმ-ზე

II	სტრიქტურა მდებარეობს კონფლუენსიდან <2სმ-ზე
III	სტრიქტურა მდებარეობს დვიძლის კარის დონეზე, კონფლუენსი შენარჩუნებულია
IV	სტრიქტურა მდებარეობს დვიძლის კარის დონეზე, კონფლუენსი ჩათრეულია, კომუნიკაცია დვიძლის მარჯვენა და მარცხენა სადინარს შორის დარღვეულია
V	დვიძლის მარჯვენა აბერანტული სექტორული სადინრის სტრიქტურა ან დვიძლის საერთო სადინრის თანადართული სტრიქტურა

### ცხრილი 2 – Strasberg-ის კლასიფიკაცია

ტიპი	კრიტერიუმი
A	ნაღვლეონგა ნაღვლის ბუშტის სადინრიდან ან ნაღვლის ბუშტის სარეცელში არსებული მცირე სადინრებიდან
B	ბილიარტული ხის ნაწილის, დვიძლის მარჯვენა აბერანტული სადინრის ოკლუზია
C	დვიძლის მარჯვენა აბერანტული სადინრის გადაკვეთა ლიგირების გარეშე
D	დვიძლის ან ნაღვლის საერთო სადინრის ლატერალური დაზიანება
E <sub>1</sub>	
E <sub>2</sub>	
E <sub>3</sub>	დაყოფა იგივეა, რაც ბისმუთის (I-დან V-ის ჩათვლით)
E <sub>4</sub>	კლასიფიკირის შემთხვევაში
E <sub>5</sub>	



სურათი 2 – სტრასბერგის კლასიფიკაცია (E<sub>1</sub>-დან E<sub>5</sub>-ის ჩათვლით იმურებს ბისმუთის კლასიფიკაციას)

ცხრილი 3 – Amsterdam Academic Medical Center (Bergman et al) კლასიფიკაცია

ტიპი	კრიტერიუმი
A	ნაღვლუონგა ნაღვლის ბუშტის სადინრიდან ან დვიძლის აბერანტული ან პერიფერიული სადინრებიდან
B	ნაღვლუონგა მაგისტრალური ბილიარული სადინრებიდან თანდართული ბილიარული სტრიქტურით ან მის გარეშე
C	ბილიარული სადინრის სტრიქტურა ნაღვლუონგის გარეშე
D	ბილიარული სადინრის სრული გადაკვეთა მისი ნაწილის ამოკვეთით ან მის გარეშე

ცხრილი 4 – Neuhaus-ის კლასიფიკაცია

ტიპი		კრიტერიუმი
A		პერიფერიული ნაღვლეონგვა (ნაღვლის საერთო სადინართან კავშირში)
	A1	ნაღვლეონგვა ნაღვლის ბუშტის სადინრიდან
	A2	ნაღვლეონგვა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან
B		ნაღვლის საერთო სადინრის ან ღვიძლის მარჯვენა და/ან მარცხენა სადინრის (კლიპირება, ლიგირება) ოკლუზია
	B1	არასრული
	B2	სრული
C		ნაღვლის საერთო სადინრის ლატერალური დაზიანება
	C1	მცირე დაზიანება (<5მმ)
	C2	ფართო დაზიანება (>5მმ)
D		ნაღვლის საერთო სადინრის გადაკვეთა (ან მასთან კავშირში არმყოფი ღვიძლის მარჯვენა სადინრის გადაკვეთა)
	D1	სტრუქტურული დაფაქტის გარეშე
	D2	სტრუქტურული დაფაქტით
E		ნაღვლის საერთო სადინრის სტენოზი
	E1	მოკლე სტენოზი (<5მმ)
	E2	გრძელი სტენოზი (>5მმ)
	E3	კონფლუენსი
	E4	ღვიძლის მარჯვენა ან სეგმენტური სადინარი

**ცხრილი 5 – Csendes-ის კლასიფიკაცია**

ტიპი	კრიტერიუმი
I	ღვიძლის საერთო ან მარჯვენა სადინრის მცირე დაზიანება, გამოწვეული ელექტროკოაგულატორის კაუჭით ან მაკრატლით კალოს სამკუთხედის დისექციისას
II	ცისტოქოლედოქური დაკაგშირების ადგილის დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ჭარბი ტრაქციით, დორმიას კალათის გამოყენებით. ნაღვლის ბუშტის სადინრის გაკვეთა ან ელექტროკოაგულატორით დაწვა საერთო სადინართან შეერთების ადგილას
III	ნაღვლის საერთო სადინრის სრული ან ნაწილობრივი გადაკვეთა
IV	ნაღვლის საერთო სადინრის 10მმ-ზე მეტი ნაწილის ამოქვეთა

**ცხრილი 6 – Stewart-Way-ის კლასიფიკაცია**

ტიპი	კრიტერიუმი
I	ნაღვლის საერთო სადინარი იდენტიფიცირებული, როგორც ნაღვლის ბუშტის სადინარი. ქოლანგიოგრამით აღმოჩენილი განაკვეთი, რომელიც გრძელდება ნაღვლის ბუშტის სადინარზე
II	სისხლდენა, შედეგად ცუდი მხედველობა
III	ნაღვლის საერთო სადინარი იდენტიფიცირებული, როგორც ნაღვლის ბუშტის სადინარი. ნაღვლის, ღვიძლის საერთო სადინრის ან ღვიძლის მარჯვენა ან მარცხენა სადინრის არაღმოჩენილი გადაკვეთა და/ან რეზექცია
IV	ღვიძლის მარჯვენა სადინარი (ან სექტორული სადინარი) იდენტიფიცირებული, როგორც ნაღვლის ბუშტის სადინარი. ღვიძლის მარჯვენა არტერია იდენტიფიცირებული, როგორც ნაღვლის ბუშტის არტერია. ღვიძლის მარჯვენა სადინრის (ან სექტორული სადინრის) და ღვიძლის მარჯვენა არტერიის გადაკვეთა

ცნობილია, რომ ანატომიურად, რაც უფრო მაღალია სანალვლე გზების დაზიანება და/ან სტრიქტურა, მით უფრო რთულია მისი მკურნალობა და მეტია რეციდივის რაოდენობა. Bismuth-ის კლასიფიკაცია შემოღებულია დია ქირურგიის ეპოქაში და დამყარებულია დაუზიანებელი ბილიარული ლორწოვანის დისტალური კიდის იდენტიფიკაციაზე, სადაც შესაძლებელი იქნება ანასტომოზის დაღება. კლასიფიკაცია მოწოდებულია ბილიარული ტრაქტის გამავლობის აღდგენისათვის ოპტიმალური ლოკალიზაციის დასაზუსტებლად (ცხრილი 1). უნდა აღინიშნოს, რომ ბისმუთის კლასიფიკაცია სრულად ვერ მოიცავს ლაპაროსკოპიული ოპერაციისას წარმოშობილ დაზიანებათა მთელ სპექტრს, ვინაიდან ამ შემთხვევაში, დია ჩარევებისაგან განსხვავებით, უფრო ხშირად გვაქვს საქმე შედარებით რთულ შემთხვევებთან. მსგავსი დაზიანებებისათვის მეტად გამოსადეგია Strasberg-ის კლასიფიკაცია (1995წ), რომელიც უფრო სრულად ასახავს ლაპაროსკოპიული ექსტრაცეპატური სანალვლე სადინორების დაზიანებათა სხვადასხვა სახეს (ცხრილი 2), (სურ. 2). ბისმუთის კლასიფიკაციის შესავსებად, სხვადასხვა დროს, Bergman et al (1996წ), Neuhaus et al (2000წ), Csendes et al (2001წ), Stewart et al (2004წ)-ის მიერ შემუშავებულ იქნა კლასიფიკაცია, რომელიც მათი მოსაზრებით მთლიანად მოიცავს დაზიანებათა მრავალფეროვნებას (ცხრილი 3, 4, 5, 6). კიდევ ერთი, პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კლასიფიკაცია მოწოდებულია McMahon-ის მიერ. მის მიხედვით დაზიანები იყოფა დიდ და მცირედ. დიდ დაზიანებად ითვლება თუნდაც ერთ-ერთი ჩამოთვლილთაგანი: სანალვლე სადინოს დიამეტრის  $>25\%$  დაზიანება, დვიძლის ან ნალვლის საერთო სადინოს გადაკვეთა, სანალვლე სადინოს პოსტოპერაციული სტრიქტურა. მცირე დაზიანებებია: სანალვლე სადინოს დიამეტრის  $<25\%$  დაზიანება ან ჰეპატიკოქოლედოქის კედლის დაზიანება ნალვლის ბუშტის სადინართან მიერთების ადგილას [11, 16, 43, 44, 84, 87, 88, 89, 100, 131, 136, 158, 263, 264, 291, 301, 314, 435, 438, 459, 487].

ლაპაროსკოპიული ოპერაციებისას ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფიის როლი იატროგენული დაზიანებების პრევენციაში ჯერ კიდევ რჩება სადაცოდ. მიუხედავად ზოგი ავტორის მოსაზრებისა, რომ ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია მნიშვნელოვანია სანალვლე გზების დაზიანების აცილებაში, განსაკუთრებით ნაკლებგამოცდილი ოპერატორის შემთხვევაში [162], ა.შ.შ.-ის ქირურგების უმეტესობა არ იყენებს ადნიშნულ კელებას რუტინულად [163, 304]. ამის მიზეზი მრავალია: რიგი

ავტორებისა მიიჩნევს, რომ ეს პროცედურა მოითხოვს ჭარბ დროს, არის ძვირი, შეიძლება თვითონ გახდეს იატროგენის მიზეზი და არ არის აუცილებელი ასიმპტომური ქოლედოქოლითიაზის გამოსავლენად [58, 415, 418, 422]. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ მიზეზად სახელდება შესაბამისად მომზადებული პერსონალის, მათ შორის დამხმარე კადრის და სხვადასხვა საშუალებების ნაკლებობა [304]. ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფიის სწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაშიც კი შეიძლება ვერ მოხდეს სანალვლე გზების დაზიანების იდენტიფიცირება, თუკი დაზიანება მოხდა კვლევის შემდეგ ან თერმული დამწვრობა გამოწვეულ იქნა ელექტროკოაგულაციით, რომელსაც მივყავართ პოსტოპერაციულ ლოკალურ ბილიარულ ნეკროზამდე და/ან მოგვიანებით სტრიქტურამდე [61, 72]. ავტორთა უმეტესობა თანხმდება შემდეგზე, რომ მიუხედავად სანალვლე გზების დაზიანებათა თავიდან აცილებაში ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფიის სადაც როლისა, იგი მეტად გამოსადეგია ანატომიური თავისებურებების იდენტიფიკაციაში (სწორი ინტერპრეტაციისას იგი წარმოდგება, როგორც ე.წ. ანატომიური “საგზაო რუკა”) და შესაბამისად, იატროგენული დაზიანებების აღრეულ გამოვლენაში. იგი არაა ძვირი პროცედურა, მისი შესრულება არ მოითხოვს დიდ დროს და ლაპაროსკოპიაში მომუშავე ქირურგებისათვის არაა რთულად ასათვისებელი [58, 72, 89, 100, 129, 140, 173, 180, 222, 224, 287, 291, 305, 370, 391, 423, 475, 490, 491].

სანალვლე სადინრების დაზიანების მკურნალობა რთული პრობლემაა და დამოკიდებულია დაზიანებიდან დიაგნოსტიკამდე გასულ დროზე და დაზიანების ტიპზე, სიგრძესა და დონეზე. სხვადასხვა ავტორის მონაცემით იატროგენული დაზიანებების 25%-32,4% არის აღმოჩენილი ინტრაოპერაციულად [58, 78, 264, 323, 375, 413, 416]. ამ დროს შესრულებული აღდგენითი ოპერაცია ითვლება საუკეთესოდ. უმჯობესია მსგავსი ოპერაცია შესრულებული იქნას სანალვლე გზების ქირურგიაში დახელოვნებული ქირურგის მიერ. მოცემულ დარგში ნაკლებ გამოცდილი ქირურგების მიერ საჭიროა შესრულებულ იქნას დვიძლქვეშა არისა და დაზიანებული სადინრის გარეთა დრენირება, ხოლო შემდეგ პაციენტის გადაყვანა სპეციალიზებულ კლინიკაში, ვინაიდან, მრავალი მონაცემით, აღნიშნული ტაქტიკის შემთხვევაში, გაცილებით უკეთესი ახლო თუ შორეული შედეგები მიიღწევა. პოსტქოლეცისტექტომიურ პერიოდში აღმოჩენილი იატროგენული ტრავმის მართვა

მდგომარეობს ასოცირებული ინტრააბდომინური სეფსისის კუპირებაში, ბილომისა თუ აბსცესის პერკუტანულად დრენირებაში, ბილიარული დრენაჟის ჩაყენებაში და მისი საშუალებით სანაღვლე სადინრის დაზიანების ტიპის, მოცულობის დიაგნოსტირებაში. მაგნიტურ რეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია ითვლება პირველად არჩევის პროცედურად. ასევე, ინფორმატიულია ულტრაბგერითი, კტ კვლევები. პერკუტანური დრენირებით, ანგიბიოტიკოთერაპიით ბილიარული პერიტონიტის კუპირების შეუძლებლობის შემთხვევაში მიზანშეწონილია სასწრაფო ოპერაციის წარმოება. რეკონსტრუქციული ქირურგიული ჩარევა მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც პაციენტის ზოგადი მდგომრეობა სტაბილიზებულია და დაზიანება კლასიფიცირებული. თუ სანაღვლე გზების ტრავმა აღმოჩენილია ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში (2-7 დღე), დაზიანებულია სადინრის კონფლუენსიდან შედარებით დისტლურად მოშორებული ნაწილი, კონტროლირებულია ნაღვლუონგა, აბსცესი და/ან სეფსისი, შესაძლებელია ადრეული (1-2 კვირაში) რეკონსტრუქცია. სხვა შემთხვევებში რეკონსტრუქციული ოპერაცია საჭიროა შესრულდეს სიტუაციისდამიხედვით, 1,5 - 3 თვის შემდეგ. არსებობს მონაცემები სანაღვლე გზების პოსტოპერაციული სტრიქტურების ენდობილიარული დილატაციისა და სტენტირების 5 წლიანი წარმატებული შედეგების შესახებ. თუმცა, ზოგი ავტორის მიხედვით, მოცემული პროცედურის ფასი და რისკი მაღალია და შეიძლება პირიქით, ხელი შეუწყოს პოსტოპერაციული გართულებების განვითარებას [49, 51, 78, 85, 163, 181, 215, 220, 227, 241, 264, 275, 301, 302, 317, 318, 323, 328, 371, 383, 406, 413, 433, 471]. დგიძლის მარჯვენა არტერია 82%-ში შეიძლება კალოს სამკუთხედში იმყოფებოდეს, შედეგად მიღებულ იქნას ნაღვლის ბუშტის არტერიად და მოხდეს მისი ლიგირება ან დაზიანება [29]. სისხლდენა ლაპაროსკოპიულად თუ ვერ იქნა შეჩერებული, საჭიროა ლია ლაპერაციაზე კონვერსია. სისხლძარღვის ლიგირების შემთხვევები ბილიარულ დაზიანებაზე უფრო ნაკლებ შემთხვევაში გამოვლინდება ადრეულად. ამავე დროს, ლიგირებისას, დგიძლის კოლატერალური სისხლძარღვოვანი და პორტული მომარაგების გამო, ნაკლები კლინიკური გამოვლინებები აღინიშნება. სისხლძარღვისა და ექსტრაპეპატური სანაღვლე სადინრის ერთდროული დაზიანებისას სისხლდენის შეჩერების პრობლემის გარდა დგება ზემოთაღწერილი თანამიმდევრული მკურნალობის აუცილებლობა. ამ შემთხვევაში, რეკონსტრუქციული ოპერაცია უფრო რთულდება ნაღვლის სადინრის იშემის გამო და უფრო ხშირია ანასტომოზის

სტრიქტურა. მოცემული შეუდლებული დაზიანებისას შეიძლება განვითარდეს ღვიძლის ატროფია და/ან ნეკროზი, მეორადი ბილიარული ციროზი, რაც მოითხოვს ღვიძლის რეზექციას ან ტრანსპლანტაციასაც კი [67, 191, 266, 340, 398, 445, 459].

ამრიგად, ლაპაროსკოპიული ქირურგია ითვლება რა თანამედროვე ქირურგიის განვითარებაში რევოლუციურ ნახტომად, აქვს მეთოდისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა პრობლემები. ერთ-ერთი პვლევის მიხედვით გამოკითხულ იქნენ ლაპაროსკოპიაში დახელოვნებული ქირურგები, რომელთაც კარიერის მანძილზე ერთხელ მაინც მოსვლიათ ზემოთაღწერილი გართულებათაგანი. აღსანიშნავია, რომ უმეტესი ქირურგი მომხდარს განიხილავს, როგორც უბედურ, მაგრამ მოსალოდნელ შემთხვევას, ნაწილი – უბედურ შემთხვევას, რომელმაც შეცვალა მათი კარიერა, უფრო მცირე ნაწილი კი – ყველაზე უარეს ინციდენტად, რაც კი მათ კარიერაში შეიძლება მომხდარიყო. მოცემული შეფასებები მიღებულია მიუხედავად იმისა, მათ შეექმნათ თუ არა სამართლებრივი პრობლემები [166].

დღემდე ჯერ კიდევ მცირე ყურადღება ექცევა სხვა მინინვაზიურ ჩარევას – მინილაპაროგრომიულ ქოლეცისტექტომიას. ოპერაციის შემდეგ ორგანიზმი ებრძვის არა მხოლოდ დაავადებას, არამედ საკუთარ ოპერაციულ ტრაგმას. მინილაპაროგრომიული ოპერაცია არის არა კლასიკური ქირურგიული პრინციპების მცირე მასშტაბებში მექნიკური გადატანა, არამედ – მინიმიდგომის კომბინაცია ღია ენდოსკოპიისათვის საჭირო ინსტრუმენტებსა და უნარ-ჩვევებთან. მინილაპაროგრომიისას გამოყენებადი 3-5სმ-ის განაკვეთი აშკარად არაა საკმარისი ოპერირების კლასიკური ტექნიკისათვის. შეზღუდული ვიზუალური კონტროლის ველის პირობებში ჭრილობის სიღრმეში შესაძლოა გამოჩნდეს მხოლოდ ორგანოთა ცალკეული ფრაგმენტები. ამ დროს ძალზე რთულია ანატომიაში გარკვევა და თითქმის გამორიცხულია ტრადიციული ინსტრუმენტებით მანიპულირება. ოპერაციის წარმოებისათვის აუცილებელია საოპერაციო ველის რამოდენიმეჯერ გადიდიება, რაც შესაძლებელს გახდის ჭრილობის საზღვრებში და მის გარეთ არსებული მიდამოს ვიზუალიზაციასაც კი. ამავე დროს, საჭიროა მოცემული არის მკვეთრი განათების უზრუნველყოფა და ქირურგისათვის სამიზნე ორგანოსთან სხვადასხვა რაკურსით სრულად მიდგომის უზრუნველყოფა. ნათელია, რომ ამისათვის აუცილებელია სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენება, რომელთა გეომეტრია გათვლილი იქნება

ისე, რომ ქირურგის ხელები მანიპულაციებისას განლაგებული იქნება ჭრილობის გარეთ. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია გამოსადეგი იყოს ენდოქირურგიული ინსტრუმენტები და აპარატები [22, 29, 31, 40, 66, 412].

მინილაპაროტომიული ინსტრუმენტები შედგება სპეციალური რგოლისაგან, რომელსაც ახლავს საკუთარი, შიდა განათების სისტემა, ასევე, რეტრაქტორების კომპლექტისაგან, რომელსაც აქვთ განსაკუთრებული გეომეტრია და ორ სიბრტყეში მოძრაობის საშუალებას იძლევა. ამავე დროს, თვითოუზული რეტრაქტორი შესაძლებელია დაფიქსირდეს ნებისმიერ, ქირურგისათვის ხელსაყრელ მდგომარეობაში. ისევე, როგორც ღია ოპერაციისას, რეტრაქტორებს შორის განლაგებული ტამპონები ხელს უშლიან ოპერირების ზონაში ბადექონისა და ნაწლავთა მარყუჟების გადაადგილებას. ინსტრუმენტთა (დისექტორები, მოჭურები, მაკრატლები) ფორმა და ზომა გათვლილია ქირურგიული მიდგომის პარამეტრებზე. მათი ერგონომიკა ისეა გადაწყობილი, რომ მიუხედავად რთული კონფიგურაციისა, ოპერატორს მიეცის კლასიკურ ქირურგიაში გამოყენებადი სწორი ინსტრუმენტებით ჩვეული მანიპულირების უნარების გამოყენების საშუალება. მოცემული მოწყობილობა ერთობლიობაში გვაძლევს 5-დან 20სმ-მდე სიღრმეში ოპერირების თავისუფლებას. ამავე, დროს ჭრილობის სიღრმეში მიღწეული მანიპულირების სივრცე სრულად ეთანადება ღია ოპერაციისას არსებულს. ნაღვლის ბუშტსა და სანაღვლე გზებზე ოპერაციის წარმოებისას მიდგომის სიღრმე ვარირებს 0-დან 12სმ-მდე, ოპერაციული მოქმედების კუთხე – 20-დან 80 გრადუსამდე (სურ. 3). ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია მინიინვაზიური ქირურგიისათვის. მაგალითად, ენდოსკოპიური პაპილოტომიისას მიდგომის სიღრმე აღწევს 18-ს, ხოლო ოპერაციული მოქმედების კუთხე თითქმის 0 გრადუსია. ამავე დროს, მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომიისას ტრავმირებულ ქსოვილთა საერთო მასა ტრადიციულთან შედარებით დაახლოებით 30-ჯერ ნაკლებია [22, 29, 31, 36, 40, 66, 394, 408, 412].

3-5 სმ-ის ვერტიკალური განაკვეთი სრულდება მარჯვენა ფერდქეშა სივრცეში ტრანსრექტალურად. იკვეთება კანი, კანქვეშა ქსოვილი, სწორი კუნთის მყესბუდის წინა კედელი, სწორი კუნთის ბოჭკოები იხსნება ბლაგვად, შემდეგ კვლავ იკვეთება აღნიშნული მყესბუდის უკანა კედელი და პერიტონეუმი. ყოველთვის ჯობს მიდგომა წარმოებდეს დვიძლის მრგვალი იოგის მარჯვნივ. სასურველი ოპერაციული სივრცის

მიღწევაში ხშირად საკმარისია სამი რეტრაქტორი, რომლებიც განლაგებულია მედიალურად, ლატერალურად და ჭრილობის ქვედა კიდეში. ეს უკანასკნელი ასრულებს დია ოპერაციაში ასისტენტის ხელის ფუნქციას, ჰიმავს ჰეპატოდუოდენურ იოგს. განათების სისტემის მქონე რეტრაქტორი თავსდება ჭრილობის ზედა კიდეში და ამავე დროს ასრულებს დვიძლის კავის ფუნქციას. მოცემული განლაგებისას არ დგება მეორე ასისტენტის მიხმარების აუცილებლობა. ოპერირების ზონის ფორმირება ძალზე საპასუხისმგებლო ეტაპია, ვინაიდან არასწორად ფიქსირებული რეტრაქტორები, ჭრილობის მრგვალი გამაგანიერებლის გადაადგილება, განაკვეთის არასწორი პროეცირება ართულებს ოპერაციის წარმოებას და ქმნის დამახინჯებულ, უარყოფით წარმოდგენას მინილაპაროტომიულ მეთოდზე [8, 22, 29, 31, 40, 66, 268, 348, 394, 412, 473].

მრავალი მონაცემებით მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია პირველად წარმოებული და აღწერილ იქნა 32 წლის წინ Dubois and Berthelot-ის მიერ [149, 150, 179, 243, 244, 245, 247, 268, 345, 348, 394, 473].



სურათი 3. ინსტრუმენტები მინილაპაროტომიისათვის

სხვა მონაცემებით ქ.სვერდლოვსკში 70-ან წლებში И.Д. Прудков-ის მიერ შემუშავებულ იქნა მინიმიდგომით ოპერაციების წარმოების საფუძვლები. მის მიერ 1985 წელს წარმოებულ იქნა პირველი ქოლეცისტექტომია, ხოლო 1990-ანი წლების დასაწყისში დაიწყო ინსტრუმენტთა წარმოება მინილაპაროტომიული ოპერაციებისათვის [12, 40, 41, 412].

მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია განიხილება, როგორც დია, ტრადიციული, ასევე ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის ალტერნატიული მეთოდი, რომელიც თავის თავში შეიცავს დია და ლაპაროსკოპიული ოპერაციების დადებით მხარეებს. ტრადიციულის მსგავსად მინილაპაროტომიული მეთოდისას არაა საჭირო ძვირადღირებული აპარატურა და იარაღები, მედპერსონალის სპეციალური ტრეინინგი, ოპერაცია სრულდება პირდაპირი ვიზუალური კონტროლით, შესაძლოა ქსოვილების პალპირება, ხოლო ლაპაროსკოპიულის მსგავსად ნაკლებტრაგმულია, ვინაიდან ჭრილობის სიგრძე შეზღუდულია. მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომიის, როგორც სრულყოფილი მინინგაზიური ჩარევის შემდგომ, პოსპიტალიზაციისა და ჩვეულ სამუშაოზე დაბრუნების ვადა, ლაპაროსკოპიულის მსგავსად, მცირეა [2, 7, 12, 22, 29, 32, 34, 36, 40, 41, 62, 248, 271, 348, 353, 354, 390].

მრავალი პკლევაა ჩატარებული ლაპაროსკოპიული და მინილაპაროტომიული მეთოდების უპირატესობებისა და ნაკლის შესაძლარებლად ერთმანეთთან მიმართებაში. გაანალიზებულია ორი მინინგაზიური მეთოდის შესაძლებლობები, ოპერაციის წარმოების საშუალო ხანგრძლივობა, ინტრაოპერაციული დამატებითი კვლევებისა თუ ჩარევების (კონტრასტული ქოლანგიოგრაფია, ქოლანგიოსკოპია, ულტრაბგერითი კვლევა, ქოლედოქოლითოტომია შიდა ან გარე დრენირებით და სხვ.) შესაძლებლობები, ინტრა თუ პოსტოპერაციული გართულებები, მათი სიხშირე და სიმძიმე, ლეტალობის სიხშირე, ინტრა და პოსტოპერაციულად ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა, მათ შორის პორმონული ცვლილებების ამპლიტუდა და ხანგრძლივობა, კონვერსიათა სიხშირე, მათი მიზეზები, ოპერაციის შემდგომ სამკურნალწამლო საშუალებათა გამოყენების საჭიროება, პოსტოპერაციული ტკივილის ინტენსივობა და ხანგრძლივობა, საწოლ-დღეების რაოდენობა, ცხოვრების ჩვეულ აქტიურობასა და საკუთარ სამსახურში დაბრუნების ვადები, პაციენტების მიერ ოპერაციის კოსმეტიკური ეფექტების შეფასება, ცხოვრების ხარისხის

თვითშეფასება, რეოპერაციათა აუცილებლობა და მათი გამოსავლები, ქირურგთა მიერ მოცემული მინინვაზიური ოპერაციების წარმოების კომფორტულობის შეფასება, პაციენტისა და კლინიკის მიერ გაწეული ფინანსური ხარჯები, ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების ფორმები, ასევე ასაკობრივი ჯგუფები, რომელთათვისაც მეტად ნაჩვენებია ესა თუ ის ჩარევა.

აგტორები თანხმდებიან, რომ მინილაპაროტომიულ მეთოდს, ლაპაროსკოპიულის მსგავსად აქვს უპირატესობები ტრადიციულ, დია ქოლეცისტექტომიასთან შედარებით. ამავე დროს, აღმოჩნდა, რომ ორი მინინვაზიური მეთოდის, როგორც ზოგი ავტორი უწოდებს, პირველადი გამოსავლების უმეტესობას შორის არაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. სხვადასხვა ავტორის მონაცემით ზოგიერთი პარამეტრის პროცენტული მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად სჭარბობს რომელიმე მეთოდის სასარგებლოდ, მაგრამ ეს განსხვავებები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. ეს შეეხება ინტრა თუ პოსტოპერაციულ, როგორც მძიმე, ასევე უმნიშვნელო გართულებებს, ლეტალობის მაჩვენებლებს, კონვერსიათა სიხშირეს, ანგიბიოტიკების ხარჯს, ოპერაციის შემდგომ ინფუზიის, ანალგეტიკების გამოყენების ხანგრძლივობას, კლინიკაში დაყოვნების, ცხოვრების ჩვეული და სოციალური აქტიურობისადმი დაბრუნების გადებს, რეოპერაციების რაოდენობას, კოსმეტიკური ეფექტებისა და ცხოვრების ხარისხის თვითშეფასებას. კონვერსის მიზეზები მინილაპაროტომიის შემთხვევაში იგივეა, რაც ზემოთ იყო ჩამოთვლილი და შეეხებოდა ლაპაროსკოპიულ მეთოდს. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მინინვაზიური ოპერაციისას თანაბარი წარმატებითაა შესაძლებელი ზემოთაღნიშნული, დამატებითი ინტრაოპერაციული კვლევებისა თუ ჩარევების წარმოება [159, 239, 244, 247, 271, 296, 310, 311, 315, 348, 353, 354, 376, 384, 385, 394, 429, 461].

გარკვეული კვლევების მიხედვით მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია სიმპტომური ქოლეცისტოლითიაზისას წარმოადგენს დღის სტაციონარის ოპერაციას. ზოგი ავტორის მიხედვით მინილაპაროტომიისას ოპერაციის შემდგომ ხშირად საერთოდ არ ხდება საჭირო ინფუზიური თერაპია. ანგიბიოტიკოპროფილაქტიკის ჩატარება არაა კორელაციაში საწოლ-დღეების შემცირებასთან, ხოლო მათი ხარჯი თანაბარია ორივე მინინვაზიური მეთოდის გამოყენებისას. მინინვაზიური მეთოდების კოსმეტიკური ეფექტებისა და ცხოვრების ხარისხის თვითშეფასებისათვის მკვლევარები

იუნებდნენ შემდეგ კითხვარებს: Genetic Short Form (SF-36), Disease-specific Gastrointestinal Quality-of-Life Index (GIQLI), Body Image Questionnaire (BIQ), რომლის შედეგები მნიშვნელოვან განსხვავებას არ იძლევა [71, 124, 156, 229, 244, 245, 258, 296, 366, 400, 429, 447, 463].

შედარებულია ორგანიზმის მეტაბოლური პასუხი თუ მინინგაზიურ ჩარევაზე. გამოკვლეულია ოპერაციამდე, ოპერაციის დროს და მის შემდეგ C-რეაქტიული პროტეინის, ინტერლეიკინ 6-ის, ალბუმინის, ტრანსფერინის, რკინის, ფიბრინოგენის, ფიბრინდეგრადაციული პროდუქტების, პოლიმორფონუკლეული ელასტაზის, ნეიტროფილებისა და ლიფოციტების რაოდენობა. აგრეთვე, განსაზღვრულია სტრესული პორმონების ცვლილებები. აღმოჩნდა, რომ მოცემული პარამეტრების ცვლილებები და მათი ნორმაში მოსვლის დრო თითქმის თანაბარია ორივე შემთხვევაში. ზოგი ავტორი მიუთითებს, რომ პროლაქტინი აღმოჩნდა ყველაზე მეტად სტრესს-რეაქტიული. მისი დონე 20-ჯერ და მეტჯერ იყო გაზრდილი ორივე საკვლევ ჯგუფში, თუმცა მეტად იყო მომატებული ლაპაროსკოპიულ ჯგუფში. ეს აიხსნება დაჭიმული კარბოქსიპერიტონიუმის ზემოქმედებით რეცეპტორებით მდიდარ პერიტონიუმზე. საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე მეთოდით გამოწვეული ორგანიზმის მეტაბოლური პასუხი არის თანაბარი და იგი კორელაციაშია პოსტოპერაციულ საწოლ-დდეთა რაოდენობასთან. აღნიშნულით შეიძლება აიხსნას პოსტოპერაციის ვადის თანაბრობა ორი მინინგაზიური ჩარევისას [14, 21, 244, 247, 312, 313, 429, 460].

მინილაპაროტომიული ოპერაციის შესრულებისათვის არაა საჭირო ძვირადდირებული აპარატურა და ინსტრუმენტები, ასევე მაკომპლექტებლების ხშირი ცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ მინილაპაროტომიულ მეთოდს აქვს მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობა ლაპაროსკოპიულთან შედარებით, მის დასაუფლებლად ქირურგს არ სჭირდება საკმაოდ ძვირადდირებული სპეციალური ტრეინინგ-კურსების გავლა. სპეციალისტს, რომელიც სრულყოფილად ფლობს ტრადიციული ქოლეცისტექტომიის ტექნიკას, რამოდენიმე ასისტენციის შემდეგ შეუძლია შეასრულოს ოპერაცია მინილაპაროტომიული მიღებოთ. შედეგად, თავიდანაა აცილებული ლაპაროსკოპიული მეთოდისათვის დამახასიათებელი ე.წ. “სწავლების მრუდის” გავლის პრობლემები [8, 12, 21, 22, 31, 32, 40, 207, 271, 365, 412].

თითქმის უკელა მკვლევარი თანხმდება, რომ ოპერაციის ხანგრძლივობა ლაპაროსკოპიულთან შედარებით მინილაპაროტომიისას სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ნაკლებია. იგივე შედეგია მიღებული ინტრაოპერაციული კვლევებისა თუ დამატებით სანალვლე გზებზე წარმოებული ჩარევების შემთხვევაშიც [72, 244, 247, 296, 310, 353, 365, 384, 385, 443].

ფინანსური თვალსაზრისით ორი მინიინვაზიური მეთოდის შეფასებისას ავტორები ხვდებოდნენ სხვადასხვა ობიექტურ სირთულეებს. მათ შორისაა, მიღებული შედეგების შეფასებათა მეთოდოლოგიის მრავალფეროვნება (რაც უფრო დეტალურად იყო წარმოებული კვლევა, მით უფრო ვალიდური იყო დასკვნები), სხვადასხვა ქვეყნისათვის სპეციფიური განფასების სისტემა, ასევე ქვეყნის კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე გამოჯანმრთელების ვადების (კლინიკიდან გაწერის, მრომითი საქმიანობისთვის დაბრუნების დრო) ვარიაბილურობა. მიუხედავად ამისა, იკვეთება საერთო ტენდენცია, რომ ლაპაროსკოპიული მეთოდი მინილაპაროტომიულთან შედარებით ძვირადდირებულია. ლაპაროსკოპიის პროცედურული დირებულება სჭარბობს მინილაპაროტომიისას, ხოლო ერთჯერადი ინსტრუმენტების გამოყენება კიდევ უფრო ზრდის ამ განსხვავებას. Calvert NW et all.-ის მიხედვით “მცირე განაკვეთით წარმოებული ქოლეცისტექტომიის დირებულებაა 995£ და არის 29%-ით ნაკლები, კიდრე ლაპაროსკოპიული პროცედურა, რომლის დირებულებაა 1397£. ლაპაროსკოპიისათვის და მინილაპაროტომიისათვის საჭირო აპარატურისა და თვითონ ოპერაციის წარმოების თვითღირებულებას შორის განსხვავება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დამსაქმებელთათვის შეიძლება აღიძვრას შემდეგი კითხვა - ამართლებს თუ არა ლაპაროსკოპიული ქირურგიისაგან მიღებული მოგება დამატებით დირებულებას” [114]. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას, რომელსაც ნაკლებად აქვს ფინანსური პრობლემები და უკეთეს შედეგებს გამოელის მინიინვაზიური ჩარევისაგან შესაძლებელია ერჩიოს ლაპაროსკოპიული მეთოდი, როგორც არჩევის ოპერაცია. იმ ქვეყნებისათვის კი, სადაც მკურნალობის დირებულების მინიმიზაციას პირველხარისხოვანი მინიშვნელობა ენიჭება, მინილპაროტომია განიხილება როგორც ოპტიმალური არჩევანი. ასე, რომ მინილაპაროტომიას აქვს უპირატესობა ლაპაროსკოპიასთან შედარებით როგორც

ჰოსპიტალური, ასევე სოციალური ფინანსური დირექტორების პერსპექტივაში [73, 246, 337, 365, 394, 400, 430, 461].

ნაღვლკენჭოვანი დაავადების სიხშირე ასაკის მატებასთან ერთად მკვეთრად იზრდება. 70 წლის ასაკისათვის დაავადების სიხშირე შეადგენს 15% და 24% შესაბამისად კაცებსა და ქალებში, ხოლო 90 წლის ასაკისათვის იგივე მაჩვენებლები შეადგენს 24% და 35%. ამასთან ერთად, ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებების, მათ შორის მწვავე ქოლეცისტიტის დესტრუქციული ფორმების სიხშირე ასევე მკვეთრად მატულობს მოხუც პაციენტებში. საქმეს ართულებს დაავადების შედარებით გვიანი გამოვლინება, შესაბამისად – გვიანი ჰოსპიტალიზაცია, ხშირად დაავადების ატიპიური კლინიკა, უმეტეს შემთხვევებში სერიოზული თანმხლები დაავადების ან დაავადებების არსებობა, შედეგად ოპერაციისშემდგომი გართულებების, მათ შორის მძიმე გართულებებისა და ლეტალობის მეტი ალბათობა [249, 377]. არა მხოლოდ ნაღვლკენჭოვანი დაავადება და მისი გართულებები, არამედ ხნიერ და მოხუც პაციენტთა ჯამრთელობის სიმყიფე დამოუკიდებლად გვევლინება, როგორც ოპერაციის შემდგომი გართულებების, მეტი საწოლ-დღეების, ჩვეული რისკების გაღრმავებისა და შესაძლო მძიმე გართულებების განმაპირობებელ ფაქტორად. აღნიშნულის გათვალისწინებით ასაკოვან პაციენტებში კარბოქსიპერიტონიუმი გვევლინება უფრო დიდ რის-ფაქტორად, ვიდრე ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ავადმყოფებში. ამავე დროს, მწვავე ქოლეცისტიტის დესტრუქციული ფორმებისას ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია ნაკლებ წარმატებულია. მწვავე დესტრუქციული ქოლეცისტიტებისას მხედველობაში მისაღებია კონვერსიათა სამმაგი სიხშირე, მნიშვნელოვნად უფრო მაღალი საერთო პოსტოპერაციულ გართულებათა რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდებულია კონვერსიის დაბალი ზღვარი. სხვადასხვა ავტორის მონაცემით 65 ან 70 წელი არის ლაპაროსკოპიული მეთოდის გამოყენებისათვის ზედა ასაკობრივი ზღვარი. თუმცა მრავალი ნაშრომი მოიცავს ლაპაროსკოპიული მეთოდით მკურნალობის შედეგების კვლევას 70 და მეტი ასაკის პაციენტებში. აღნიშნულია, რომ ასეთ შემთხვევებში უფრო მაღალია კონვერსიის, ქირურგიული და არაქირურგიული გართულებების, ლეტალობის სიხშირე, თუმცა, უმეტეს კვლევაში მოცემული განსხვავებები სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ

ლაპაროსკოპია ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში მისაღები მეთოდია, თუმცა, მინილაპაროგომია არ შეიცავს ლაპაროსკოპიისათვის დამახასიათებელ ზემოთაღნიშნულ რისკებს, ამავე დროს ახასიათებს მინინვაზიური მეთოდის ყველა უპირატესობა და შეიძლება მეტად მისაღები იყოს პაციენტთა მოცემული ჯგუფისათვის [7, 13, 37, 55, 160, 190, 248, 250, 297, 298, 327, 354, 394, 426, 473, 496, 497].

მცირე განაკვეთისა და კლასიკური ტექნიკის კომბინაცია მრავალი აგტორისათვის იყო მიუღებელი, თუმცა ჯერ კიდევ იმ ეპოქაში, როდესაც ითვლებოდა, რომ დიდი განაკვეთი ნიშნავს დიდ ქირურგს, თავისი დროის უდიდესი ქირურგი Clermont წერდა: “მცირე ზომის ოპერაციული განაკვეთი უხერხულია ქირურგისათვის, თუმცა ოპერაციის შემდგომ პერიოდში ძალზე მოსახერხებელია პაციენტისათვის”. პროფ. M.I. Прудков წერს: “თავს უფლებას ვაძლევ ვამტკიცო, რომ არც ფართო განაკვეთით წარმოებული კლასიკური ოპერაციები და არც მცირე განაკვეთით შესრულებული ლია ოპერაციები არასდროს დაკარგავს აქტუალობას. გაცილებით სწორია კომპლექსური მიღგომა და ამა თუ იმ მეთოდისათვის ჩვენებათა მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება. მინიმიდგომით წარმოებული ოპერაციები მოიაზრება არა, როგორც ლაპაროსკოპიის კონკურენტი, არამედ, როგორც ლაპაროგომიის რაოდენობათა შემდგომი შემცირების საკმოდ ეფექტური მეთოდი. თუმცა გარკვეულ სიტუაციებში მინილაპაროგომიულ ოპერაციას წარმატებით შეუძლია ჩაანაცვლოს ლაპაროსკოპიული” [31, 32]. Prof. A. Johnson-ის გადმოცემით მისი კლინიკის სამედიცინო პერსონალი უპირატესობას ანიჭებს მინიქოლეცისტექტომიას და იმ შემთხვევაში, თუკი მათ თავისი ჯანმრთელობის მდგომრეობის გამო დასჭირდებოდათ ქოლეცისტექტომია, ისინი აირჩევდნენ მინილაპაროგომიულ მიღგომას [384]. Prof. E. Nilsson Prof. A. Johnson-ის პასუხად წერს: “რაც შეეხება პერსონალის რეაქციას, მათ ლია ოპერცია ურჩევნიათ. რეზიდენტები გამოხატვენ დიდ სურვილს შეასრულონ ლია ოპერაცია მცირე განკვეთიდან. ვფიქრობ უნდა მოვახდინოთ ნაღვლის ბუშტის ქირურგიული ტექნიკის ხელახლი ანალიზი ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით. ჩემი პირადი აზრით, მათვის, გინც ურგენტულ შემთხვევებში ასრულებს ლია, ტრადიციულ ქოლეცისტექტომიას, უმჯობესი იქნება ნაკლებტრაგმული მინილაპაროგომიული ოპერაციის წარმოება” [384]. Prof. Onno T Terpstra “Royal College of Surgeons”-ის ეპიდემიოლოგიისა და აუდიტის დეპარტამენტის მონაცემებზე

დაყრდნობით, რომელიც შესრულდა ბრიტანეთის ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაკვეთით, აღნიშნავს, რომ პირველად რეკომენდაციებში მოცემულია შემდეგი: “ქირურგები არ უნდა იქნან წახალისებულნი, რომ მინილაპაროტომიული ჩარევა ჩაანაცვლონ ლაპაროსკოპიულით. ეს რეკომენდაცია შედარებით გვიან იქნა შემოთავაზებული, განსაკუთრებით კონტინენტური უკროპისათვის, სადაც ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია უკვე დამკვიდრებულ იქნა, როგორც ნაღვლის ბუშტის ამოკვეთის არჩევის პროცედურა” [443]. Keus F. et all. მიხედვით, კლინიკურ გამოსავლებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ორივე მინიონვაზიური მეთოდი განიხილება, როგორც ნაღვლკენჭოვანი დაავადების სიმპტომური ფორმის მკურნალობის პირველადად არჩევის ოპერაცია [244]. იგივე ავტორის დასკვნით “განფასებათა შორის განსხვავებებზე დაყრდნობით მცირე განაკვეთით წარმოებული ქოლეცისტექტომია ლაპაროსკოპიასთან შედარებით შეიძლება განხილულ იქნას ოპერაციის წარმოების უკეთეს ტექნიკად, როგორც პოსპიტალური, ასევე სოციალური განფასების მიხედვით” [246]. პროფ. Шулутко А.М. и Соавт. წერს: “მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია არის ლაპაროსკოპიული მიდგომის ალტერნატივა, როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული ქოლეცისტიტისას” [412]. Prof. Sanjay Purkayastha მიხედვით, “პაციენტებში, რომელთათვისაც სხვადასხვა მიზეზების გამო ლაპაროსკოპია უკუნაჩვენებია, მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია განიხილება, როგორც უცემტური ალტერნატივა იგივე კლინიკური შედეგებით” [365]. Prof. Oyogoa Sylvanus et all. სტატიაში წერს: ”ჩვენ ვასკვნით, რომ მინილაპაროტომია შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის სრულყოფილი ალტერნატივა, განსაკუთრებით პაციენტებში, რომელთათვისაც ლაპაროსკოპიული პროცედურა რთული გადასატანია და იმ ქვეყნებში, სადაც მწვავედ დგას ფინანსური პრობლემები” [354].

ამრიგად, ნაღვლკენჭოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობის სხვადასხვა სახის შესახებ მიმოხილულია საკმაოდ ფართო ლიტერატურული მასალა. მსოფლიოს მასშტაბით, მრავალი ავტორის მიერ დეტალურად და მკაფიოდად გაანალიზებული ტრადიციული თუ მინიონვაზიური ჩარევების სხვადასხვა უპირატესობა და ნაკლი ერთმანეთთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში არ შეგხვედრია ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მქონე

სხვადასხვა ასაკისა და/ან თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტთა სისტემატიზაცია ჯგუფების მიხედვით და მოცემული ჯგუფებისათვის ქირურგიული მკურნლობის ჩამოყალიბებული, მწყობრი ალგორითმი. აღნიშნული ადასტურებს მოცემული კვლევის აქტუალობას, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის რეალობის გათვალისწინებით.

### 3. მასალა და კვლევის მეთოდები

#### 3.1 საკვლევი ჯგუფების ავადმყოფთა მახასიათებლები

ნაშრომი წარმოადგენს მულტიცენტრულ, რეტროსპექტულ კვლევას და დამყარებულია ორი მინიინგაზიური მეთოდით (ლაპაროსკოპიული და მინილაპაროტომიული) ნაღვლაგენტოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მქონე 1997 პაციენტის ოპერაციული მკურნალობის შედეგების ანალიზზე. კვლევა მოიცავს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის რესპუბლიკურ ცენტრში, ქ. თბილისის №IV კლინიკურ საავადმყოფოში, აღნიშნულ საავადმყოფოსთან არსებულ ენდოვიდეოქირურგიის ცენტრში, კლინიკებში: “უნიკალი”, “მერამედი”, “ნეოკლინიკა” 2002 წლის პირველი იანვრიდან 2008 წლის ოცდათერთმეტ დეკემბრამდე პერიოდში შესრულებულ ლაპაროსკოპიულ და მინილაპაროტომიულ ოპერაციებს. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, კლინიკებში: “უნიკალი”, “მერამედი”, “ნეოკლინიკა”, პერიოდში, რომელსაც მოიცავს კვლევა, სრულდებოდა მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის რესპუბლიკურ ცენტრში, ქ. თბილისის №IV კლინიკურ საავადმყოფოში, აღნიშნულ საავადმყოფოსთან არსებულ ენდოვიდეოქირურგიის ცენტრში – ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, ხოლო აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში – ორივე სახის მინიინგაზიური ჩარევა. კვლევაში მონაწილე სხვადასხვა კლინიკის ქირურგთა უმეტესობა, 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, ფლობდა ორივე მინიინგაზიურ მეთოდის წარმოების ტექნიკას.

წარმოებული ოპერაციის სახეობის მიხედვით პაციენტები დაყოფილ იქნენ ორ ჯგუფად და პირობითად ეწოდათ: პირველს - ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისა (ლქ) და მეორეს – მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომიის (მქ) ჯგუფი. პირველი ჯგუფის 1479 პაციენტს ჩაუტარდა ლქ, ხოლო მეორე ჯგუფის 1518 პაციენტს - მქ. სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა როგორც გეგმიური, ასევე მწვავე შემთხვევები. ვინაიდან მეტად აქტუალურად გვესახებოდა მინიინგაზიურ ჩარევათა

შედეგების კვლევა ხნიერ პაციენტებში, აღნიშნულ საკვლევ ჯგუფებში გამოვყავით ასაკობრივი ქვეჯგუფები. ორივე ჯგუფის 60-დან 69 წლამდე ასაკის პაციენტებს ჩვენ გავნიხილავდით როგორც ხანშიშესულს, ხოლო 70 და მეტი წლოვანებისას – როგორც მოხუცს. გამორიცხვის კრიტერიუმი იყო 18 წელზე ნაკლები ასაკი, ორსულობა, საეჭვო ან დადგენილი კიბოს არსებობა. ინფორმირებული თანხმობა ოპერაციების მიღებულ ყოველი პაციენტისაგან.

საკვლევი ჯგუფების შესაძარებელ მახასიათებლებად მიღებულ იქნა პაციენტთა სქესი, ასაკი, სხეულის მასის ინდექსი (სმი), მწვავე და გაგმიურ შემთხვევათა რაოდენობა, დესტრუქციული ქოლეცისტიტების (ფლეგმონური, განგრენული) რაოდენობა, გადატანილ დავადებათა და/ან ოპერაციათა რაოდენობა, თანხლებ დაავადებათა რაოდენობა და სიმძიმე, ოპერაციამდე პაციენტთა ფიზიკური სტატუსის შეფასება ASA კლასიფიკაციის მიხედვით, ძირითადი ანუ ნაღვლკენჭოვანი დაავადების სხვადასხვა გართულებების რაოდენობა და სიმძიმე. მოცემული კრიტერიუმები გაანალიზებული იყო როგორც მთელ საკვლევ ჯგუფებში თავმოყრილი პაციენტებისათვის, ასევე, ცალკე ხანშიშესული და მოხუცი პაციენტებისათვის და მწვავე შემთხვევებისათვის, როგორც კატეგორიებისათვის.


პარამეტრების სრულად და ზუსტად შეკრებისა და შემდგომი სტატისტიკური ანალიზისათვის შეიქმნა მონაცემთა ბაზა SPSS version 20.0 გამოყენებით. მახასიათებლებისა და შედგების ჯგუფებს შორის შედარება მოხდა ANOVA მეთოდის, ხოლო ნატურალურ რიცხვებს შორის შედარება – Pearson  $X^2$  კრიტერიუმის საშუალებით. გამოყოფილ იქნა გამოსავლებზე ჯგუფებს შორის ზოგი პარამეტრების მნიშვნელოვან განსხვავებათა შესაძლო ზეგავლენა. გადახრათა კორეგირება მოხდა მრავალგანზომილებიანი წრფივი რეგრესიული ანალიზით. მიღებულ შედეგსა ან ჯგუფებში შესასწავლ ნიშანთა შორის განსხვავებას ვთვლიდით სტატისტიკურად სარწმუნოდ თუ დამაჯერებლობის კოეფიციენტი  $P$  value  $\leq .05$  (two-tailed). კვლევის სტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებსა და ეთიკურ ნორმებს.

ლქ ჯგუფის 1479 პაციენტიდან 1198 იყო ქალი, 281 – მამაკაცი, ხოლო მქ ჯგუფის 1518 პაციენტიდან 1214 იყო ქალი, 304 – მამაკაცი. მათი ასაკი მერყეობდა 18-დან 88 წლამდე. მათი საშუალო ასაკი იყო 50,7 (SD=14,11; 95% CI, 49,95-51,41) წელი ლქ და


51,3 (SD=14,03; 95% CI, 50,57-52,01) წელი მქ ჯგუფში ( $P=0,24$ ). ლქ ჯგუფის პაციენტთა 38,5%-სა და მქ ჯგუფის პაციენტთა 50,6%-თან მოხდა სხეულის მასის ინდექსის (სმი) განსაზღვრა. საშუალო სმი, პაციენტებში, რომელთანაც განსაზღვრული იყო მოცემული პარამეტრი, შეადგენდა 27,5 (SD=4,1; 95% CI, 27,22-27,88) და 27 (SD=2,2; 95% CI, 26,86-27,17), შესაბამისად ლქ-სა და მქ-სათვის ( $P=0,002$ ).

პაციენტთა ასაკობრივი გადანაწილება ლქ და მქ ჯგუფებში მოცემულია შესაბამისად გრაფიკებში 1 და 2.

გრაფიკი 1. პაციენტთა ასაკობრივი გადანაწილება ლქ ჯგუფში




გრაფიკი 2. პაციენტთა ასაკობრივი გადანაწილება მქ ჯგუფში



ლქ ჯგუფში მწვავე პათოლოგია ჰქონდა 212 პაციენტს (14,3%), ხოლო მქ ჯგუფში – 314 (20,7%) პაციენტს ( $P<0,001$ ). მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმების მქონე პაციენტთა საშუალო ასაკი შეადგენდა 50 და 53,3 წელს, შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P=0,009$ ). სმი იყო 27,3 და 26,4, შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P=0,067$ ). დესტრუქციული ფორმების მქონე პაციენტების რაოდენობა შეადგენდა 145 (9,8%)-სა და 262 (17,2%)-ს, შესაბამისად ლქ-სა და მქ ჯგუფებისათვის ( $P=0,079$ ). ოვითონ დესტრუქციული ფორმებიდან, ფლეგმონური ქოლეცისტიტი აღენიშნებოდა ლქ ჯგუფის 113 (7,6%) და მქ ჯგუფის 183 (12%) პაციენტს, ხოლო განგრენული – ლქ ჯგუფის 32 (2,2%) და მქ ჯგუფის 79 (5,2%) პაციენტს. კატარული ფორმის მქონე პაციენტები გადანაწილდა შემდეგნაირად: 67 (4,5%) და 52 (3,4%), შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფში (გრაფიკი 3).


**გრაფიკი 3.** საკვლევი ჯგუფების პაციენტთა განაწილება მწვავე ქოლეცისტიტის ფორმების მიხედვით



ლქ ჯგუფი იყო 310 (21%), ხოლო მქ ჯგუფში - 303 ხანშიშესული პაციენტი ( $P=0,17$ ). ლქ ჯგუფში იყო 134 (9%), ხოლო მქ ჯგუფში 159 (10,5%) მოხუცი პაციენტი ( $P=0,17$ ). მქ ჯგუფის ხანშიშესული და მოხუცი ასაკის ქვეჯგუფებში მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმები შეგვხვდა 111 პაციენტთან, რაც შეადგენს

მთელი მქ ჯგუფის ავადმყოფების 7.35%-ს, ხოლო მოცემული საკვლევი ჯგუფის მწვავე ფორმის მქონე პაციენტების 35.35%-ს. ლქ ჯგუფის იგივე ასაკოვან ქვეჯგუფებში მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმები შეგვხდა 61 პაციენტთან, რამაც მთელი ლქ ჯგუფის ავადმყოფების 4.1%, ხოლო მოცემული საკვლევი ჯგუფის მწვავე ფორმის მქონე პაციენტების 28.8% შეადგინა. მქ ჯგუფის ზემოთაღნიშნული 111 პაციენტიდან 65 (58.5%) მოდიოდა სანშიშესულებზე, ხოლო 46 (41.5%) – მოხუცებზე. ლქ ჯგუფის ზემოთაღნიშნული, ქოლეცისტიტის მწვავე ფორმის მქონე 61 პაციენტიდან 45 (73.8%) მოდიოდა სანშიშესულებზე, ხოლო 16 (26.2%) – მოხუცებზე (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4. მწვავე ქოლეცისტიტების გადანაწილება სანშიშესული და მოხუცი ასაკის პაციენტთა ქვეჯგუფებში



სანშიშესულ პაციენტთა შორის ფლებმონური ქოლეცისტიტი აღენიშნა ლქ ჯგუფის 30 (9.7%) პაციენტს და მქ ჯგუფის 38 (12.5%) პაციენტს ( $P=0.335$ ), ხოლო განგრენული ქოლეცისტიტი – ლქ ჯგუფის 6 (1.9%) პაციენტს და მქ ჯგუფის 18 (5.9%) პაციენტს ( $P=0.3$ ). მოხუც პაციენტებს შორის 9 (6.7%) ლქ ჯგუფისა და 18 (11.3%) მქ ჯგუფის ავადმყოფს აღმოაჩნდა ფლებმონური ქოლეცისტიტი ( $P=0.335$ ), ხოლო 3 (2.2%) ლქ ჯგუფისა და 20 (12.63%) მქ ჯგუფის ავადმყოფს – განგრენული ქოლეცისტიტი ( $P=0.3$ ) (ცხრილი 7, 8).

ცხრილი 7. ხანშიშესულ პაციენტთა გადანაწილება მწვავე ქოლეცისტის დესტრუქციული ფორმების მიხედვით

პაციენტი	ლქ ჯგუფი	მქ ჯგუფი	P value
ქოლეცისტის ფლეგმონური ფორმის მქონე ხანშიშესული პაციენტები	30 (9.7%)	38 (12.5%)	0.335
ქოლეცისტის განგრენული ფორმის მქონე ხანშიშესული პაციენტები	6 (1.9%)	18 (5.9%)	0.3
სულ ხანშიშესულები	310(100%)	303(100%)	

ცხრილი 8. მოხუც პაციენტთა გადანაწილება მწვავე ქოლეცისტის დესტრუქციული ფორმების მიხედვით

პაციენტი	ლქ ჯგუფი	მქ ჯგუფი	P value
ქოლეცისტის ფლეგმონური ფორმის მქონე მოხუცი პაციენტები	9 (6.7%)	18 (11.3%)	0.335
ქოლეცისტის განგრენული ფორმის მქონე მოხუცი პაციენტები	3 (2.2%)	20 (12.6%)	0.3
სულ მოხუცები	134(100%)	159(100%)	

აღსანიშნავია, რომ ხანშიშესულ პაციენტებს შორის მწვავე დესტრუქციული ფორმებიდან, ლქ ჯგუფის მსგავსად ( $P<0.001$ ), მქ ჯგუფშიც, განგრენულთან შედარებით, დომინირებდნენ ფლეგმონური ფორმის მქონე პაციენტები ( $P=0.01$ ). მოხუც პაციენტებს შორის, განსხვავებით ლქ ჯგუფისაგან, სადაც რაოდენობრივად, ოუმცა არა სტატისტიკურად, სჭარბობდნენ კვლავ ფლეგმონური ფორმის მქონენი ( $P=0.08$ ), მქ

ჯგუფში – რაოდენობრივადაც და სტატისტიკურადაც თითქმის თანაბრობა აღინიშნებოდა ( $P=0.745$ ) (ცხრილი 9, 10).

ცხრილი 9. მწვავე ქოლეცისტიტის დესტრუქციულ ფორმათა გადანაწილება საკვლევი ჯგუფების ხანშიშესულ პაციენტებში

პაციენტი	ფლეგმონური ფორმა	განგრენული ფორმა	<i>P value</i>
ლქ ჯგუფის ხანშიშესული პაციენტები	30 (44.1%)	6 (25%)	<0.001
მქ ჯგუფის ხანშიშესული პაციენტები	38 (55.9%)	18 (75%)	0.001
სულ	68 (100%)	24 (100%)	


ცხრილი 10. მწვავე ქოლეცისტიტის დესტრუქციულ ფორმათა გადანაწილება საკვლევი ჯგუფების მოხუც პაციენტებში

პაციენტი	ფლეგმონური ფორმა	განგრენული ფორმა	<i>P value</i>
ლქ ჯგუფის მოხუცი პაციენტები	9 (6.7%)	3 (2.2%)	0.08
მქ ჯგუფის მოხუცი პაციენტები	18 (11.3%)	20 (12.6%)	0.745
სულ	27 (100%)	23 (100%)	

ლქ ჯგუფის 71 (4.8%) და მქ ჯგუფის 80 (5.3%) პაციენტს ჰქონდა სხვადასხვა სახის გადატანილი დაავადებები და/ან ოპერაციები (მანიპულაციები) ( $P=0.616$ ). ლქ ჯგუფის ერთ პაციენტს აღენიშნა ორი გადატანილი დაავადება. გადატანილ დაავადებათა და ოპერაციათა თითო შემთხვევა, როგორიცაა მიოკარდიუმის ინფარქტი, წვრილი ნაწლავის რეზექცია, პნევმონია იყო ლქ ჯგუფში, პანკრეატიტი, მიომექტომია – მქ-ში. კუჭის რეზექციის შემდგომი მდგომარეობის 1 შემთხვევა იყო ლქ, ხოლო 8 შემთხვევა


– მქ ჯგუფში ( $P=0.022$ ). 27 და 25 გადატანილი აპენდექტომია იყო შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებში ( $P=0.609$ ). 11 ლქ და 8 მქ ჯგუფის პაციენტს პქონდა გაკეთებული თიაქარპლასტიკა ( $P=0.455$ ). აღსანიშნავია, რომ არ შეგვხვედრია ჭიპის თიაქრის გამო შესრულებული თიაქარპლასტიკის არც ერთი შემთხვევა. 29 პაციენტს ლქ და 37 პაციენტს მქ ჯგუფიდან ქოლედოქოლითიაზის გამო ოპერაციამდე წარმატებით პქონდათ ჩატარებული ენდოსკოპიური პაპილოსფინქტეროტომია (ეპსტ) ( $P=0.449$ ) (გრაფიკი 5). მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმების მქონე პაციენტებში აღინიშნა 7 და 6 გადატანილი დაავადებები და/ან ოპერაციები (მანიპულაციები), შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებში ( $P=0.453$ ). მწვავე შემთხვევებიდან ლქ ჯგუფის 1 პაციენტს პქონდა გაკეთებული თიაქარპლასტიკა. 4 და 5 გადატანილი აპენდექტომიის შემთხვევა აღინიშნა შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებში ( $P=0.98$ ). 2 ლქ და 1 მქ ჯგუფის პაციენტს ქოლედოქოლითიაზის გამო წარმატებით ჩაუტარდა ეპსტ ოპერაციამდე ( $P=0.223$ ).

გრაფიკი 5. საკვლევი ჯგუფების პაციენტების სრულ რაოდენობაში მოცემული გადატანილი დაავადებები, ოპერაციები




პაციენტებში, ოომელთაც ადენიშნათ გადატანილი დაავადებები და ოპერაციები, ლქ ჯგუფის ხანშიშესულ ავადმყოფებზე მოდიოდა კუჭის რეზექციის, მიოკარდიუმის ინფარქტის, პნევმონიის, ხოლო მქ ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებზე - მიომექტომიის თითო შემთხვევა. ლქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე მოდიოდა მიოკარდიუმის ინფარქტის 1 შემთხვევა. გადატანილ დაავადებათა და ოპერაციათა ზემოთაღნიშნული რაოდენობებიდან შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფების ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებზე მოდიოდა 16 (11 - ხანშიშესული, 6 - მოხუცი) და 12 (8 - ხანშიშესული, 5 - მოხუცი) აპენდექტომია, 1 (ხანშიშესული) და 7 (3 - ხანშიშესული და 4 - მოხუცი) კუჭის რეზექცია, 10 (7 - ხანშიშესული და 3 - მოხუცი) და 17 (13 - ხანშიშესული და 4 - მოხუცი) ეპსტ და თვითოვული ჯგუფის თიაქარპლასტიკის 6 შემთხვევა (3 - ხანშიშესული, 3 - მოხუცი ლქ-ში და 4 - ხანშიშესული, 2 - მოხუცი მქ-ში). ხანშიშესული და მოხუცი პაციენტების მიერ გადატანილ ცალკეულ დაავადებებსა და ოპერაციებს შორის არსებული *P value* თითქმის არ განსხვავდებოდა საკვლევი ჯგუფების პაციენტების სრულ რაოდენობას შორის არსებული ანალოგიური მაჩვენებლისაგან. ამრიგად, ლქ ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებზე მოდიოდა 24 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 2%-ს), ხოლო მოცემულ ჯგუფის პაციენტთა მიერ გადატანილ დაავადებათა 33.3%-ს), ხოლო მქ ჯგუფის ხანშიშესულ ავადმყოფებზე - 29 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 1.9%-ს, ხოლო მოცემული ჯგუფის პაციენტთა მიერ გადატანილ დაავადებათა 36.25%-ს) გადატანილი დაავადება თუ ოპერაცია ( $P=0.9$ ). ლქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე მოდიოდა 13 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.9%-ს, ხოლო მოცემული ჯგუფის პაციენტთა მიერ გადატანილ დაავადებათა 18%-ს), ხოლო მქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე - 15 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 1%-ს, ხოლო მოცემული ჯგუფის პაციენტთა მიერ გადატანილ დაავადებათა 18.75%-ს) გადატანილი დაავადება და/ან ოპერაცია ( $P=0.7$ ) (გრაფიკი 6, 7).

გრაფიკი 6. საკვლევი ჯგუფების ხანშიშესული პაციენტების მიერ გადატანილი დაავადებები, ოპერაციები



გრაფიკი 7. საკვლევი ჯგუფების მოხუცი პაციენტების მიერ გადატანილი დაავადებები, ოპერაციები



პაციენტებს პქონდათ მეტ-ნაკლებად მძიმე თანხლები დაავადებები. ლქ ჯგუფის 189 (12.8%) და მქ ჯგუფის 195 (12.8%) პაციენტს აღენიშნათ სხვადასხვა სახის თანმხლები


დაავადებები ( $P=0,617$ ). ლქ ჯგუფის 17 და მქ ჯგუფის 35 პაციენტს აღენიშნა 2 და მეტი თანმხლები დაავადება ერთდროულად. სანშიშესულ და მოხუც პაციენტებს პქონდათ მეტი და უფრო მძიმედ მიმდინარე თანმხლები დაავადებები. თანმხლები დაავადება აღმოაჩნდა ლქ ჯგუფის 66 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 4.5%-ს, ხოლო მოცემული ჯგუფის თანმხლები დაავადებების 32%-ს) და მქ ჯგუფის 74 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 4.9%-ს, ხოლო მოცემული ჯგუფის თანმხლები დაავადებების 32.2%-ს) სანშიშესულ პაციენტს ( $P=0,89$ ). ლქ ჯგუფის 46 (რამაც შეადგინა მთლიანი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 3.1%, ხოლო მოცემული ჯგუფის თანმხლები დაავადებების 22.3%) და მქ ჯგუფის 67 (რამაც შეადგინა მთლიანი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 4.4%, ხოლო მოცემული ჯგუფის თანმხლები დაავადებების 29.1%) მოხუც პაციენტს აღენიშნა სხავადხსხვა თანმხლები დაავადება ( $P=0,72$ ). ორივე ჯგუფის თანმხლებ დაავადებებს შორის აღინიშნებოდა შაქრიანი დიაბეტი ( $P=0,47$ ) (სანშიშესულ პაციენტებში -  $P=0,64$ , მოხუცებში -  $P=0,91$ ), გულის უკმარისობა ( $P=0,16$ ) (სანშიშესულ პაციენტებში -  $P=0,46$ , მოხუცებში -  $P=0,71$ ), გულის იშემიური დაავდება (გ.ი.დ.) ( $P=0,814$ ) (სანშიშესულ პაციენტებში -  $P=0,36$ , მოხუცებში -  $P=0,31$ ), II-III ხარისხის ჰიპერტონიული დაავადება ( $P=0,552$ ) (სანშიშესულ პაციენტებში -  $P=0,46$ , მოხუცებში -  $P=0,83$ ), ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (ფ.ქ.ო.დ.) ( $P=0,383$ ) (სანშიშესულ პაციენტებში -  $P=0,83$ , მოხუცებში -  $P=0,13$ ), ბრონქული ასთმა ( $P=0,609$ ) (სანშიშესულ პაციენტებში -  $P=0,64$ ), პეპტიური წყლული ( $P=0,373$ ) (სანშიშესულებში -  $P=0,68$ , მოხუცებში -  $P=0,47$ ), ღვიძლის ციროზი ( $P=0,975$ ) (სანშიშესულებში -  $P=0,58$ , მოხუცებში -  $P=0,36$ ), საკვერცხის კისტა ( $P=0,048$ ), ქვემო კიდურების ვარიკოზი ( $P=0,311$ ) (სანშიშესულებში -  $P=0,15$ , მოხუცებში -  $P=0,28$ ). ცალკე მქ ჯგუფში აღინიშნებოდა 4 საშვილოსნოს მიომა, 1 საშვილოსნოს ყელის ეროზია, მიტრალური სტენოზის ერთი შემთხვევა, რომელიც მოდიოდა სანშიშესულ პაციენტზე, ასევე, სხვადასხვა სახის თიაქრის 6 თანმხლები დაავადებიდან 3 მოდიოდა სანშიშესულ და 1 - მოხუც პაციენტზე, 2 ასციტიდან 1 მოდიოდა მოხუც პაციენტზე, 2 უროლითიაზიდან 1 - სანშიშესულზე. ცალკე ლქ ჯგუფში იყო თითო პერიოდული დაავადება და თურქული კენის ოსტეომა (ცხრილი 11, გრაფიკები 8, 9).

ცხრილი 11. ორი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა შორის არსებული თანმხლები დაავადებები.


დაავადება	ლქ ჯგუფი	გქ ჯგუფი	P value
შაქრიანი დიაბეტი	57 (27.7%)	51 (22.2%)	0.47
გულის უკმარისობა	8 (3.9%)	15 (6.5%)	0.16
გულის იშემიური დაავადება	19 (9.2%)	21 (9.1%)	0.81
ჰიპერტონიული დაავადება (II-III b.)	68 (33%)	65 (28.3%)	0.55
მიტრალური სტენოზი	0	1 (0.4%)	
ფ.ქ.ო.დ.*	18 (8.7%)	23 (10%)	0.38
ბრონქული ასთმა	12 (5.8%)	15 (6.5%)	0.61
პეპტიური წყლული	15 (7.3%)	11 (4.8%)	0.37
სხვადასხვა სახის თიაქარი	0	6 (2.6%)	
ღვიძლის ციროზი	3 (1.4%)	3 (1.3%)	0.97
ასციტი	0	2 (0.9%)	
პერიოდული დაავადება	1 (0.5%)	0	
უროლითიაზი	0	2 (0.9%)	
საშვილოსნოს მიომა	0	4 (1.7%)	
საშვილოსნოს ყელის ეროზია	0	1 (0.4%)	
საკვერცხის კისტა	3 (1.4%)	4 (1.7%)	0.048
ქემო კიდურების ვარიკოზი	1 (0.5%)	6 (2.6%)	0.3
ოურქული კენის ოსტეომა	1 (0.5%)	0	
სულ	206	230	

\*ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება

გრაფიკი 8. საკვლევი ჯგუფების ხანშიშესულ პაციენტთა თანმხლები დაავადებები



გრაფიკი 9. საკვლევი ჯგუფების მოხუც პაციენტთა თანმხლები დაავადებები



აღსანიშნავია შემდეგი შემთხვევა: პაციენტი ვ.ს., მდედრობითი სქესის, 64 წლის, ისტორიის ნომერი 86, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის რესპუბლიკურ

ცენტრში შემოვიდა 11.04.2002-ში. პაციენტს ჩაუტარდა სათანადო კვლევები. დიაგნოზი: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, მირიზის სინდრომი II ხარისხი, მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომი მდგომარეობა, გ.ი.დ., ჰიპერტონიული დაავადება II ხარისხი, ფქო. ავადმყოფს ჰოსპიტალიზაციამდე უტარდებოდა შესაბამისი კონსერვატიული მკურნალობა თანმხლები დაავადებებით გამოწვეული ცვლილებების კორეგირებისათვის. ჰოსპიტალიზაციის დღეს ჩატარდა გეგმიური ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია, სანალგიუმ გზების გარეთა დრენირება მინიონგაზიურად. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 3 სთ. ჰოსტოპერაციულ პერიოდში განვითარდა სუბპეპატური სივრცის აბსცესი. შესრულდა პერკუტანური დრენირება. მიუხედავად ამისა, საჭირო გახდა რეოპერაციის წარმოება. 24.04.2002-ში შესრულდა ლაპაროტომია კოხერის განაკვეთით, სუბპეპატური სივრცის სანაცია, დრენირება. ოპერაციის შემდგომ ჭრილობა დაჩირქდა. ხანგრძლივი, ინტენსიური კონსერვატიული მკურნალობის შემდეგ პაციენტი გაეწერა კლინიკიდან ჰოსპიტალიზაციიდან მე-60 დღეს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

მოგვაგს ლქ ჯგუფის კიდევ ერთი შემთხვევა: პაციენტი ს.მ., მდედრობითი სქესის, 67 წლის, ისტორიის ნომერი 12, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოგრიფისის რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 16.03.2007-ში. ჩატარდა სათანადო კვლევები. დიაგნოზი: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონიული დაავადება II ხარისხი. ჰოსპიტალიზაციამდე ავადმყოფს უტარდებოდა შესაბამისი კონსერვატიული მკურნალობა. სტანდარტული კვლევების ჩატარების შემდეგ, ჰოსპიტალიზაციის დღეს შესრულდა გეგმიური ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობა - 1 საათი. პაციენტი კლინიკაში დაჟყო 1 საწოლ-დღე. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

შემდეგი შემთხვევა არის მქ ჯგუფიდან: პაციენტი ქ.ნ., მდედრობითი სქესის, 59 წლის, ისტორიის ნომერი 222, შემოვიდა კლინიკა “უნიკალში” 27.11.2007-ში. ჩატარდა სათანადო კვლევები. დიაგნოზი: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, გულის უკმარისობა, ჰიპერტონიული დაავადება II ხარისხი. ავადმყოფს ჩაუტარდა შესაბამისი კვლევები. ჰოსპიტალიზაციამდე ავადმყოფს უტარდებოდა კონსერვატიული მკურნალობა თანმხლები დაავადებებით გამოწვეული ცვლილებების

კორეგირებისათვის. სტანდარტული კვლევების ჩატარების შემდეგ, ჰოსპიტალიზის დღეს შესრულდა გეგმიური ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია. ოპერაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 1 საათი. ჰოსპიტალიზის ხანგრძლივობა იყო 1 საწოლ-დღე. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

მწვავე შემთხვევებიდან 21 ლქ ჯგუფისა (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის 1.4%-ს და მოცემული ჯგუფის მწვავე შემთხვევების 10%-ს) და 53 მქ ჯგუფის (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის 3.5%-ს და მოცემული საკვლევი ჯგუფის 16.9%-ს) პაციენტებს აღენიშნათ სხვადასხვა სახისა და სიმძიმის თანმხლები დაავადებები ( $P=0,144$ ). აღსანიშნავია, რომ ხანჭიშესულ, განსაკუთრებით კი მოხუც პაციენტებში მეტი სისმირით გვხვდებოდა თანმხლები დაავადებები, მათ შორის სუბ ან დეკომპენსაციის სტადიაში. მწვავე შემთხვევების მქონე პაციენტებში თანმხლები დაავადებების გადანაწილება მოცემულია მე-12 ცხრილში.

საინტერესოა ლქ ჯგუფის შემდეგი შემთხვევა: ავადმყოფი გ.ბ., მდედრობითი სქესის, 64 წლის, ისტორიის ნომერი 4449, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოგრიფისის რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 12.05.2008-ში. ჩატარდა სტანდარტული კვლევები, დაისვა დიაგნოზი: ფლეგმონური, კალკულოზური ქოლეცისტიტი, ლოკალური სეროზული პერიტონიტი, “C” პეპატიტი, დვიძლის ციროზი, ასციტი. ავადმყოფის ხანმოკლე პრეოპერაციული მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს სანაცია, დრენირება. აღინიშნა ინტრაოპერაციული გართულება – სისხლდენა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან, რომელიც კუპირებულ იქნა მინიონვაზიურად, კონვერსიის გარეშე. ოპერაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 3 საათი. ავადმყოფმა კლინიკაში დაჰყო 2 საწოლ-დღე და გაეწერა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

მოგვავს შემთხვევა მქ ჯგუფიდან: პაციენტი ნ.ქ., მდედრობითი სქესის, 72 წლის, ისტორიის ნომერი 202, კლინიკა “უნიკალში” შემოვიდა 25.10.2007-ში. ჩატარდა სტანდარტული კვლევები, დაისვა დიაგნოზი: განგრენული, კალკულოზური ქოლეცისტიტი, ლოკალური სეროზული პერიტონიტი, ფ.ქ.ო.დ., გულის უკმარისობა. ავადმყოფის ხანმოკლე პრეოპერაციული მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო

ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის დრუს სანაცია, დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 1 საათი. ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 3 საწოლ-დღე. ავადმყოფი კლინიკიდან გაეწერა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

ცხრილი 12. საკვლევი ჯგუფების მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტთა თანმხლები დაავადებები

დაავადება	ლქ	ბქ	P value
შაქრიანი დიაბეტი*	4 (19%)	12 (22.6%)	0.32
ხანჭიშესული		2 (3.8%)	
მოხუცი	1 (4.8%)	4 (7.5%)	
გულის უკმარისობა*	0	2 (3.8%)	
ხანჭიშესული		1 (1.9%)	
მოხუცი		1 (1.9%)	
გულის იშემიური დაავადება*	3 (14.3%)	7 (13.2%)	0.5
ხანჭიშესული	2 (9.5%)	5 (9.4%)	
მოხუცი	2 (9.5%)	2 (3.8%)	
ჰიპერტონული დაავადება (II-III ხ.)*	9 (42.9%)	16 (30.2%)	0.56
ხანჭიშესული	5 (23.8%)	7 (13.2%)	
მოხუცი	2 (9.5%)	8 (15.1%)	
ფ.ქ.ო.დ.*	4 (19%)	5 (9.4%)	0.53
ხანჭიშესული	1 (4.8%)	2 (3.8%)	
მოხუცი	2 (9.5%)	2 (3.8%)	
ბრონქული ასთმა*	1 (4.8%)	3 (5.7%)	0.53
ხანჭიშესული		1 (1.9%)	
სხვა*	2 (9.5%)	7 (13.2%)	0.3
ხანჭიშესული	1 (4.8%)	2 (3.8%)	
მოხუცი	1 (4.8%)	3 (5.7%)	
სულ**	21 (100%)	53 (100%)	0.144

\*მთელი საკვლევი ჯგუფი

\*\*3 ლქ ჯგუფისა და 10 მქ ჯგუფის პაციენტის პქონდა 2 ან მეტი თანმხლები დაავადება

ავადმყოფთა ფიზიკური სტატუსის შესაფასებლად ვიყენებდით ამერიკის ანესთეზიოლოგთა საზოგადოების მიერ შემოღებულ (The American Society of Anesthesiologists (ASA) Physical Status) კლასიფიკაციას. მოცემული სისტემის მიზანია ნარკოზისა და ქირურგიული ჩარევის წარმოების წინ პაციენტის ავადობის ან ფიზიკური სტატუსის ხარისხის მარტივად შეფასება. ASA კლასიფიკაცია, რომლითაც ჩვენ ვიხელმძღვანელეთ საკვლევი ჯგუფის ავადმყოფთა შესაფასებლად, მოიცავს შემდეგ ხარისხებს:

1. პრაქტიკულად ჯანმრთელი პაციენტი ორგანული, ფიზიოლოგიური და ფსიქიური დაზიანებების გარეშე. გამონაკლის შეადგენს მეტად ახალგაზრდა და მოხუცი პაციენტები;
2. მსუბუქი სისტემური დაავადების მქონე პაციენტები. იგულისხმება: სხეულის რომელიმე სისტემის კარგად კონტროლირებული დაავადება, მაგ., კონტროლირებული ჰიპერტენზია ან შაქრიანი დიაბეტი სისტემური ეფექტის გარეშე, მწეველი ფ.ქ.ო.დ.-ის გარეშე, მსუბუქი ხარისხის სიმსუქნე, ორსულობა;
3. პაციენტები მძიმე სისტემური დაზიანებით. იგულისხმება: სხეულის ერთზე მეტი სისტემის ან ერთი მნიშვნელოვანი სისტემის კონტროლირებადი დაავადება; ლეტალობის არამყისიერი საფრთხე; გულის კონტროლირებადი შეგუბებითი უკმარისობა, სტაბილური სტენოკარდია, ძნელად კონტროლირებადი ჰიპერტენზია, პათოლოგიური სიმსუქნე, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, პერიოდულად გამოხატული სიმპტომებით მიმდინარე ბრონქოსპასტიური დაავადება;
4. პაციენტები სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი მძიმე სისტემური დაზიანებით. იგულისხმება: თუნდაც ერთი მძიმე დაავადება, რომელიც ძნელადაა კონტროლირებადი ან უკანასკნელ სტადიაშია; ლეტალობის შესაძლო საფრთხე; არასტაბილური სტენოკარდია, სიმპტომური ფ.ქ.ო.დ., სიმპტომური გულის შეგუბებითი უკმარისობა, ჰეპატორენული უკმარისობა;
5. მომაკვდავი პაციენტი, რომელსაც ოპერაციის გარეშე არ აქვს სიცოცხლის შენარჩუნების შანსი ანუ სიტუაცია, როდესაც ოპერაციის გარეშე 24 საათის განმავლობაში არ არის პაციენტის სიცოცხლის შენარჩუნების არანაირი მოლოდინი; ლეტალობის მრავალგვარი რისკი; პოლიორგანული უკმარისობა, არასტაბილური ჰემოდინამიკით მიმდინარე სეფსისი, ჰიპოთერმია, ძნელად კონტროლირებადი კოაგულოპათია;
6. პაციენტი დეკლარირებული თავის ტვინის სიკვდილით, რომლის ორგანოები (სათანადო

საკანონმდებლო ბაზის არსებობის შემთხვევაში - მ.გ.) შესაძლოა გამოყენებულ იქნას ტრანსპლანტაციისათვის [clevelandclinic.org].

ორივე საკვლევი ჯგუფის, მათ შორის ხანშიშესულ და მოხუც პაციენტთა განაწილება ASA კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია მე-13 ცხრილიში. ხანშიშესულ და მოხუც პაციენტთა *P value* არ აღმოჩნდა მთლიანი საკვლევი ჯგუფების იგივე მაჩვენებლისაგან განსხვავებული. აღსანიშნავია, რომ ASA 3-4 კატეგორიებს მიეკუთვნებოდა ლქ და მქ ჯგუფში მთლიანად წარმოდგენილი 18-დან 60 წლამდე პაციენტების (1035 ლქ და 1056 მქ პაციენტი) 3.5% და 3.7%, საკვლევ ჯგუფებში მთლიანად წარმოდგენილი ხანშიშესული პაციენტების (310 ლქ და 303 მქ პაციენტი) 12.9% და 16.5% და მოხუცი პაციენტების (134 ლქ და 159 მქ პაციენტი) 26.1% და 31.4%, შესაბამისად.

მწვავე პათოლოგიის მქონე პაციენტების გადანაწილება ASA კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია მე-14 ცხრილიში.

ცხრილი 13. პაციენტთა განაწილება ASA კლასიფიკაციის მიხედვით

კატეგორია	ლქ	მქ	<i>P value</i>
ASA 1-2*	1368 (92.5%)	1379 (90.8%)	0.34
18-დან 60 წლამდე პაციენტები	999 (67.5%)	1017 (67%)	
ხანშიშესული	270 (18.3%)	253 (16.7%)	
მოხუცი	99 (6.7%)	109 (7.2%)	
ASA 3-4*	111 (7.5%)	139 (9.2%)	0.31
18-დან 60 წლამდე პაციენტები	36 (2.4%)	39 (2.5%)	
ხანშიშესული	40 (2.7%)	50 (3.3%)	
მოხუცი	35 (2.4%)	50 (3.3%)	
სულ	1479 (100%)	1518 (100%)	

\*მთელი საკვლევი ჯგუფების პაციენტები

ცხრილი 14. მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტთა განაწილება ASA კლასიფიკაციის მიხედვით

კატეგორია	ლქ	ზქ	P value
ASA 1-2*	202 (95.3%)	292 (93%)	0.3
18-დან 60 წლამდე პაციენტები	149 (70.3%)	202 (64.3%)	
ხანშიშესული	43 (20.3%)	57 (18.2%)	
მოხუცი	10 (4.7%)	33 (10.5%)	
ASA 3-4*	10 (4.7%)	22 (7%)	0.2
18-დან 60 წლამდე პაციენტები	2 (0.9%)	39 (2.5%)	
ხანშიშესული	2 (0.9%)	8 (2.5%)	
მოხუცი	6 (2.8%)	13 (4.1%)	
სულ	212 (100%)	314 (100%)	

\*მთელი საკვლევი ჯგუფების პაციენტები

გარდა კალკულოზური ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმებისა (კატარული, ფლეგმონური, განგრენული), ლქ ჯგუფის 254 (17,2%) და მქ ჯგუფის 376 (24,8%) პაციენტს აღენიშნებოდა ძირითადი ანუ ნაღვლენჭოვანი დაავადების სხვადასხვა გართულებები. ლქ ჯგუფის 30 და მქ ჯგუფის 28 პაციენტს აღენიშნა ერთდროულად 2 და მეტი გართულება. გართულებათა რაოდენობა და სიმძიმე უფრო მაღალი იყო მქ ჯგუფში ( $P<0.001$ ). გართულებათა შორის ორივე მთლიან საკვლევ ჯგუფში შეგვხდა ქოლედოქოლითიაზი სიყვითლითა ( $P=0,66$ ) და სიყვითლის გარეშე ( $P=0,16$ ), ქოლანგიტი ( $P=0,32$ ), შექმუხხული ნაღვლის ბუშტი ( $P=0,43$ ), მირიზის სინდრომის I, II და III ტიპი Csendes-ის კლასიფიკაციის მიხედვით ( $P=0,73$ ), სხვადასხვა სახის პერიტონიტი ( $P=0,01$ ), ქოლეცისტო-დუოდენური ფისტულა ( $P=0,66$ ), ნაღვლის ბუშტის წყალმანკი ( $P=0,49$ ), ნაღვლის ბუშტის ემპიემა ( $P=0,4$ ), პერივეზიკულური ინფილტრატი ( $P=0,09$ ), პერივეზიკულური აბსცესი ( $P=0,09$ ). ლქ ჯგუფში იყო 1 ქოლანგიოპანკრეატიტი და 3 დიფუზური ჩირქოვან-ფიბრინული პერიტონიტი,

რომლიდანაც ერთი იყო ხანშიშესული. მქ ჯგუფში შეგვხვდა 2 ნაღვლის ბუშტის პერფორაცია, რომლიდანაც ერთი იყო ხანშიშესული, ხოლო ერთიც – მოხუცი. ლქ ჯგუფის 79 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 5.3%-ს, ხოლო მოცემული ჯგუფის თანმხლები დაავადებების 25.5%-ს) და მქ ჯგუფის 110 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 7.2%-ს, ხოლო მოცემული ჯგუფის თანმხლები დაავადებების 36.3%-ს) ხანშიშესულ პაციენტს აღმოაჩნდა ძირითადი დაავადების სხვადასხვა გართულება ( $P=0,001$ ). ლქ ჯგუფის 24 (რამაც შეადგინა მთლიანი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 1.6%, ხოლო მოცემული ჯგუფის თანმხლები დაავადებების 7.7%) და მქ ჯგუფის 62 (რამაც შეადგინა მთლიანი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 4.1%, ხოლო მოცემული ჯგუფის თანმხლები დაავადებების 20.5%) მოხუც პაციენტს აღენიშნა ძირითადი დაავადების სხვადასხვა გართულება ( $P<0,001$ ). ხანშიშესულ და მოხუც პაციენტთა ცალკეული დაავადებების *P value* დაახლოებით ეთანადებოდა მთლიან საკვლევ ჯგუფებში წარმოდგენილ ზემოთაღნიშნულ მონაცემებს (ცხრილი 15, გრაფიკები 10, 11).

ავადმყოფი ლქ ჯგუფიდან: გ.ბ., მამრობითი სქესის, 54 წლის, ისტორიის ნომერი 11, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოგრიფიული რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 12.03.2007-ში. ჩატარდა სტანდარტული კვლევები. დიაგნოზი: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, ქოლედოქოლითიაზი. პაციენტს პრეპარაციულად წარმატებით ჩაუტარდა ეპსტ. შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია, პერიტონეუმის ღრუს დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 2 საათი. პაციენტი კლინიკაში დაჰყო 2 საწოლ-დღე. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

მოგვყავს შემთხვევა მქ ჯგუფიდან: პაციენტი ნ.მ., მამრობითი სქესის, 80 წლის, ისტორიის ნომერი 78, კლიინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემოვიდა 24.01.2007-ში. სტანდარტული კვლევების ჩატარების შემდეგ დაისვა დიაგნოზი: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, ქოლედოქოლითიაზი, პიპერტონული დაავადება II ხარისხი. შესრულდა გეგმიური ოპერაცია: მინილაპაროგრამიული ქოლეცისტექტომია, ქოლედოქოლითორმია, ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია, სანაღვლე გზების გარეთა დრენირება, პერიტონეუმის ღრუს დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 125 წუთი.

პოსტოპერაციულად, ავადმყოფს უტარდებოდა კონსერვატიული მკურნალობა. პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 4 საწოლ-დღე. ავადმყოფი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა კლინიკიდან შემდგომი ამბულატორიული მკურნალობისათვის. საბოლოოდ, ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

ცხრილი 15. ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებები წარმოდგენილი ორ მთლიან საპვლევ ჯგუფში

დაავადება	ლქ ჯგუფი	მქ ჯგუფი	P value
ქოლედოქოლითიაზი	40 (14.1%)	50* (12.4%)	0.41
წყალმანკი	36 (12.7%)	41 (10.1%)	0.49
ემპიემა	24 (8.5%)	30 (7.4%)	0.4
პერივეზიკულური ინფილტრატი	29 (10.2%)	18 (4.5%)	0.09
პერივეზიკულური აბსცესი	13 (4.6%)	15 (3.7%)	0.09
მირიზის სინდრომი**	8 (2.8%)	8 (2%)	0.73
შეჭმუხნული ნაღვლის ბუმბი	2 (0.7%)	4 (1%)	0.43
სხვადასხვა ფორმის პერიტონიტი***	130 (45.8%)	235 (58.2%)	0.01
ნაღვლის ბუმბის პერფორაცია	0	2 (0.5%)	
ქოლეცისტოდუოდენური ფისტულა	1 (0.4%)	1 (0.2%)	0.66
ქოლანგიოპანკრეატიტი	1 (0.4%)	0	
სულ****	284	404	<0.001


\*მათ შორის 1 ხანშიშესული პაციენტი ქოლანგიტით

\*\* I, II და III ტიპი Csendes-ის კლასიფიკაციის მიხედვით


\*\*\*\* ლოკალური სეროზული, ლოკალური ბილიარული, ლოკალური ჩირქოვან-ფიბრინული, დიფუზური ჩირქოვან-ფიბრინული პერიტონიტი

\*\*\*\* ლქ ჯგუფის 30 და მქ ჯგუფის 28 პაციენტს აღენიშნა ერთდროულად 2 და მეტი გართულება

გრაფიკი 10. ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებები ორი საკვლევი ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებში



გრაფიკი 11. ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებები ორი საკვლევი ჯგუფის მოხსეც პაციენტებში



მწვავე შემთხვევებში, თვითონ მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმების გარდა (კატარული, ფლეგმონური, განგრენული), ძირითადი ანუ ნაღვლკენჭოვანი დაავადების სხვადასხვა გართულებები შეგვხვდა ლქ ჯგუფის 148 (მწვავე შემთხვევების 69,8%) და მქ ჯგუფის 277 (მწვავე შემთხვევების 88,2%) პაციენტთან ( $P<0.001$ ). ლქ ჯგუფის 28 და მქ ჯგუფის 26 პაციენტს ერთდროულად აღენიშნა 2 ან მეტი გართულება. აღნიშნულ გართულებათა გადანაწილება მწვავე შემთხვევებში (მათ შორის ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში) მოცემულია მე-16 ცხრილში.

მოგვაგს მაგალითი ლქ ჯგუფიდან: პაციენტი გ.ხ., მდედრობითი სქესის, 37 წლის, სმი 31,4, ისტორიის ნომერი 182, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 27.09.2002-ში. ჩატარდა სტანდარტული კვლევები. დიაგნოზი: განგრენული, კალკულოზური ქოლეცისტიტი, ლოკალური ბილიარული პერიტონიტი, მწვავე ქოლანგიოპანკრეატიტი. ავადმყოფის ხანმოკლე პრეოპერაციული მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს სანაცია, დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 90 წუთი. პოსტოპერაციულად ავადმყოფს ჩაუტარდა ინტენსიური კონსერვატიული მკურნალობა. პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 4 საწოლ-დღე. ავადმყოფი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა კლინიკიდან.

მოგვაგს შემთხვევა მქ ჯგუფიდან: პაციენტი ო.ბ., მდედრობითი სქესის, 67 წლის, სმი 27,7, ისტორიის ნომერი 356, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემოვიდა 12.12.2006 წელს. ჩატარდა შესაბამისი კვლევები. დიაგნოზი: ფლეგმონური, კალკულოზური ქოლეცისტიტი, პერივეზიკულური აბსცესი, ქოლეცისტო-დუოდენური ფისტულა. ხანმოკლე წინასაოპერაციო მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია, ქოლეცისტო-დუოდენური ფისტულის ლიკვიდაცია, თორმეტგოჯა ნაწლავის დეფექტის გაკერვა, ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია, პერიტონეუმის ღრუს სანაცია, დრენირება. კონვერსიას ადგილი არ ჰქონია. ოპერაციის ხანგრძლივობა – 2.5 საათი, პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა – 3 საწოლ-დღე. ავადმყოფი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა კლინიკიდან.

ცხრილი 16. ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებები ორი საკვლევი ჯგუფის შოვავე პათოლოგიის მქონე პაციენტებში

გართულებები	ლქ	ბქ	P value
ქოლედოქოლითიაზი*	5 (2.8%)	9** (12.4%)	0.4
ხანშიშესული	2 (1.1%)	2 (4%)	
მოხუცი	2 (1.1%)	3 (2%)	
წყალმანკი და ემპიემა*	26 (14.7%)	32 (10.6%)	0.3
ხანშიშესული	8 (4.5%)	9 (3%)	
მოხუცი	4 (2.3%)	2 (0.7%)	
პერივეზიკულური ინფილტრაცი და აბსცესი*	15(8.5%)	18 (5.9%)	0.5
ხანშიშესული	7 (4%)	6 (2%)	
მოხუცი		3 (0.9%)	

მირიზის სინდრომი*	0	5(1.6%)	0.4
ხანშიშესული		1 (0.3%)	
მოხუცი		2 (0.7%)	
სხვადასხვა ფორმის პერიტონიტი*	130 (73.9%)	235 (77.5%)	0.03
ხანშიშესული	36 (20.4%)	53 (17.5%)	
მოხუცი	12 (6.8%)	36 (11.9%)	
სხვა*	0	4 (1.3%)	0.2
ხანშიშესული		3 (0.9%)	
მოხუცი		1 (0.3%)	
სულ***	176 (100%)	303 (100%)	<0.001

\*მთლიანი საკვლევი ჯგუფი

\*\*მათ შორის 1 ხანშიშესული პაციენტი ქოლანგიტით

\*\*\* ლქ ჯგუფის 28 და მქ ჯგუფის 26 პაციენტს ერთდროულად აღენიშნა 2 ან მეტი გართულება

### 3.2 ოპერაციისწინა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები

პრეოპერაციული ლაბორატორიული კვლევა, უმეტეს შემთხვევებში მოიცავდა სტანდარტულ პაკეტს, რომელშიც შედის სისხლის, შარდის საერთო ანალიზი, სისხლის ჯგუფისა და რეზუს-ფაქტორის განსაზღვრა, სეროლოგიური ტესტები, კოაგულოგრამა, ლკიძლის ფუნქციების განსაზღვრა, სისხლში გლუკოზის განსაზღვრა. თანმხლები დაავადებით ან დაავადებებით დამძიმებულ პაციენტებში კვლევა ფართოვდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რა თანმხლებ პათოლოგიასთან გვქონდა საქმე.

ინსტრუმენტული კვლევებიდან რუტინულად წარმოებდა ე.კ.ბ., ჩვენებისდა მიხედვით - გულმკერდის მიმოხილვითი რენტგენოლოგიური კვლევა. სპეციფიური, ოპერაციამდელი კვლევის “ოქროს სტანდარტი” იყო ულტრასონოგრაფია. შემთხვევებში, როცა მონაცემები არ იყო საკმაოდ ნათელი, ჩვენ, შესაძლებლობის

შემთხვევაში, ვიყენებდით კომპიუტერულ ტომოგრაფიას (კტ), მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას (მრტ), მაგნიტურ-რეზონანსულ ქოლანგიოპანკრეატოგრაფიას (მრქპ), ენდოსკოპურ რეტროგრადულ ქოლანგიოპანკრეატოგრაფიას (ერქპ). ინგრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია არ გამოიყენებოდა რუტინულად. მისი რუტინულად გამოყენების საკითხი სანალვლე გზების დაზიანების პრევენციისათვის ჯერ კიდევ სადაც და რჩება მიმდინარე დებატების თემად (იხ. ლიტერატურის მიმოხილვა). ენდოსკოპური პაპილოსფინქტეროტომია (ეპსტ) პრეოპერაციულად კეთდებოდა მაშინ, როდესაც ქოლედოქოლითიაზის დიაგნოზი ოპერაციამდე იყო დასმული. წარუმატებელი ან არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში წარმოებდა სანალვლე გზებზე ჩარევა ინრტაოპერაციულად (მინიონვაზიურად ან კონვერსიის შემდეგ). მწვავე ქოლეცისტიის დიაგნოზის დასმის შემთხვევაში ოპერაციული მკურნალობა წარმოებდა ხანძოები, ადექვატური ოპერაციისწინა მომზადების შემდეგ.

### **3.3 ლაპაროსკოპიული და მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომიის მეთოდიკა და ტექნიკა**

ლქ-ს ტექნიკა იყო ჩვეული. პნევმოპერიტონეუმი უხშირესად მიიღწეოდა ჭიპის ქვემო განაკვეთიდან შეევანილი ტროაკარიდან 12 mmHg ინტრააბდომინური წნევით. ოპერაციები წარმოებდა “Storz”-ის ფირმის, საკვლევი პერიოდისათვის ოპტიმალური, აპარატურითა და ინსტრუმენტებით. ტროაკართა განლაგება, ოპერატორისა და ასისტენტის დგომა ავადმყოფთან მიმართებაში ძირითადად იყო ამერიკული. ქირურგებს არ ჰქონიათ რაიმე სპეციფიური ინსტრუქცია და იყვნენ თავისუფალნი ლქ ტექნიკის დეტალების არჩევაში. ოპერატორ ქირურგებს საკვლევი პერიოდისათვის უკვე ჰქონდათ დაგროვილი ლაპაროსკოპიულ ქირურგიაში მუშაობის გამოცდილება, ჰქონდათ შესაბამისი ლიცენზია.

მქ-ის წარმოებისათვის ვიყენებდით “მინი-ასისტენტის” სერიის სპეციალურ ქირურგიულ ინსტრუმენტთა ნაკრებს. ინსტრუმენტთა ნაკრების მომწოდებელია შ.კ.ს. “ლიგა 7”. აღნიშნული ნაკრები შედგება ცირკულარული რგოლის, სხვადასხვა ზომის რეტრაქტორების, დამატებითი რეტრაქტორისაგან, რომელშიც ჩამონტაჟებულია გამანათებელი და ასევე, გრძელი, მოცემული ოპერაციისათვის მოდიფიცირებული ინსტრუმენტებისაგან. მათი მოდიფიკაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მუშაობისას თვითონ ინსტრუმენტმა არ დაფაროს ისედაც მცირე საოპერაციო ველი. პერიტონეუმის ღრუს გახსნის შემდეგ აღნიშნული საოპერაციო ველი იფარგლება ტამპონებით, რომელთა დისტანციონება ნაღვლის ბუშტისაგან ხდება რეტრაქტორთა ნაკრებით. სხვა წარმოების ინსტრუმენტებთან შედარებით შ.კ.ს. “ლიგა 7”-ის ინსტრუმენტთა ნაკრები ფუნქციურად უფრო კომფორტულია მინიმიდგომით ოპერაციის წარმოებისათვის.

მქ-ს წარმოებისას მინი-განაკვეთი იყო მარჯვენამხრივი ტრანსრექტალური, ნაღვლის ბუშტის პროექციაზე ლოკალიზაციით. კანი, კანქვეშა ქსოვილი, სწორი კუნთის მყესბუდის წინა კედელი იკვეთებოდა, სწორი კუნთი ითიშებოდა ბლაგვად. იკვეთებოდა სწორი კუნთის მყესბუდის უკანა კედელი, პერიტონეუმის პარიესული ფურცელი (სურ. 4). უმეტეს კვლევებში, კანის 8სმ სიგრძის განაკვეთი მოცემულია, როგორც მინილაპაროგომიასა და დია ოპერაციაზე კონვერსიას შორის არსებული ზედა ზღვარი. ჩვენ ვაწარმოებდით ქოლეცისტექტომიას 3-5სმ-ანი განაკვეთიდან. 5სმ-ზე მეტი სიგრძის განაკვეთი ითვლებოდა, როგორც დია ოპერაციაზე კონვერსია (სურ. 5). აღსანიშნავია, რომ სანაღვლე გზებზე ჩარევის შემთხვევაში კომფორტულია მინიმიდგომა შუა ხაზიდან, რასაც მივმართავდით კიდეც, როდესაც აღნიშნული ტიპის ჩარევი პრეოპერაციულად იყო დაგეგმილი.

სურათი 4. მინილაპაროგომიული  
ქოლეცისტექტომია



სურათი 5. მინილაპაროგომიული ქოლეცისტექტომიის შემდგომი ჭრილობა



შემთხვევებში, როდესაც პერიტონეუმის ღრუს რევიზია ითვლებოდა მიზანშეწონილად, ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია კი, ან იყო უკუნაჩვენები, ან სხვადასხვა მიზეზების გამო არ იყო ხელმისაწვდომი, პერიტონეუმის ღრუს რევიზია, სანაცია და ადექვატური დრენირება კეთდებოდა მინიმიდგომით წარმოებული ქოლეცისტექტომიისას. ასე, რომ დესტრუქციული ქოლეცისტიტების ისეთ შემთხვევებში, როცა ოპერაციამდელი ინსტრუმენტული კვლევებით მკაფიოდ ვერ იქნა დადასტურებული ექსუდატის არსებობა, მისი განვითარების მუცლის ღრუში ან იქნა დადასტურებული და პერიტონეუმის ღრუს რევიზია და/ან სანაცია და დრენირება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ჩვენ ინტრაოპერაციულად გამოვიყენეთ ლაპაროსკოპი ან სხვა ხელმისაწვდომი ოპტიკური ხელსაწყო მინი-განაკვეთიდან აღნიშნული მანიპულაციების წარმოებისათვის. მუცლის წინა კედლის ლიფტინგს ვახდენდით მინი-განაკვეთიდან „მინი-ასისტენტის“ სერიის ინსტრუმენტთა ნაკრებში შემავალი კავებით. რევიზიას ვაწარმოებდით რომელიმე ოპტიკური ინსტრუმენტით. გამონაჟონის არსებობის შემთხვევაში ხდებოდა მისი ასპირაცია, მუცლის ღრუს სანაცია და ადექვატური დრენირება. უნდა აღინიშნოს, რომ რევიზია შესაძლებელია ნებისმიერი ოპტიკური ინსტრუმენტით, მათ შორის თორაკოსკოპით, ცისტოსკოპით, ენდოსკოპით, ანუ მოცემული მანიპულაცია ხელმისაწვდომი, მარტივი და იაფია.

შესაბამისად, მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ქალაქის ასევე რეგიონების კლინიკებში. მოძიებული ლიტერატურულ მასალაში ჩვენ ვერ ვნახეთ მინილაპაროგონეუმის დრუს რევიზიის ასეთი ან მსგავსი მეთოდი. მოცემული მანიპულაციის წარმოება დავიწყეთ საკვლევი პერიოდის ბოლო თრი წლის განმავლობაში (სურ. 6).

სურათი 6. პერიტონეუმის დრუს რევიზია მინილაპაროგონეული ქოლეცისტექტომიის წარმოებისას



პაციენტებს ეძლეოდათ რჩევა საკვების ადრეულ მიღებასა და ადრეულ გააქტიურებაზე, ხოლო გაწერის შემდგომ, სამსახურსა თუ ყოველდღიური, ჩვეული აქტივობისათვის სწრაფად დაბრუნების მიზანშეწონილობაზე. პაციენტები სტაციონარიდან ეწერებოდნენ როგორც კი იგრძნობდნენ კლინიკის დატოვების უნარს და აღნიშნული ობიექტურად ჩაითვლებოდა შესაძლებლად. საწოლ-დღეები ითვლებოდა ოპერაციის შემდგომი დამეების რაოდენობის მიხედვით.

4.

გდეგბები

გ

ორ საკვლევ ლქ და მქ ჯგუფში წარმოებული სხვადასხვა მინინვაზიური ოპერაციების შედეგების შესაფასებლად ვიყენებდით შემდეგი კრიტერიუმების შედარებას: ქოლეცისტექტომიის დროს წარმოებული დამატებითი ინტრაოპერაციული ჩარევების რაოდენობა და მოცულობა, მათი შესრულებისას გამოყენებულ კონვერსიათა რაოდენობა, ინტრაოპერაციული გართულებების რაოდენობა და სიმძიმე, კონვერსიათა რაოდენობა და მიზეზები, ოპერაციის წარმოების საშუალო ხანგრძლივობა წუთებში, ოპერაციის შემდგომ არანარკოტიკულ და ნარკოტიკულ ანალგეტიკთა გამოყენების საშუალო ხანგრძლივობა დღეების მიხედვით მედიკამენტის ჯგუფისა და დღიური დოზის თანაბრობის პირობებში, ოპერაციის შემდგომ დამატებით მანიპულაციათა და რეოპერაციათა რაოდენობა და მათი მოცულობა, ოპერაციის შედეგად მიღებულ გართულებათა რაოდენობა და სიმძიმის ხარისხი Clavien-Dindo-ს კლასიფიკაციის მიხედვით, ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა საწოლ-დღეების მიხედვით, რეპოსპიტალიზაციის შემთხვევები ქირურგიული ჩარევიდან 30 დღის განმავლობაში. მოცემული კრიტერიუმები გაანალიზებული იყო როგორც მთელ საკვლევ ჯგუფში თავმოყრილი პაციენტებისათვის, ასევე, ცალკე ხანში შესული და მოხუცი პაციენტებისათვის და მწვავე შემთხვევებისათვის, როგორც კატეგორიებისათვის.

#### 4.1

#### ნტრაოპერაციული მაჩვენებლები

პაციენტების ნაწილთან, ქოლეცისტექტომიასთან ერთად, ინტრაოპერაციულად, შესრულებულ იქნა სხვადასხვა დამატებითი ჩარევა. ოპერაციამდე წარმოებული ეპსტ წარუმატებლობის, ასევე ძირითადი დაავადების სხვა გართულებების არსებობის შემთხვევაში ლქ და მქ ჯგუფში წარმოებული 1479 ლაპაროსკოპიული და 1518 მინილაპაროგომიული ქოლეცისტექტომიებისას ლქ ჯგუფის 37 (2.5%) და მქ ჯგუფის 43 (2.8%) პაციენტთან შესრულებულ იქნა შესაბამისად 50 (3,4%) და 47 (3,1%) დამატებითი ინტრაოპერაციული მანიპულაცია მინინვაზიურად ან კონვერსიის შემდეგ ( $P=0.7$ ). აღნიშნულიდან ლქ და მქ ჯგუფის სანშიშესულ პაციენტებზე მოდიოდა, შესაბამისად 20 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 1.35%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში შესრულებული მანიპულაციების 40%-ს) და 14 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.9%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში შესრულებული მანიპულაციების 29.8%-ს) ( $P=0.745$ ), ხოლო მოხუც პაციენტებზე – 6 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.4%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში შესრულებული მანიპულაციების 12%-ს) და 12 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.8%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში შესრულებული მანიპულაციების 25,5%-ს) ( $P=0.27$ ) მანიპულაცია. კონვერსია საჭირო გახდა ლქ ჯგუფის 8 (მოცემულ ჯგუფში შესრულებული მანიპულაციების 16%) და მქ ჯგუფის 4 (მოცემულ ჯგუფში შესრულებული მანიპულაციების 8,5%) პაციენტთან. ამათგან ლქ ჯგუფში იყო 2 სანშიშესული პაციენტი, მქ ჯგუფში - თითო სანშიშესული და მოხუცი პაციენტი. სანშიშესულ და მოხუც პაციენტთა  $P$  value არ აღმოჩნდა მთლიანი საკვლევი ჯგუფების იგივე მაჩვენებლისაგან განსხვავებული (ცხრილი 17).

მოგვყვას მაგალითი ლქ ჯგუფიდან: პაციენტი გ.ჩ., მდედრობითი სქესის, 74 წლის, ისტორიის ნომერი 86, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 31.05.2005-ში დიაგნოზით: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, ქოლედოქოლითიაზი. პრეოპერაციული ეპსტ არ შესრულებულა. სათანადო კვლევების ჩატარების შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, ქოლედოქიდან კენჭის ექსტრაქცია დორმიას კალათის გამოყენებით, ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია, ქოლედოქის გარეთა დრენირება, პერიტონიუმის დრუს დრენირება. კონვერსიას ადგილი არ ჰქონია.

ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 190 წუთი, პოსპიტალიზაციისა – 2 საწოლ-დღე. გართულებებს ადგილი არ ჰქონია. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

შემთხვევა მქ ჯგუფიდან: პაციენტი ვ.ლ., მამრობითი სქესის, 80 წლის, ისტორიის ნომერი 2253, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემოვიდა 10.09.2007-ში დიაგნოზით: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, ქოლედოქოლითიაზი, მექანიკური სიყვითლე, ჰიპარტონული დაავადება II ხარისხი. ეპსტ არ ჩატარებულა. სათანადო კვლევების ჩატარების შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია, ქოლედოქოლითოტომია, ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია, ქოლედოქის გარეთა დრენირება, პერიტონიუმის ღრუს დრენირება. ჩარევა შესრულდა მინილაპაროტომიის ფარგლებში. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 125 წუთი. პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 4 საწოლ-დღე. გართულებებს ადგილი არ ჰქონია. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტთაგან ლქ ჯგუფში შესრულდა 9 (მწვავე შემთხვევების 7.5%), ხოლო მქ ჯგუფში 16 (მწვავე შემთხვევების 2.9%) ინტრაოპერაციული დამატებითი ჩარევა ( $P=0.61$ ). აქედან ლქ ჯგუფის 3 და მქ ჯგუფის 8 შემთხვევაში პაციენტებს ჩაუტარდათ ერთდროულად 2 ან მეტი მანიპულაცია. მწვავე შემთხვევებში ინტრაოპერაციული დამატებითი ჩარევების გადანაწილება (მათ შორის ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში) მოცემულია მე-18 ცხრილში.

მქ ჯგუფის პაციენტი ე.გ., მდედრობითი სქესის, 72 წლის, ისტორიის ნომერი 503, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემოვიდა 17.04.2008-ში. ჩატარდა შესაბამისი კვლევები. დიაგნოზი: ფლეგმონური, კალკულოზური ქოლეცისტიტი, ქოლედოქოლითიაზი, ლოკალური სეროზული პერიტონიტი. ხანმოკლე წინასაოპერაციო მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია, ქოლედოქოლითოტომია, ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია, ქოლედოქის გარეთა დრენირება, პერიტონიუმის ღრუს სანაცია, დრენირება. ჩარევა შესრულდა მინილაპაროტომიის

ფარგლებში. ოპერაციის ხანგრძლივობა შეადგენდა 110 წუთს, პოსპიტალიზაციისა – 3 საწოლ-დღეს. გართულებებს ადგილი არ ჰქონია. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

ცხრილი 17. მთლიან საკვლევ ჯგუფებში შესრულებული ინტრაოპერაციული დამატებითი ჩარევები

მანიპულაციები	ლქ	გქ	P
ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია*	35 (70%)	33 (70.2%)	0.7
ხანშიშესული	15 (30%)	11 (23.4%)	
მოხუცი	4 (8%)	8 (17%)	
ქოლედოქოლითოტომია გარეთა დრენირებით (მინინვაზიურად)*	7 (14%)	9 (19.1%)	0.65
ხანშიშესული	3 (6%)	1 (2.1%)	
მოხუცი	2 (4%)	3 (6.4%)	
ქოლედოქოლითოტომია გარეთა დრენირებით (კონვერსია)*	7 (14%)	4 (8.5%)	0.3
ხანშიშესული			
მოხუცი	2 (4%)	1 (2.1%)	
1 (2.1%)			
ქოლეცისტო-დუოდენური ფისტულის ლიგადაცია*	0	1 (2.1%)	0.3
ხანშიშესული		1 (2.1%)	
ქოლეცისტო-დუოდენური ფისტულის ლიგადაცია (კონვერსია)*	1 (2%)	0	0.3
ხულ**	50 (100%)	47 (100%)	0.66

\*სრული საკვლევი ჯგუფები

\*\* ლქ ჯგუფის 15 და გქ ჯგუფის 14 პაციენტან შესრულდა 2 და მეტი მანიპულაცია

ცხრილი 18. მწვავე შემთხვევებში შესრულებული ინტრაოპერაციული დამატებითი ჩარევები

მანიპულაციები	ლქ	გქ	P
ინტრაოპერაციული ქოლანგიოგრაფია*	7 (77.8%)	8 (50%)	0.3
ხანშიშესული	5 (55.5%)	2 (12.5%)	
მოხუცი		3 (18.7%)	
ქოლედოქოლითოტომია გარეთა დრენირებით (მინიონგაზიურად)*	1 (11.1%)	3 (18.7%)	
ხანშიშესული	1 (11.1%)	2 (12.5%)	
მოხუცი			
ქოლედოქოლითოტომია გარეთა დრენირებით (კონვერსია)*	1 (11.1%)	4 (25%)	
ხანშიშესული		1 (6.2%)	
მოხუცი		1 (6.2%)	
ქოლეცისტო-დუოდენური დეფექტის ლიპიდაცია (მინიონგაზიურად)*	0	1 (6.2%)	
ხანშიშესული		1 (6.2%)	
სულ**	9 (100%)	16 (100%)	0.61

\*სრული საკვლევი ჯგუფები

\*\* ლქ ჯგუფის 3 და მქ ჯგუფის 8 შემთხვევაში პაციენტებს ჩაუტარდათ ერთდროულად 2 ან მეტი მანიპულაცია

ორივე საკვლევ ჯგუფში შეგვხვდა სხვადასხვა სახის ინტრაოპერაციული გართულებები. ლქ ჯგუფის 15 (1%) პაციენტს აღენიშნა 18 ინტრაოპერაციული გართულება, ხოლო მქ ჯგუფის 6 (0.4%) პაციენტს ამდენივე გართულება ( $P=0.02$ ). ლქ

ჯგუფის 3 პაციენტს აღენიშნა 2 ან მეტი გართულება ერთდროულად. ლქ ჯგუფის 6 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.4%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში აღნიშნული გართულებების 33.3%-ს) და მქ ჯგუფის 2 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.13%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში აღნიშნული გართულებების 33.3%-ს) ხანშიშესულ პაციენტს აღმოაჩნდა სხვადასხვა ინტრაოპერაციული გართულება. ლქ ჯგუფის 4 (რაც შეადგენს მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.3%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში აღნიშნული გართულებების 22.2%-ს) მოხუც პაციენტს აღმოაჩნდა სხვადასხვა ინტრაოპერაციული გართულება. მქ ჯგუფის მოხუც პაციენტებში ინტრაოპერაციულ გართულებებს ადგილი არ ჰქონია. ლქ ჯგუფის 8 პაციენტს აღენიშნა სისხლდენა. აქედან 4 შემთხვევაში მიზეზი იყო ნაღვლის ბუშტის არტერიის დაზიანება, დანარჩენ 4 შემთხვევაში აღინიშნა სისხლდენა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან. სისხლდენით გართულებული პაციენტებიდან 4 მათგანს ჰქონდა მწვავე ქოლეცისტიის დესტრუქციული ფორმები. მოცემული გართულების მქონე 8 პაციენტიდან 3 იყო ხანშიშესული, ხოლო 1 – მოხუცი. იგივე გართულება აღენიშნა მქ ჯგუფის 4 პაციენტს ( $P=0.97$ ). ყოველ მოცემულ შემთხვევაში სისხლდენა აღინიშნა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან. 1 მათგანი იყო ქოლეცისტიის ფლეგმონური ფორმის მქონე ხანშიშესული პაციენტი. თითოეული საკვლევი ჯგუფის ორ-ორ შემთხვევაში ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან სისხლდენა შეჩერებულ იქნა მინიინვაზიური ჩარევისას. კონვერსია საჭირო შეიქნა ლქ ჯგუფის დარჩენილ 2 პაციენტთან, ხოლო რეოპერაცია – მქ ჯგუფის 2 პაციენტთან ( $P=0.16$ ). ნაღვლის ბუშტის არტერიის დაზიანების 2 შემთხვევაში სისხლდენის შესაჩერებლად კონვერსია გახდა საჭირო. დარჩენილ 2 პაციენტთან კი ნაღვლის ბუშტის არტერიიდან სისხლდენა მანიფესტირებული იქნა პოსტოპერაციულად. ამ ორივე შემთხვევაში სისხლდენა კონტროლირებულ იქნა რეოპერაციის შემდეგ. სხვა სახის ინტრაოპერაციული გართულებები, როგორიცაა ნაღვლის ბუშტის კედლის დაზიანება შეგხვდა 6 ლქ ჯგუფისა და 2 მქ ჯგუფის პაციენტებში ( $P=0.054$ ), ხოლო პერიტონიუმის ღრუში დარჩენილი კონკრემენტები აღინიშნა ლქ ჯგუფის 3 პაციენტთან. ნაღვლის ბუშტის კედლის ინტრაოპერაციული დაზიანება და პერიტონიუმის ღრუში დარჩენილი კონრემენტები ზოგი ქირურგის მიერ არ განიხილება გართულებად. ლქ ჯგუფში იყო 1 კლინიკური სიკვდილის შემთხვევა. ლქ ჯგუფში აღინიშნა სანაღვლე სადინრის დაზიანების 1 და ნაღვლის ბუშტის

სარეცელიდან ნაღვლუონგის 2 შემთხვევა გეგმიურ პაციენტებში. ამ უკანასკნელ ორივე შემთხვევაში ნაღვლუონგა დამოუკიდებლად შემცირდა და შემდეგ შეწყდა ოპერაციიდან მეორე დღესვე. ნაღვლის საერთო სადინრის დაზიანება შეფასებულიქნა როგორც მეორე ტიპი ბისმუთის, E 2 ტიპი სტრასბერგის და III კლასი სტიუარტ-ვეის კლასიფიკაციების მიხედვით. დაზიანება კორეგირებულ იქნა წარმოქმული რეოპერაციის შედეგად ( $P=0.31$ ) (გრაფიკი 12, 13, 14).


მოგვავს შემთხვევა ლქ ჯგუდიდან: პაციენტი ს.დ., მამრობითი სქესის, 70 წლის, ისტორიის ნომერი 157, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოგრიფის რესაუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 09.12.2003-ში დიაგნოზით: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, გ.ი.დ., გულის უკმარისობა II ხარისხი. სათანადო კვლევების ჩატარების და წინასაოპერაციო მომზადების შემდეგ პაციენტი შეკვანილიქნა საოპერაციოში გეგმიური ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომისათვის. პნევმოპერიტონეუმის დამყარების შემდეგ, ოპერაციის დაწყებიდან 10 წუთში დაფიქსირდა გულის გაჩერება. რეანიმაციული დონისძიებების წარმატებით ჩატარების შემდეგ, პაციენტი გადაყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც გაგრძელდა ინტენსიური კონსერვატიული მკურნალობა. რეანიმაციული განყოფილებიდან პაციენტი გადაყვანილ იქნა 11.12.2003-ში. 13.12.2003-ში პაციენტი გაეწერა კლინიკიდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

მოგვავს კიდევ ერთი შემთხვევა ლქ ჯგუდიდან: პაციენტი მ.რ., მდედრობითი სქესი, 39 წლის, ისტორიის ნომერი 2233, ქ. თბილისის №IV კლინიკურ საავადმყოფოში შემოვიდა 02.10.2002-ში დიაგნოზით: ქრონიკული კალკულოზური ქოლეციისტიტი. სტანდარტული კვლევების ჩატარების შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, რომლის ხანგრძლივობა იყო 100 წუთი. მოხდა ინტრაოპერაციული გართულება: ნაღვლის საერთო სადინრის დაზიანება, რომელიც არ იქნა დადგენილი ოპერაციის მსვლელობისას. 04.10.2002-ში შესრულდა რელაპაროსკოპია. რევიზიით დადგინდა აღნიშნული გართულება. მოხდა კონვერსია და შესრულდა ოპერაცია: ზემო-შუა ლაპაროტომია, ნაღვლის საერთო სადინრის მთლიანობის აღდგენა, სანაღვლე გზების გარეთა დრენირება, პერიტონიუმის ღრუს სანაცია, დრენირება. ადგილი ჰქონდა 1 სმ-ის სიგრძის დაზიანებას. პოსტოპერაციულად ავადმყოფს უტარდებოდა კონსერვატიული მკურნალობა. გაწერის


ანუ შემოსვლიდან მე-16 დღეს ავადმყოფს ჩაუტარდა ქოლანგიოგრაფია, კონტრასტი თავისუფლად გადადიოდა თორმეტგოჯა ნაწლავში. პაციენტი გამოჯანმრთელდა.

შემთხვევა მქ ჯგუფიდან: პაციენტი რ.დ., მამრობითი სქესი, 47 წლის, ისტორიის ნომერი 123, კლინიკა “უნიკალში” შემოვიდა 11.05.2006-ში დიაგნოზით: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი. სტანდარტული კვლევების ჩატარების შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია. ინგრაოპერაციულად აღინიშნა სისხლდენა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან. იგი დროებით შეჩერებულ იქნა კოაგულაციით, თუმცა ოპერაციის დასრულების შემდეგ სისხლუონგა გაგრძელდა, რის გამოც საჭირო გახდა რეოპერაციის წარმოება. პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 5 საწოლ-დღე. პაციენტი გამოჯანმრთელდა.


გრაფიკი 12. ინტრაოპერაციული გართულებები ორ მთლიან საკვლევ ჯგუფში



გრაფიკი 13. ინტრაოპერაციული გართულებები ხანშიშესულ პაციენტებში



გრაფიკი 14. ინტრაოპერაციული გართულებები მოხუც პაციენტებში




მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტებს შორის ინგრაოპერაციული გართულებები შეგვხვდა 6 (მწვავე შემთხვევების 2.8%) ლქ ჯგუფისა და 1 (მწვავე შემთხვევების 0.32%) მქ ჯგუფის პაციენტთან ( $P=0.014$ ). ლქ ჯგუფის 1 შემთხვევაში აღინიშნა 2 გართულება. ლქ ჯგუფის 5 პაციენტთან ინგრაოპერაციულად აღინიშნა ინტენსიური სისხლდენა. მათ შორის 3 შემთხვევაში ინტენსიური სისხლდენა იყო ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან, ხოლო 2 შემთხვევაში – ნაღვლის ბუშტის არტერიიდან. სისხლდენით გართულებულ ყველა პაციენტს ჰქონდა მწვავე დესტრუქციული ქოლეცისტიტი. 3 მათგანი იყო ხანშიშესული, ხოლო 1 – მოხუცი. მქ ჯგუფის 1 პაციენტს ინგრაოპერაციულად ჰქონდა ინტენსიური სისხლდენა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან, რომელიც შეჩერებლ იქნა მინიონვაზიურად. ასევე, მინიონვაზიურად იქნა შეჩერებული ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან სისხლდენა ლქ ჯგუფის 1 პაციენტთან, დანარჩენ 2 შემთხვევაში აუცილებელი გახდა კონვერსია. ნაღვლის ბუშტის არტერიის დაზიანების ორივე შემთხვევაში შესრულდა რეოპერაცია. ლქ ჯგუფის სხვა ინგრაოპერაციული გართულებები იყო ნაღვლის ბუშტის პერფორაცია და პერიტონიუმის დრუში დარჩენილი კონკრემენტები (გრაფიკი 15).

შემთხვევა ლქ ჯგუფში: პაციენტი ი.ც., მდედრობითი სქესის, 31 წლის, ისტორიის ნომერი 3230, ქ. თბილისის №IV კლინიკურ საავადმყოფოში შემოვიდა 09.07.2007-ში. ჩატარდა სათანადო კვლევები. დიაგნოზი: კალკულოზური, განგრენული ქოლეცისტიტი, ადგილობრივი ნაღვლოვანი პერიტონიტი. შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია. ინგრაოპერაციულად აღინიშნა სისხლდენა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან, რომელიც ვერ იქნა კონტროლირებული მინიონვაზიურად. გადაწყვდა კონვერსიის წარმოება, რის შემდეგ სისხლდენა შეჩერებულ იქნა. ოპერაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 110 წუთი, პოსპიტალიზაციისამ – 3 საწოლ-დღე. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

მოგვავს შემთხვევა მქ ჯგუფიდან: პაციენტი ლ.კ., მამრობითი სქესის, 56 წლის, ისტორიის ნომერი 260, კლინიკა “უნიკალში” შემოვიდა 24.11.2008-ში. ჩატარდა სათანადო კვლევები. დიაგნოზი: კალკულოზური, განგრენული ქოლეცისტიტი, ადგილობრივი ჩირქოვან-ფიბრინული პერიტონიტი. შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია. ინგრაოპერაციულად აღინიშნა სისხლდენა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან, რომელიც შეჩერებულ იქნა მინიონვაზიურად,

კონვერსიის გარეშე. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 90 წუთი, ჰოსპიტალიზაციისა – 3 საწოლ-დღე. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა.

გრაფიკი 15. ინტრაოპერაციული გართულებები საკვლევი ჯგუფების მწვავე ქოლეცისტის მქონე პაციენტებთან



ისეთ შემთხვევებში, როდესაც პრეოპერაციული ინსტრუმენტული კვლევები არ იყო დამაკმაყოფილებელი ან მოცემული კვლევების საფუძველზე პერიტონეუმის ღრუს რევიზია და/ან სანაცია, დრენირება ჩაითვალა მიზანშეწონილად, ჩვენ 32 პაციენტთან მოვახდინეთ მინი-განაკვეთიდან მუცლის წინა კედლის ლიფტინგი “მინი-ასისტენტის” სერიის ინსტრუმენტთა ნაკრებში შემავალი კავებით, ხოლო ლაპაროსკოპით - პერიტონეუმის ღრუს რევიზია. 32-დან 13 შემთხვევაში რევიზიასთან ერთად მოგვიხდა

ექსუდატის ასპირაცია მარჯვენა ლატერალური დარიდან, პერიტონეუმის ღრუს სანაცია და ადექვატური დრენირება.

მოგვაგს მაგალითი: პაციენტი ა.ქ., მამრობითი სქესის, 49 წლის, სმი 27.2, ისტორიის ნომერი 177, კლინიკა “უნიკალში” შემოვიდა 27.07.2008-ში. ჩატარდა სტანდარტული კვლევები. დიაგნოზი: განგრენული, კალკულოზური ქოლეცისტიტი, ადგილობრივი სეროზულ-ჰემორაგიული პერიტონიტი. ხანმოკლე წინასაოპერაციო მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს სანაცია, დრენირება. ინტრაოპერაციულად აღმოჩნდა, რომ ექსუდატის გავრცელება სცდებოდა დვიძლქვეშა მიდამოს. შესრულდა მუცლის წინა კედლის ლიფტინგი “მინი-ასისტენტის” სერიის ინსტრუმენტა ნაკრებში შემავალი რეტრაქტორებით და პერიტონეუმის ღრუს რევიზია ცისტოსკოპით. მარჯვენა ლატერალური დარიდან ევაკუირებულ იქნა დაახლოებით 100 მლ ექსუდატი, დრენირებულ იქნა დვიძლქვეშა მიდამო და მცირე მენჭის ღრუ. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 90 წუთი, ჰოსპიტალიზაციისა – 3 საწოლ-დღე. ავადმყოფი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა კლინიკიდან.

მქ ჯგუფის დესტრუქციული ქოლეცისტიტის მქონე ხანშიშესულ და მოხუც პაციენტა 94 შემთხვევიდან 34 შემთხვევაში გვქონდა ინტრაოპერაციული ტექნიკური სირთულეები ანთებითი ინფილტრატისა და აბსცესის (33 პაციენტი), ასევე ქოლეცისტოდუოდენური ფისტულის (1 პაციენტი) გამო. ინფილტრატისა და ყელში ჩაჭედილი კენჭის დროს ვაკეთებდით ქოლეცისტექტომიას ნაღვლის ბუშტის ფუძიდან. პუნქციის შემდეგ ვახდენდით ნაღვლის ბუშტის სუბსეროზულ მობილიზაციას, შეძლებისდაგვარად ვიღებდით კენჭებს სანათურიდან, მხედველობის ველის გასაუმჯობესებლად, ზოგჯერ ვკვეთდით ნაღვლის ბუშტის 1/2-ს ან 2/3-ს და ვამუშავებდით სადინარსა და არტერიას. საოპერაციო ველის ტამპონებით შემოფარგვლის შემთხვევაში, ეს უველაფერი შესაძლებელია მინი-მიდგომით. ამავე დროს, საოპერაციო ველის ტამპონებით შემოფარგვლის პირობებში, ინტრაოპერაციულად ნაღვლის ბუშტის მთლიანობის შემთხვევითი დაზიანება, ლაპაროსკოპიისაგან განსხვავებით, ნაკლებ პრობლემურია და შესაძლებელია არ იქნას განიხილული, როგორც გართულება. აღსანიშნავია, რომ მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომიის წარმოებისას სისხლდენა ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან,


ლაპაროსკოპიისაგან განსხვავებით, უფრო ადგილად კორეგირებადია სხვადასხვა მეთოდის (გაპერვა, ტამპონაცია) მარტივად გამოყენების შესაძლებლობის გამო.

თავის მხრივ, აღსანიშნავია მაგალითი ლქ ჯგუფიდან: პაციენტი ლქ., მდედრობითი სქესის, 24 წლის, სმი 22.9, ისტორიის ნომერი 3024, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 02.04.2008-ში. ჩატარდა კვლევები და კონსულტაციები შესაბამისი დარგის სპეციალისტაბთან. დიაგნოზი: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, 16 კვირის ორსულობა. სათანადო მომზადების შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს დრენირება. ოპერაცია მიმდინარეობდა 1 სთ-ის განმავლობაში პნევმოპერიტონეუმის 10 mm Hg წნევის პირობებში. ინტრა ან პოსტოპერაციულ გართულებებს ადგილი არ ჰქონია. პაციენტი მეორე დღეს გაეწერა კლინიკიდან.


კონვერსიათა რაოდენობის ლქ და მქ ჯგუფებს შორის შეფარდება იყო, შესაბამისად 47 (3,2%) და 22 (1,4%) ( $P=0.002$ ). კონვერსიათა აღნიშნული მთელი რაოდენობიდან 10 ლქ (საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.7%, ხოლო მოცემული ჯგუფის კონვერსიათა რაოდენობის 21.3%) და 4 მქ (საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.3%, ხოლო მოცემული ჯგუფის კონვერსიათა რაოდენობის 18.2%) შემთხვევა მოდიოდა ხანში შესულ ( $P=0.11$ ), ხოლო 3 ლქ (საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.2%, ხოლო მოცემული ჯგუფის კონვერსიათა რაოდენობის 6.4%) და 6 მქ (საკვლევი ჯგუფის პაციენტთა 0.4%, ხოლო მოცემული ჯგუფის კონვერსიათა რაოდენობის 27.3%) შემთხვევა – მოხუც ( $P=0.45$ ) პაციენტებზე. 3 ოპერაციის კონვერსია წარმატებულად მოხდა ლაპაროსკოპიიდან მინილაპაროტომიაზე. ლქ ჯგუფში კონვერსიის 25 შემთხვევა წარმოდგენილი იყო კვლევის ადრეულ პერიოდში. ორივე ჯგუფისათვის კონვერსიის მთავარი მიზეზები იყო პერივეზიკულური ინფილტრატითა და აბსცესით, მირიზის სინდრომით, შეჭმუხნული ნაღვლის ბუშტით გამოწვეული ტექნიკური სირთულეები, აგრეთვე ლქ ჯგუფის ინტრაოპერაციული გართულებების ზოგიერთი ზემოთაღწერილი შემთხვევა (სისხლდენები ნაღვლის ბუშტის სარეცელიდან და ნაღვლის ბუშტის არტერიის დაზიანების შედეგად) (გრაფიკები 16, 17, 18).

ლქ ჯგუფის პაციენტი თ.ჟ., მდედრობითი სქესის, 59 წლის, სმი 33.6, ისტორიის ნომერი 11794, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოგრიფის რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 01.12.2008-ში. ავადმყოფს ჩაუტარდა სტანდარტული კვლევები. დიაგნოზი: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი. ინტრაოპერაციული ტექნიკური სირთულეების გამო, რომელიც გამოწვეული იყო მირიზის სინდრომით (III ხარისხი), ლაპაროსკოპიიდან კონვერსია შესრულდა მინილაპაროტომიაზე, რითაც ჩარევა დარჩა მინინვაზიის ჩარჩოებში. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 3.5 სთ. პაციენტი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა კლინიკიდან შემოსვლიდან მეორე დღეს.

გრაფიკი 16. კონვერსიათა რიცხობრივი შეფარდება მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტებში



გრაფიკები 17 და 18. კონვერსიათა რიცხობრივი შეფარდება, შესაბამისად ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში.



მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტებში დია ოპერაციაზე კონვერსია შეგვხდა ლქ ჯგუფის 15 (მწვავე შემთხვევების 7.1%), ხოლო მქ ჯგუფის 14 (მწვავე შემთხვევების 4.4%) პაციენტთან ( $P=0.197$ ). აღნიშნულიდან ლქ ჯგუფში იყო 2 (0.9%) ხანშიშესული და 2 (0.9%) მოხუცი, ხოლო მქ ჯგუფში 2 (0.6%) ხანშიშესული და 4 (1.3%) მოხუცი პაციენტი. კონვერსიის უბშირესი მიზეზები იყო იგივე, რაც მთლიანი საკვლევი ჯგუფების პაციენტებისათვის.

მქ ჯგუფის პაციენტი გ.დ., მამრობითი სქესის, 43 წლის, ისტორიის ნომერი 33, კლინიკა „უნიკალში“ შემოვიდა 28.02.2008-ში. ჩატარდა სტანდარტული კვლევები.


დიაგნოზი: კალკულოზური, ფლეგმონური ქოლეცისტიტი, მირიზის სინდრომი III, ლოკალური სეროზული პერიტონიტი. ხანმოკლე წინასაოპერაციო მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: მინილაპაროტომია, კონვერსია, ლაპაროტომია, ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს სანაცია, დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 2 სთ, პოსპიტალიზაციისა – 4 საწოლ-დღე. აგადმყოფი გამოჯანმრთელდა.

ოპერაციის საშუალო დრო ლქ-სა და მქ-სათვის იყო შესაბამისად 76 (SD=38.47; 95% CI, 74-78) და 55 (SD=18.33; 95% CI, 54-56) წუთი ( $P<0.001$ ). პაციენტებში, რომელთა ოპერაციისას მოხდა კონვერსია, ლქ ჯგუფში ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობამ 176, ხოლო მქ ჯგუფში 118 წუთი შეადგინა ( $P<0.001$ ). ხანში შესულ პაციენტებში ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა ლქ და მქ ჯგუფებში შესაბამისად შეადგენდა 81 (SD=45.11; 95% CI, 76-86) და 59 (SD=19.35; 95% CI, 57-61) წუთს ( $P<0.001$ ). იგივე მაჩვენებელი მოხუც პაციენტთა შორის აღმოჩნდა 83 (SD=35.39; 95% CI, 77-89) და 61 (SD=22.55; 95% CI, 57-65) წუთი შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P<0.001$ ). საკვლევი ჯგუფების პაციენტების საწყის მონაცემთა შორის არსებულ გარკვეულ განსხვავებათა მხედველობაში მიღებისა და მრავალგანზომილებიანი წრფივი რეგრესიული ანალიზით მათი კორეგირების შემდეგ ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა მქ ჯგუფში შემცირდა 22 წუთით და შეადგინა 33 წუთი, ხოლო ლქ ჯგუფში იგივე ხანგრძლივობით გაიზარდა და შეადგინა 98 წუთი ( $P<0.001$ ).

მწვავე შემთხვევებში ოპერაციის საშუალო დრო შეადგენდა 81 (SD=44.25; 95% CI, 74-86) და 55 (SD=22.6; 95% CI, 53-57) წუთს ლქ და მქ ჯგუფებისათვის, შესაბამისად ( $P<0.001$ ). ხანში შესული პაციენტებისათვის მოცემული პარამეტრი შეადგენდა 84 და 60 წუთს ლქ და მქ ჯგუფებისათვის, შესაბამისად ( $P<0.001$ ). ლქ ჯგუფის მოხუცი პაციენტებისათვის ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა იყო 84 წუთი, ხოლო მქ ჯგუფის მოხუცი პაციენტებისათვის – 62 წუთი ( $P<0.001$ ). საკვლევი ჯგუფების პაციენტების საწყის მონაცემთა შორის არსებულ გარკვეულ განსხვავებათა მხედველობაში მიღებისა და მრავალგანზომილებიანი წრფივი რეგრესიული ანალიზით მათი კორეგირების შემდეგ ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა მქ

ჯგუფში შემცირდა 25 წელით და შეადგინა 30 წელი, ხოლო ლქ ჯგუფში გაიზარდა იგივე ხანგრძლივობით და შეადგინა 106 წელი ( $P<0.001$ ). (გრაფიკი 19).

#### გრაფიკი 19. ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა




## 4.2 პოსტოპერაციული მაჩვენებლები

პოსტოპერაციულად არანარკოტიკულ ანალგეტიკთა გამოყენების საშუალო ხანგრძლივობა საწოლ-დღეების მიხედვით შეადგენდა 1.3 (SD=0.77; 95% CI, 1.26-1.34) და 1.1 (SD=0.29; 95% CI, 1.085-1.115) დღეს, შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P<0.001$ ). ხანშიშესული პაციენტებისათვის იგივე მაჩვენებელი ლქ ჯგუფში იყო 1.5 (SD=0.98; 95% CI, 1.4-1.6), მქ ჯგუფში – 1.1 (SD=0.28; 95% CI, 1.07-1.13) დღე ( $P<0.001$ ), ხოლო მოხუცი პაციენტებისათვის – 1.3 (SD=0.62; 95% CI, 1.2-1.4) და 1.1 (SD=0.39; 95% CI, 1.04-1.16) დღე, შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P=0.016$ ) (გრაფიკი 19). ნარკოტიკული ანალგეტიკები გამოყენებულ იქნა ლქ ჯგუფის 22 (1.5%) და მქ ჯგუფის 6 (0.4%) პაციენტთან, ძირითადად კონვერსიის შემდეგ. მათი გამოყენების ხანგრძლივობა შეადგენდა 1.5 (SD=0.19; 95% CI, 1.49-1.51) და 1.2 (SD=0.08; 95% CI, 1.196-1.204) დღეს ( $P=0.002$ ). მონაცემები მიღებულ იქნა ორივე საკვლევი ჯგუფისათვის მედიკამენტის ჯგუფისა (ძირითად გამოყენებულ იქნა არასტეროიდული ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატები) და დღიური დოზის თანაბრობის პირობებში.

მწვავე შემთხვევებში არანარკოტიკული ანალგეტიკების გამოყენების ხანგრძლივობა შეადგენდა 1.4 (SD=0.07; 95% CI, 1.2-1.6) და 1.1 (SD=0.02; 95% CI, 1.0-1.2) საწოლ-დღეს ლქ და მქ ჯგუფებისათვის, შესაბამისად ( $P<0.001$ ). ნარკოტიკული ანალგეტიკები გამოყენებულ იქნა ლქ ჯგუფის 22 და მქ ჯგუფის 6 პაციენტთან. მათი გამოყენების ხანგრძლივობა ლქ ჯგუფში შეადგენდა 1.5, ხოლო მქ ჯგუფში – 1.2 საწოლ-დღეს ( $P=0.012$ ) (გრაფიკი 20).

გრაფიკი 20. პოსტოპერაციულად არანარკოტიკულ ანალგეტიკთა გამოყენების საშუალო ხანგრძლივობა საწოლ-დღეების მიხედვით



ლქ ჯგუფის 96 (6.5%) პაციენტს აღენიშნა 99 (6.7%) სხვადასხვა პოსტოპერაციული გართულება, მქ ჯგუფის 72 (4.7%) პაციენტს 72 გართულება ( $P=0.05$ ). ლქ ჯგუფის 3 პაციენტს აღენიშნა 2 ან მეტი გართულება ერთდროულად. ლქ ჯგუფის 30 (რაც შეადგენს საკვლევი ჯგუფის მთელი პაციენტების 2%-ს, ხოლო მოცემული ჯგუფში არსებული პოსტოპერაციული გართულებების 29.4%-ს) და მქ ჯგუფის 23 (რაც შეადგენს საკვლევი ჯგუფის მთელი პაციენტების 1.5%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში არსებული პოსტოპერაციული გართულებების 31.9%-ს) ხანში შესულ პაციენტს აღენიშნა სხვადასხვა პოსტოპერაციული გართულება ( $P=0.4$ ). ლქ ჯგუფის 36 (რაც შეადგენს საკვლევი ჯგუფის მთელი პაციენტების 2.4%, ხოლო მოცემულ ჯგუფში არსებული პოსტოპერაციული გართულებების 35.3%-ს) და მქ ჯგუფის 22 (რაც შეადგენს საკვლევი ჯგუფის მთელი პაციენტების 1.4%-ს, ხოლო მოცემულ ჯგუფში არსებული პოსტოპერაციული გართულებების 30.5%-ს) მოხუც პაციენტს ასევე აღენიშნა ოპერაციის შემდგომი გართულებები ( $P=0.04$ ). ორი საკვლევი ჯგუფის სხვადასხვა სახის პოსტოპერაციულ გართულებებს შორის შეგვხვდა გართულებები ჭრილობის მხრივ (ინფიცირება, დაჩირქება) ( $P=0.7$ ), ინტრააბდომინური ინფილტრატი ( $P=0.15$ ), ინტრააბდომინური აბსცესი ( $P=0.3$ ), პანკრეონეკროზი ( $P=0.98$ ), ნაწლავთა გახანგრძლივებული პარეზი, გაუგალობა ( $P=0.7$ ), გართულებები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ( $P=0.04$ ), გართულებები სასუნთქი სისტემის მხრივ ( $P=0.4$ ). ლქ ჯგუფში აღინიშნა 3 ოპერაციის შემდგომი, ჭიათურის არის თიაქარი ( $P=0.08$ ). მქ ჯგუფში პოსტოპერაციულ თიაქარს ადგილი არ ჰქონია. პოსტოპერაციული გართულებები უფრო მძიმედ მიმდინარეობდა ხანში შესულ და განსაკუთრებით მოხუც პაციენტებში. (ცხრილი 19), (გრაფიკი 21, 22).

შემთხვევა ლქ ჯგუფიდან: პაციენტი 6.ხ., მდედრობითი სქესის, 60 წლის, ისტორიის ნომერი 431, ქ.თბილისის №IV კლინიკურ საავადმყოფოში შემოვიდა 13.01.2008-ში დიაგნოზით: ქრონიკული კალცულოზური ქოლეცისტიტი. სათანადო კვლევების ჩატარების შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია. ოპერაციის ხანგრძლივობა – 1 სთ. პოსტოპერაციულ პერიოდში ავადმყოფს აღენიშნა ცხელება, ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, საერთო სისუსტე. ულტრაბიგრითი კვლევით დადგენილ იქნა დვიძლქვეშა არეში შემოფარგლული სითხის არსებობა. დაისვა დიაგნოზი: ქოლეცისტექტომიის შემდგომი მდგომარეობა, დვიძლქვეშა აბსცესი. პურპურანური დრენირების

არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო 22.01.2008-ში შესრულდა რეოპერაცია: ლაპაროტომია, დვიძლქვეშა აბსცესის სანაცია, დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობა – 80წთ. ავადმყოფს უტარდებოდა კონსერვატიული მკურნალობა. შემოსვლიდან მე-15 დღეს ავადმყოფი გაეწერა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.


მქ ჯგუფის პაციენტი ვ.შ., მდედრობითი სქესის, 40 წლის, სმი 27.6, ისტორიის ნომერი 219, კლინიკა “უნიკალში” შემოვიდა 04.10.2005-ში, დიაგნოზით: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, ბრონჟლი ასთმა. სათანადო კვლევების, კონსულტაციებისა და წინასაოპერაციო მომზადების შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია. ოპერაციის ხანგრძლივობა - 50წთ. პოსტოპერაციულ პერიოდში ავადმყოფს აღენიშნა გართულება სასუნთქი სისტემის მხრივ, კერძოდ თანმხლები დაავადებით გამოწვეული სუნთქვის უკმარისობა, რომელიც კორეგირებულ იქნა ინტენსიური კონსერვატიული ლონისმიებებით. შემოსვლიდან მე-3 დღეს პაციენტი გაეწერა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

ცხრილი 19. პოსტოპერაციული გართულებები ორი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა სრულ რაოდენობაში


გართულება	ლქ ჯგუფი	მქ ჯგუფი	P value
გართულებები ჭრილობის მხრივ	17 (17.2%)	20 (27.8%)	0.7
ინტრააბდომინური ინფილტრატი	8 (8.1%)	4 (5.55%)	0.15
ინტრააბდომინური აბსცესი	6 (6.1%)	3 (4.2%)	0.3
პანკრეონეკროზი	1 (1%)	1 (1.4%)	0.98
ნაწლავთა გახანგრძლივებული პარეზი	2 (2%)	3 (4.2%)	0.7
პოსტოპერაციული (ჭიპის) თიაქარი	3 (3%)	0	0.08
გართულებები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ	38 (38.4%)	23 (32%)	0.04
გართულებები სასუნთქი სისტემის მხრივ	23 (23.2%)	18 (25%)	0.4
დიკ	1 (1%)	0	0.3
სულ*	99 (100%)	72 (100%)	0.05

\*ლქ ჯგუფის 3 პაციენტს აღენიშნა 2 ან მეტი გართულება

გრაფიკი 21. პოსტოპერაციული გართულებები საკვლევი ჯგუფების ხანშიშესული პაციენტებში



გრაფიკი 22. პოსტოპერაციული გართულებები საკვლევი ჯგუფების მოხუც პაციენტებში



მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტებს შორის პოსტოპერაციული გართულებები შეგვხდა ლქ ჯგუფის 24 (მწვავე შემთხვევების 11.3%) და მქ ჯგუფის 28 (მწვავე შემთხვევების 8.9%) ავადმყოფთან ( $P=0.436$ ). ლქ ჯგუფის 3 და მქ ჯგუფის 2 პაციენტთან აღინიშნა 2 ან მეტი გართულება. მწვავე ქოლეცისტიტის მქონე

პაციენტებში გართულებათა გადანაწილება (მათ შორის სანშიშესულ და მოხუც პაციენტებში) წარმოდგენილია მე-20 ცხრილში.

შემთხვევა ლქ ჯგუფიდან: პაციენტი თ.ლ., მდედრობითი სქესის, 69 წლის, ისტორიის ნომერი 39, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოგრიფის რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 15.03.2005-ში. დიაგნოზი: კალკულოზური, ფლეგმონური ქოლეცისტიტი, ადგილობრივი ჩირქოვან-ფიბრინული პერიტონიტი. წინასაოპერაციო კვლევებისა და სანმოკლე მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს სანაცია, დრენირება. ოპერაცია შესრულება ტექნიკურად გართულდა პერივეზიკულური ინფილტრატის არსებობის გამო. ოპერაციის სანგრძლივობა იყო 2 სთ. პოსტოპერაციულ პეროდში განვითარდა გულის მწვავე უკმარისობა, დიკ (მიზეზი არაა დეტერმინირებული). ავადმყოფის მკურნალობა გაგრძელდა რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც უტარდებოდა ინტენსიური კონსერვატიული მკურნალობა. მიღწეულ იქნა მდგომარეობის სტაბილიზაცია. პოსპიტალიზაციის სანგრძლივობამ შეადგინა 12 საწოლ-დღე.

მქ ჯგუფის პაციენტი ლ.ი., მდედრობითი სქესის, 46 წლის, ისტორიის ნომერი 7, კლინიკა „უნიკალში“ შემოვიდა 12.01.2007-ში. დიაგნოზი: კალკულოზური, ფლეგმონური ქოლეცისტიტი, ადგილობრივი სეროზული პერიტონიტი, შაქრიანი დიაბეტი. სტანდარტული პრეოპერაციული კვლევებისა და სანმოკლე მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: მინილაპაროტომიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს სანაცია, დრენირება. ოპერაციის სანგრძლივობამ შეადგინა 40 წთ. პოსტოპერაციული პერიოდი გართულდა ინტრააბდომინური (დვიძლქვეშა) ინფილტრატით. ინტენსიური კონსერვატიული მკურნალობით თავიდან იქნა არიდებული ინფილტრატის აბსცედირება, მოხერხდა ინფილტრატის ალაგება. პოსპიტალიზაციის სანგრძლივობა იყო 4 საწოლ-დღე. ავადმყოფი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა კლინიკიდან.

ცხრილი 20. პოსტოპერაციული გართულებები მწვავე ქოლეცისტის მქონე პაციენტებში

გართულებები	ლქ	გქ	P value
გართულებები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ*	6 (22.2%)	5(16.7%)	0.33
ხანჭიშესული	3 (11.1%)	2 (6.7%)	
მოხუცი	1 (3.7%)	3 (10%)	
გართულებები სასუნთქი სისტემის მხრივ*	7 (25.9%)	4 (13.3%)	0.1
ხანჭიშესული	2 (7.4%)	2 (6.7%)	
მოხუცი	4 (14.8%)	1 (3.3%)	
ინტრააბდომინური ინფილტრაცი და აბსცესი*	7 (25.9%)	7 (23.3%)	0.5
ხანჭიშესული		1 (3.3%)	
მოხუცი	2 (7.4%)	2 (6.7%)	
პანკრეანეპროზი*	1 (3.7%)	0	
დიპ*	1 (3.7%)	0	
ხანჭიშესული	1 (3.7%)		
სხვა*	5** (18.5%)	14** (46.7%)	0.27
ხანჭიშესული		3 (10%)	
მოხუცი	2 (7.4%)	5 (16.7%)	
სულ***	27 (100%)	30 (100%)	0.436

\*სრული საკვლევი ჯგუფები

\*\*გრაფი „სხვა“ ლქ ჯგუფში მოლიანად წარმოდგენილია ჭრილობის გართულებებით, ხოლო მქ ჯგუფში – 13 ჭრილობის გართულებებითა და 1 ნაწლავთა გახანგრძლივებული პარეზით მოხუც პაციენტთან

\*\*\*ლქ ჯგუფის 3 და მქ ჯგუფის 2 პაციენტთან აღინიშნა 2 ან მეტი გართულება გარდა ზემოთაღნიშნული რეოპერაციებისა (2 რეოპერაცია ლქ ჯგუფში, ბუშტის არტერიიდან სისხლდენის და 2 - მქ ჯგუფში სარეცელიდან სისხლდენის, 1

რეოპერაცია ლქ ჯგუფში სანაღვლე სადინრის დაზიანების გამო) საკვლევ ჯგუფებში შეგვხდა ოპერაციის შემდგომი სხვადასხვა განმეორებითი ჩარევები. ლქ ჯგუფის 10 (0.7%) პაციენტთან მოხდა 13 ჩარევა, ხოლო მქ ჯგუფის 6 (0.4%) პაციენტთან 7 ჩარევა ( $P=0.2$ ). მათგან დიდი უმრავლესობა იყო სანშიშესული (6 ლქ და 3 მქ ჯგუფში) და მოხუცი (2 ლქ და 1 მქ ჯგუფში) პაციენტი. პანკრეონეკროზით გართულებულ ორივე ჯგუფის თითო პაციენტს ჩაუტარდა განმეორებითი ოპერაცია ( $P=0.98$ ). ინგრააბდომინური (დვიძლქვეშა) აბსცესის გამო 6 ლქ და 3 მქ პაციენტს ჩაუტარდა პერკუტანური დრენირება ( $P=0.19$ ). აღნიშნული პაციენტებიდან 2 სანშიშესული და 1 მოხუცი იყო ლქ ჯგუფში, ხოლო თითო სანშიშესული და მოხუცი – მქ ჯგუფში. როდესაც აღნიშნული მანიპულაციის შედეგი აღმოჩნდა არაეფექტური ან არადამაკმაყოფილებელი, ანუ 3 ლქ და 1 მქ შემთხვევაში, ჩატარდა რეოპერაცია ( $P=0.17$ ). მოცემული პაციენტებიდან თითო მოხუცი და სანშიშესული იყო ლქ, ხოლო 1 სანშიშესული – მქ ჯგუფში. სანშიშესულ და მოხუც პაციენტთა  $P$  value არ აღმოჩნდა მთლიანი საკვლევი ჯგუფების იგივე მაჩვენებლისაგან განსხვავებული (ცხრილი 21).

შემთხვევა მქ ჯგუფიდან: პაციენტი ქ.მ., მდედრობითი სქესის, 58 წლის, სმი 32.8, ისტორიის ნომერი 78, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემოვიდა 17.01.2006-ში დიაგნოზით: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი. სათანადო კვლევების ჩატარების შემდეგ შესრულდა გეგმიური ოპერაცია: მინილაპაროტომია, სინექიოლიზისი (აღინიშნებოდა მრავლობითი, უხეში შეხორცებები ნაღვლის ბუშტს, ღვიძლის ქვემო ზედაპირსა და კუჭს, თორმეტგოჯა ნაწლავს, განივ კოლინჯს, დიდ ბადექონს შორის) ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის ღრუს დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობა იყო 90 წუთი. პოსტოპერაციული პერიოდი გართულდა პანკრეონეკროზის განვითარებით. 20.01.2006-ში შესრულდა რეოპერაცია: ლაპაროტომია, რევიზია, ბადექონის აბგისა და პერიტონეუმის ღრუს სანაცია, დრენირება. ავადმყოფს უტარდებოდა ინტენსიური კონსერვატიული მკურნალობა, მათ შორის 5 დღის განმავლობაში, რეანიმაციულ განყოფილებაში. პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 15 საწოლ-დღე. ავადმყოფი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა კლინიკიდან.

ცხრილი 21. ორ საკვლევ ჯგუფში წარმოებული ოპერაციის შემდგომი განმეორებითი ჩარევები

ჩარევა	ლქ ჯგუფი	მქ ჯგუფი	Pvalue
პერკუტანური დრენირება ინტრააბდომინური (ღვიძლქვეშა) აბსცესის გამო*	6 (46.1%)	3 (42.8%)	0.19
ხანშიშესული	2 (15.4%)	1 (14.3%)	
მოხუცი	1 (7.7%)	1 (14.3%)	
რეოპერაცია ინტრააბდომინური (ღვიძლქვეშა) აბსცესის გამო*	3 (23.1%)	1 (14.3%)	0.17
ხანშიშესული	1 (7.7%)	1 (14.3%)	
მოხუცი	1 (7.7%)	0	
რეოპერაცია პანკრეონეკროზის გამო*	1 (7.7%)	1 (14.3%)	0.98
რეოპერაცია ბუშტის სარეცელიდან სისხლდენის გამო*	0	2 (28.6%)	0.16
ხანშიშესული		1 (14.3%)	
რეოპერაცია ბუშტის არტერიიდან სისხლდენის გამო*	2 (15.4%)	0	1.15
ხანშიშესული	2 (15.4%)		
რეოპერაცია ნალვლის საერთო სადინრის დაზიანების გამო*	1 (7.7%)	0	0.31
ხანშიშესული	1 (7.7%)		
სულ**	13 (100%)	7 (100%)	0.2

\*სრული საკვლევი ჯგუფები

\*\*ლქ ჯგუფის 10 პაციენტთან და მქ ჯგუფის 6 პაციენტთან იყო წარმოებული 2 ან მეტი ჩარევა

მწვავე ქოლეცისტიზის მქონე პაციენტებში, გარდა ზემოთაღნიშნულისა (2 რეოპერაცია ლქ ჯგუფში ნაღვლის ბუშტის არტერიიდან სისხლდენის გამო), პოსტოპერაციული არადაგეგმილი ჩარევები და/ან ოპერაციები შესრულდა 7 (მწვავე შემთხვევების 3.3%) ლქ ჯგუფისა და 3 (მწვავე შემთხვევების 0.9%) მქ ჯგუფის ავადმყოფებში ( $P=0.053$ ). ლქ ჯგუფის 3 და მქ ჯგუფის 1 პაციენტთან შესრულდა ორ-ორი ჩარევა. ლქ ჯგუფში პანკრეონეკროზით გართულებულ პაციენტთან საჭირო გახდა რეოპერაცია. ინტრააბდომინური (დვიძლქვეშა) აბსცესის გამო პერკუტანური დრენირება შესრულდა ლქ ჯგუფის 4 და მქ ჯგუფის 3 პაციენტთან. ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული მანიპულაციის შედეგი იყო არადამაკმაყოფილებელი, ლქ ჯგუფის 2 და მქ ჯგუფის 1 პაციენტთან შესრულდა რეოპერაციები. ცალ-ცალკე, რეოპერაციების მიხედვით *Pvalue* არ იქნა დათვლილი რაოდენობის სიმცირის გამო (ცხრილი 22).

შემთხვევა ლქ ჯგუფიდან: პაციენტი ხ.გ., მდედრობითი სქესის, 50 წლის, სმი 49, ისტორიის ნომერი 24, ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლითოტრიფსიის რესპუბლიკურ ცენტრში შემოვიდა 19.02.2003-ში. ჩატარდა სათანადო კვლევები. დიაგნოზი: ფლეგმონური, კალკულოზური ქოლეცისტიზი, დიფუზური ჩირქოვან-ფიბრინული პერიტონიტი. ხანმოკლე წინასაოპერაციო მომზადების შემდეგ შესრულდა სასწრაფო ოპერაცია: ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, პერიტონეუმის დრუს სანაცია, დრენირება. ოპერაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 1 სთ. პოსტოპერაციულ პერიოდში ავადმყოფის მდგომარეობა დამბიმდა. აღინიშნა გართულებები: მწვავე პანკრეატიზი, პანკრეონეკროზი, ორმხრივი ბრონქოპენევმონია. 23.02.2003-ში შესრულდა რეოპერაცია: ლაპაროტომია, ქოლედოქუსის გარეთა დრენირება, ნაზოინტესტინური ინტუბაცია, დეკომპრესია, ბადექონის აბგისა და პერიტონეუმის დრუს სანაცია, დრენირება. პოსტოპერაციულ პერიოდში ავადმყოფის მდგომარეობა იყო მძიმე. მას უტარდებოდა ინტენსიური კონსერვატიული მკურნალობა რეანიმაციულ განყოფილებაში. მოხერხდა პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაცია. ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობამ შეადგინა 38 საწოლ-დღე.

ცხრილი 22. ორი საკვლევი ჯგუფის მწვავე შემთხვევებში წარმოებული ოპერაციის შემდგომი განმეორებითი ჩარევები

ჩარევა	ლქ	გქ	Pvalue
პერკუტანური დრენირება ინტრააბდომინური (ღვიძლქვეშა) აბსცესის გამო* ხანშიშესული მოხუცი	4 (1.9%)  1 (0.5%)	3 (0.9%)  1 (0.3%)  1 (0.3%)	
რეოპერაცია ინტრააბდომინური (ღვიძლქვეშა) აბსცესის გამო* ხანშიშესული მოხუცი	2 (0.9%)  1 (0.5%)	1 (0.3%)  1 (0.3%)	
რეოპერაცია პანკრეონეკროზის გამო*	1 (0.5%)		
რეოპერაცია ნალვლის ბუშტის არტერიიდან სისხლდენის გამო* ხანშიშესული	2 (0.9%)  2 (0.9%)		
სულ**	9 (100%)	4 (100%)	0.053

\*სრული საკვლევი ჯგუფები

\*\*ლქ ჯგუფის 3 პაციენტთან და მქ ჯგუფის 1 პაციენტთან იყო წარმოებული 2 ან მეტი ჩარევა

საკვლევ ჯგუფებში სხვადასხვა ქირურგიული ჩარევის შედეგად მიღებული გართულებების სიმძიმის ხარისხის შესაფასებლად და მათ შესადარებლად გამოვიყენეთ Clavien-Dindo-ს კლასიფიკაცია. მოცემული კლასიფიკაციის მიზანია ოპერაციის შემდგომ გართულებათა სისტემატიზირება ოპერაციის შედეგების ნათელყოფისათვის და ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ხარისხის გართულების

კორეგირებისათვის საჭირო მკურნალობის სხვადასხვა ტიპის მიხედვით. განარჩევენ 5 ხარისხს. I ხარისხი – ნორმალური პოსტოპერაციული მიმდინარეობიდან ნებისმიერი გადახრა, რომელსაც არ ჭირდება სპეციფიური ფარმაკოლოგიური, ქირურგიული, ენდოსკოპიური ან რადიოლოგიური ჩარევა. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გულისრევის საწინააღმდეგო, ანტიპირეტული, ანალგეტიური, დიურეზული საშუალებები, ელექტროლიტების ინფუზია, ფიზიოთერაპია. ამ ჯგუფში შედის პოსტოპერაციული ჭრილობის ინფექცია, რომელიც კონტროლირებულია საოპერაციოში გაყვანისა და დამატებითი ქირურგიული ჩარევის გარეშე. II ხარისხი – საჭიროა იმაზე მეტი ფარმაკოლოგიური პრეპარატები, რომლებიც დაშვებულია I ხარისხის გართულებათა შემთხვევაში, მათ შორის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ჰემოტრანსფუზია და სრული პარენტერალური კვება. III ხარისხი – საჭიროა ქირურგიული, ენდოსკოპიური ან რადიოლოგიური ჩარევა. III<sup>o</sup> ხარისხის შემთხვევაში ჩარევა ხდება ზოგადი ანესტეზიის გარეშე, ხოლო III<sup>d</sup> ხარისხის შემთხვევაში – ზოგადი ანესტეზიით. IV ხარისხი – სიცოცხლისათვის საშიში გართულებები (მათ შორის გართულებები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ), რომლებიც მოითხოვს მკურნალობის ჩატარებას რეანიმაციულ („Intensive Care Unit“) განყოფილებაში. IV<sup>o</sup> ხარისხის შემთხვევაში სახეზეა რომელიმე ერთი ორგანოს დისფუნქცია (მათ შორის დიალიზის შემთხვევები), ხოლო IV<sup>d</sup> ხარისხის შემთხვევაში – მულტიორგანული დისფუნქცია. V ხარისხი – ლეტალური შედეგი. სხვადასხვა ხარისხის გართულებას სუფიქსი d ემატება იმ შემთხვევაში, როცა პაციენტის გაწერის მომენტისათვის გართულება არაა კორეგირებული და გართულების ხარისხის სრულად შესაფასებლად საჭიროა შემდგომი დაკვირვება (follow-up).

ჩვენს კვლევაში პაციენტთა გადანაწილება Clavien-Dindo-ს კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია 23-ე ცხრილში. ორი საკვლევი ჯგუფის ხანში შესულ და მოხუც პაციენტებში ერთიდაიგივე მაჩვენებლებს შორის განსხვავება ეთანადებოდა მთლიანი ჯგუფებისათვის გამოთვლილ P Value მონაცემებს. მწვავე ქოლეცისტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტების გადანაწილება Clavien-Dindo-ს კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია 24-ე ცხრილში.

ცხრილი 23. საგვლევი ჯგუფების პაციენტთა გადანაწილება Clavien-Dindo-ს კლასიფიკაციის მიხედვით

ხარისხი	ლქ ჯგუფი	მქ ჯგუფი	P Value
I	20 (1.4%)	25 (1.6%)	0.5
II	61 (4.1%)	47 (4.1%)	0.13
III <sup>a</sup>	6 (0.4%)	2 (0.1%)	0.146
III <sup>b</sup>	7 (0.5%)	2 (0.1%)	0.088
IV <sup>a</sup>	8(0.5%)	0	0.004
IV <sup>b</sup>	3 (0.2%)	0	0.004
სულ*	105 (100%)	76 (100%)	0.035

\*ლქ ჯგუფის 18 და მქ ჯგუფის 2 პაციენტს ერთდღოულად აღენიშნა 2 ან მეტი ინტრა და/ან პოსტოპერაციული გართულებები.

ცხრილი 24. საგვლევი ჯგუფების მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტთა გადანაწილება Clavien-Dindo-ს კლასიფიკაციის მიხედვით

ხარისხი	ლქ ჯგუფი	მქ ჯგუფი	P Value
I	5 (1.4%)	16 (1.6%)	0.116
II	15 (4.1%)	11 (4.1%)	0.064
III <sup>a</sup>	2 (0.4%)	2 (0.1%)	0.691
III <sup>b</sup>	4 (0.5%)	1 (0.1%)	0.069
IV <sup>a</sup>	1 (0.5%)	0	
IV <sup>b</sup>	2 (0.2%)	0	
სულ*	29 (100%)	30 (100%)	0.07

\*ლქ ჯგუფის 2 პაციენტს ერთდღოულად აღენიშნა 2 პოსტოპერაციული გართულება.

საწოლ-დღეებით გამოხატული პოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 1.5 (SD=1.69; 95% CI, 1.4-1.6) და 1.3 (SD=0.74; 95% CI, 1.26-1.34) დღეს, შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P<0.001$ ). საკვლევ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებების მრავალგანზომილებიანი წრფივი რეგრესიული ანალიზით კორეგირების შემდეგ, იგივე პარამეტრი ლქ ჯგუფისათვის გაიზარდა 0.3 საწოლ-დღით და შეადგინა 1.8, ხოლო მქ ჯგუფისათვის შემცირდა ასევე 0.3 საწოლ-დღით და შეადგინა 1 საწოლ-დღე ( $P<0.001$ ). პაციენტებში, რომელთა ოპერაცია დამთავრდა მინიმუმაზე მინიმუმად (არ მომხდარა კონვერსია), პოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 1.4 (SD=1.58; 95% CI, 1.3-1.5) და 1.2 (SD=0.68; 95% CI, 1.17-1.23) საწოლ-დღეს, შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P<0.001$ ). იმ პაციენტებში, რომელთა ოპერაცია დამთავრდა კონვერსიით იგივე პარამეტრი შეადგენდა 4.8 (SD=1.49; 95% CI, 4.37-5.23) და 3.7 (SD=0.88; 95% CI, 3.32-4.08) საწოლ-დღეს, შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P=0.002$ ). საკვლევი ჯგუფების ხანშიშესული პაციენტებისათვის პოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობამ ლქ ჯგუფში შეადგინა 1.7, მქ ჯგუფში კი 1.3 საწოლ-დღე ( $P=0.025$ ). იგივე პარამეტრი მოხუცი პაციენტებისათვის იყო 1.5 და 1.6 საწოლ-დღე, შესაბამისად ლქ და მქ ჯგუფებისათვის ( $P=0.46$ ). მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტთა შორის პოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 1.8 და 1.5 საწოლ-დღეს ლქ და მქ ჯგუფებისათვის, შესაბამისად ( $P=0.01$ ). საკვლევი ჯგუფების მწვავე პათოლოგიის მქონე პაციენტთა შორის არსებული განსხვავებების მრავალგანზომილებიანი წრფივი რეგრესიული ანალიზით კორეგირების შემდეგ, იგივე პარამეტრი ლქ ჯგუფისათვის გაიზარდა 0.24 საწოლ-დღით და შეადგინა 2.04, ხოლო მქ ჯგუფისათვის შემცირდა ასევე 0.24 საწოლ-დღით და შეადგინა 1.75 საწოლ-დღე ( $P<0.001$ ). ოპერაციის შემდგომ 30 დღის განმავლობაში არ ყოფილა რეპოსპიტალიზაციის ან სიკვდილის შემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურმა ანლიზმა აჩვენა ყველა ზემოთმოყვანილი, საერთო თუ ცალკეული პარამეტრის ძალიან მაღალი გალიდობა და სანდოობა -  $R=0.678$ .

ჩვენი კვლევის საფუძველზე ასაკის, ასევე ძირითადი და თანმხლები დაავადებების სიმბიმის მიხედვით დაყოფილ პაციენტთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის

ჩამოვაყალიბოთ ქოლელითიაზისა და მისი გართულებების ქირურგიული მკურანალობის ალგორითმი (ცხრილი 25). მოცემული ალგორითმის მიხედვით, მინიჭაპაროგომიული მიღება შეიძლება ჩაითვალოს ლაპაროსკოპიული მეთოდის სრულფასოვან ალტერნატივად, გარკვეულ შემთხვევებში, ანუ ოპერაციის მაღალი რისკ-ჯგუფის მქონე პაციენტებში, აგრეთვე, ძირითადი დაავადების მძიმე გართულებების შემთხვევაში კი, ე.წ. “არჩევის ოპერაციად”, რაც გვაძლევს საშუალებას ჩარევა ვაწარმოოთ მინინვაზიურად.

**ცხრილი 25. ქოლელითიაზისა და მისი გართულებების ქირურგიული მკურანლობის  
ალგორითმი**

პაციენტი	თანმხლები დაავადებები	ძირითადი დაავადება	მკურნალობის მეთოდები
60 წლამდე ასაკის მქონე პაციენტები	სხვაგვარად ჯანმრთელი ან მსუბუქი თანმხლები დაავადებები	ქოლელითიაზის ნებისმიერი ფორმა	ლქ და მქ ერთნაირად მისაღებია
	მძიმე თანმხლები დაავადებები	ქოლელითიაზის ნებისმიერი ფორმა	მქ მეტად მისაღებია
60-დან 70 წლამდე ასაკის მქონე პაციენტები (ხანშიშესული)	სხვაგვარად ჯანმრთელი ან მსუბუქი თანმხლები დაავადებები	სიმპტომური	ლქ და მქ ერთნაირად მისაღებია
		დესტრუქციული ქოლეცისტიტი ან ძირითადი დაავადების სხვა გართულებები	მქ არის “არჩევის ოპერაცია”
	მძიმე თანმხლები დაავადებები	სიმპტომური დესტრუქციული ქოლეცისტიტი	მქ მქ ან პერკუტანული დოკუმენტირება და შემდგომ მქ
70 წელზე მეტი ასაკის მქონე პაციენტები (მოხუცი)	სხვაგვარად ჯანმრთელი ან მსუბუქი თანმხლები დაავადებები	სიმპტომური	მქ არის “არჩევის ოპერაცია”
		დესტრუქციული ქოლეცისტიტი ან ძირითადი დაავადების სხვა გართულებები	მქ არის “არჩევის ოპერაცია”
	მძიმე თანმხლები დაავადებები	სიმპტომური დესტრუქციული ქოლეცისტიტი	მქ მქ ან პერკუტანული დოკუმენტირება და შემდგომ მქ

## 5.დისკუსია

ჩვენს კვლევაში, ჯგუფებში პაციენტთა გადანაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავებული. სმი-ის მიხედვით აღინიშნებოდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. იგი უფრო მაღალი ლქ ჯგუფის პაციენტებში აღმოჩნდა, თუმცა საშუალო რიცხვები თითქმის თანაბარი იყო (27.5 – ლქ ჯგუფში და 27 – მქ ჯგუფში). ცალკე აღებულ, მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტებში ასაკობრივი მეტობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო მქ ჯგუფში, ხოლო სმი-ის მიხედვით – აღინიშნა თანაბრობა. მწვავე შემთხვევათა რაოდენობა მნიშვნელოვნად მაღალი იყო მქ ჯგუფის პაციენტებში. საკვლევ ჯგუფებში მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმების მოელი რაოდენობის მესამედზე მეტი მოდიოდა მქ ჯგუფის, ხოლო თითქმის მესამედი - ლქ ჯგუფის ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებზე. მქ ჯგუფში მწვავე ქოლეცისტიტები ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებზე თითქმის თანაბრად იყო გადანაწილებული, ხოლო ლქ ჯგუფში მოხუც პაციენტებზე მწვავე შემთხვევების მხოლოდ მეოთხედი მოდიოდა. მწვავე ქოლეცისტიტის დესტრუქციული ფორმების მქონე პაციენტთა რაოდენობა, როგორც მთლიანი საკვლევი ჯგუფების ავადმყოფებს, ასევე ხნიერ და მოხუც პაციენტებს შორის არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავებული. თუმცა, რაოდენობრივად, მწვავე ქოლეცისტიტის დესტრუქციული ფორმების რაოდენობა სჭარბობდა მქ ჯგუფის პაციენტებში. საკვლევი ჯგუფების ფლეგმონური ფორმის მქონე ხანშიშესული პაციენტების რაოდენობებს შორის სტატისტიკურად არ იყო განსხვავება. იგივე ფორმის მქონე მოხუცი პაციენტები რაოდენობრივად ორჯერ სჭარბობდნენ მქ ჯგუფში. თუმცა აღნიშნულმა არ მოგვცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც თავისდათავად განპირობებული იყო პაციენტთა მცირე რაოდენობით, მთელი საკვლევი ჯგუფების პაციენტების რაოდენობასთან შედარებით. ქოლეცისტიტის განგრენული ფორმის მქონე პაციენტთა რაოდენობა, როგორც ხანშიშესულ, ასევე მოხუც პაციენტებში, მეტი იყო მქ ჯგუფში. თუმცა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არც ამ შემთხვევაში იქნა ნანახი, რაც იგივე მიზეზით აიხსნება. მწვავე დესტრუქციული ფორმებიდან ორივე ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებში დომინირებდნენ ფლეგმონური ფორმის მქონე

პაციენტები. მოხუც პაციენტებს შორის, ლქ ჯგუფში რაოდენობრივად, თუმცა არა სტატისტიკურად, სჭარბობდნენ კვლავ ფლეგმონური ფორმის მქონენი, მქ ჯგუფში კი რაოდენობრივადაც და სტატისტიკურადაც თითქმის თანაბრობა აღინიშნებოდა.

პაციენტების მიერ ქოლეცისტექტომიამდე გადატანილი დაავადებებისა და/ან ოპერაციების რაოდენობის მიხედვით არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. ასევე არ იყო განსხვავება ჯგუფებში ცალკეულ გადატანილ დაავადებებსა და ოპერაციებს შორის. ამავე დროს, არ იქნა ნანახი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გადატანილი დაავადებებისა და/ან ოპერაციების მიხედვით ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებს, აგრეთვე, - მწვავე ქოლეცისტის სხვადასხვა ფორმების მქონე პაციენტებს შორის. ორივე ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებზე მთელი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა მიერ გადატანილი დაავადებების მესამედზე მეტი მოდიოდა, ხოლო მოხუც პაციენტებზე – თითქმის მეხუთედი.

თანმხლები დაავადებების რაოდენობის მიხედვით არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მთლიანი საკვლევი ჯგუფების პაციენტებს შორის. ასევე, არ იყო განსხვავება ჯგუფებში ცალკეულ თანმხლებ დაავადებებს შორის. მწვავე პათოლოგიის მქონე პაციენტთა შორის, ასევე არ აღმოჩნდა სტატისტიკური სხვაობა მოცემული პარამეტრის მიხედვით. თანმხლები დაავადებები გაცილებით ხშირად ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში გვხვდებოდა, რაც ლოგიკურია. თვითოვეული ჯგუფის მთელი თანმხლები დაავადებების მესამედი ხანშიშესულ პაციენტებზე მოდიოდა. ლქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე მოცემული ჯგუფის მთელი თანმხლები დაავადებების მეხუთედი, ხოლო მქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე მოცემული ჯგუფის მთელი თანმხლები დაავადებების მესამედი მოდიოდა. საკვლევი ჯგუფების თანმხლები დაავადებების მქონე არც ხანშიშესულ და არც მოხუც პაციენტებს შორის არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. თუმცა, თანმხლები დაავადებების მქონე მოხუცი პაციენტები რაოდენობრივადაც და პროცენტულადაც სჭარბობდნენ მქ ჯგუფში. თვისობრივად, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, ორივე საკვლევ ჯგუფში თითქმის ერთნაირი სახისა და სიმძიმის თანმხლები დაავადებები გვხვდებოდა.

ASA-ს კლასიფიკაციის მიხედვით პაციენტთა გადანაწილებით, ორი საკვლევი ჯგუფის პაციენტებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ იქნა ნანახი. არ აღმოჩნდა განსხვავება საკვლევი ჯგუფების მწვავე ქოლეცისტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტთა გადანაწილებას შორის. ასევე არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება საკვლევი ჯგუფების ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებს შორის. თუმცა, საკვლევი ჯგუფების 18-დან 60 წლამდე პაციენტთა პროცენტულ რაოდენობასთან შედარებით, საკვლევი ჯგუფების ხანშიშესული და მოხუცი პაციენტების მეტი პროცენტული რაოდენობა აღმოჩნდა ASA 3-4 ჯგუფებში.

ძირითადი ანუ ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებების რაოდენობის მიხედვით (გარდა მწვავე ქოლეცისტის სხვადასხვა ფორმებისა), როგორც ორი საკვლევი ჯგუფის პაციენტთა სრულ რაოდენობას, ასევე ხანშიშესულ და მოხუც ავადმყოფებს შორის აღინიშნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. მქ ჯგუფში იყო როგორც რაოდენობრივად, ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მეტი ძირითადი დაავადების სხვადასხვა გართულების მქონე პაციენტი. თვითონეული ჯგუფის ხანშიშესული პაციენტების დაახლოებით მეოთხედი მოდიოდა ლქ, ხოლო მესამედზე მეტი – მქ ჯგუფზე. მოხუც პაციენტებს შორის აღინიშნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განსხვავება. ასე მაგალითად, ლქ ჯგუფის მოხუც პაციენტთა მხოლოდ მეშვიდედზე მოდიოდა ნაღვლკენჭოვანი დაავადების გართულებები, მაშინ, როცა მქ ჯგუფის მეოთხედს აღინიშნა ძირითადი დაავადების სხვადასხვა გართულება. მქ ჯგუფის მწვავე შემთხვევებში ასევე აღინიშნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მეტობა მოცემული პარამეტრით.

ინტრაპერაციულად, ქოლეცისტექტომიასთან ერთად წარმოებული დამატებითი მანიპულაციების რიცხვის მიხედვით, როგორც მთლიანად საკვლევი ჯგუფების პაციენტთა, ასევე ხანშიშესულ და მოხუც ავადმყოფთა შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ იქნა ნანახი. ლქ ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებზე აღნიშნულ ჯგუფში წარმოებული მანიპულაციების ორი მეხუთედი, ხოლო მქ ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებზე – მესამედი მოდიოდა. ლქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე აღნიშნულ ჯგუფში წარმოებული მანიპულაციების მეათედი, ხოლო მქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე – მეოთხედი მოდიოდა. სხვადასხვა მანიპულაციის წარმოებისას

კონვერსია საჭირო გახდა ლქ ჯგუფში შესრულებულ მთელ მანიპულაციათა დაახლოებით მექქსედ, ხოლო მქ ჯგუფის მეათედზე ნაკლებ შემთხვევაში. ასევე, არ იქნა ნანახი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ორი საკვლევი ჯგუფის მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტთა შორის.

ინტრაოპერაციულ გართულებათა რაოდენობის მიხედვით ნანახი იქნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. როგორც რაოდენობრივად, ასევე სტატისტიკურად მეტი ინტრაოპერაციული გართულება აღმოჩნდა ლქ ჯგუფში. ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მეტობა აღინიშნა ლქ ჯგუფის მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტებში. ოვითოეულ ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებზე მოცემული ჯგუფის ინტრაოპერაციულ გართულებათა მესამედი მოდიოდა. რაც შეეხება მოხუც პაციენტებს, ლქ ჯგუფში რეგისტრირებული ინტრაოპერაციული გართულებების მეხუთედზე მეტი მოდიოდა. მქ ჯგუფის მოხუც პაციენტთა შორის ინტრაოპერაციულ გართულებებს ადგილი არ ჰქონია. გართულებათა სიმძიმის მიხედვით, ლქ ჯგუფში უფრო მძიმე ხასიათის გართულებები იყო, რაც უფრო თვალნათელი ხანშიშესულ, განსაკუთრებით კი მოხუც პაციენტებში აღმოჩნდა. ლქ ჯგუფში აღინიშნა სანაღვლე გზების ინტრაოპერაციული დაზიანება, რასაც არ ჰქონია ადგილი მქ ჯგუფში. ინტრაოპერაციულ გართულებათა კორეგირებისათვის ლქ ჯგუფის პაციენტების მეტ რაოდენობასთან გახდა საჭირო კონვერსია.

სხვადასხვა ვალიდური კვლევების მიმოხილვის საფუძველზე მიღებულია შემდეგი შედეგები: ინტრაოპერაციული გართულებების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 13.1% და 7.6%, შესაბამისად ლაპაროსკოპიული და მინიგანაკვეთიდან წარმოებული ოპერაციების შემთხვევაში. ყველაზე ხშირ ინტრაოპერაციულ გართულებას ნაღვლის ბუშტის პერფორაცია მიეკუთვნებოდა. თუმცა, აღნიშნული არ მიეკუთვნება მნიშვნელოვან გართულებათა ტიპს. რაც შეეხება სანაღვლე გზების დაზიანებას, მათი საშუალო რაოდენობა ლაპაროსკოპიული ოპერაციისას აღმოჩნდა 1.2%, ხოლო მინილაპაროტომიული ჩარევისას 1.9%. მიმოხილულ მასალაში ასეთი განსხვავება განპირობებული იყო მინილაპაროტომიისას რეგისტრირებული უცნობი გენეზის ნაღვლუონგის რვა შემთხვევით. გასაგებია, რომ აღნიშნული არ მიეკუთვნება მძიმე გართულებათა კატეგორიას. ამასთან ერთად, მიუხედავად ზემოთმოყვანილი რაოდენობრივი სხვაობებისა, არცერთ შემთხვევაში არ აღინიშნა სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი განსხვავება ორი მინინვაზიური ჩარევიასას რეგისტრირებულ ინგრაოპერაციულ გართულებათა შორის [244].

მთელი საკვლევი ჯგუფებიდან კონვერსიათა რაოდენობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მეტი აღმოჩნდა და ჯგუფში. თუმცა, ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში, ასევე, მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტებში, აღნიშნული განსხვავება ნანახი არ იქნა. კონვერსიათა მიზეზები თრივე ჯგუფში იყო დაახლოებით ერთიდაიგივე.

სხვადასხვა კვლევების მიმოხილვის შედეგად კონვერსიათა პროპორციამ შეადგინა 13.4% და 16.1% ლაპაროსკოპიული და მინილაპაროტომიული ოპერაციებისათვის, შესაბამისად. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ იქნა ნანახი [244].

ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა, როგორც მთლიანი საკვლევი ჯგუფების, ასევე ხანშიშესული და მოხუცი პაციენტებისათვის და მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტებისათვის, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მეტი და ჯგუფში აღმოჩნდა. საკვლევი ჯგუფების პაციენტების საწყის მონაცემთა შორის არსებულ გარკვეულ განსხვავებათა მხედველობაში მიღებისა და მრავალგანზომილებიანი წრფივი რეგრესიული ანალიზით მათი კორეგირების შემდეგ, მოცემული განსხვავება კიდევ უფრო გაიზარდა.

ლიტერატურაში მოძიებული სხვადასხვა კვლევების მეტა-ანალიზის მონაცემებით ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიისას იყო 14.14 წუთით მეტი მინილაპაროტომიულთან შედარებით, რაც იძლეოდა სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვაობას. მაღალი ვალიდობის კვლევებში აღნიშნული განსხვავება ვარირებდა 10.03-დან 16.36 წუთამდე [244, 365].

ოპერაციის შემდგომ არანარკოტიკული ანალგეტიკების გამოყენების ხანგრძლივობაში აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მეტობა, როგორც მთლიან საკვლევ და ჯგუფში, ასევე, ამავე ჯგუფის ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მეტობა აღმოჩნდა აგრეთვე და ჯგუფის მწვავე პათოლოგიის მქონე პაციენტებში. ნარკოტიკული ანალგეტიკები გამოყენებულ იქნა პაციენტთა მცირე რაოდენობასთან, მათ შორის კი და ჯგუფის მეტ პაციენტთან. მათი გამოყენების ხანგრძლივობა სტატისტიკურად მეტი და ჯგუფში აღმოჩნდა. ჩვენი კვლევისაგან განსხვავებით, ლიტერატურაში მოძიებულმა

მასალაშ აჩვენა ლაპაროსკოპიული ჩარევის დროს ტკივილის ნაკლები ხანგრძლივობა ოპერაციის შემდგომი პირველი კვირის განმავლობაში [384].

ლქ ჯგუფის მეტ პაციენტს აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის პოსტოპერაციული გართულება, რაც სტატისტიკურად აისახა მნიშვნელოვანი განსხვავების ზღვარზე ( $P=0.05$ ). საკვლევი ჯგუფების მწვავე ქოლეცისტიტის სხვადასხვა ფორმის მქონე პაციენტთა შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ აღინიშნა. ორივე საკვლევი ჯგუფის ხანშიშესულ პაციენტებზე თვითონული ჯგუფის ოპერაციის შემდგომ გართულებათა მთლიანი რაოდენობის დაახლოებით მესამედი მოდიოდა და მათ შორის არ აღინიშნებოდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. ლქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე მოცემული ჯგუფის პოსტოპერაციულ გართულებათა მესამედზე მეტი, ხოლო მქ ჯგუფის მოხუც პაციენტებზე – მესამედი მოდიოდა. ამ შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიჭარბე ლქ ჯგუფის მოხუც პაციენტებში აღინიშნა. სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მეტი გულ-სისხლძარღვთა პოსტოპერაციული გართულება აღმოჩნდა ლქ ჯგუფში. ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში ოპერაციის შემდგომი გართულებები დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით უფრო მძიმედ მიმდინარეობდა. მათ შორის ლქ ჯგუფის პოსტოპერაციული გართულებები მქ ჯგუფთან შედარებით უფრო პრობლემური აღმოჩნდა.

ლიტერატურაში მოძიებული კვლევის მონაცემების მიხედვით თუნდაც ერთი პოსტოპერაციული გართულება აღმოაჩნდა ლაპაროსკოპიული ჩარევის შემდგომ პაციენტთა მთელი რაოდენობის  $16.3\%-ს$ , ხოლო მინილაპაროტომიული ჩარევის შემდგომ -  $17.4\%-ს$ . აღნიშნული არ აისახა სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვაობაში [384]. გართულებათა მთელს რაოდენობას შორის პროპორციამ შეადგინა  $26.6\%$  და  $22.9\%$ , შესაბამისად ლაპაროსკოპიული და მინილაპაროტომიული ოპერაციების შემთხვევებში. მოცემულმა მაჩვენებლებმა არ მოგვცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება [244].

ოპერაციის შემდგომ წარმოებული სხვადასხვა ჩარევისა და რეოპერაციების რაოდენობის მიხედვით ორი საკვლევი ჯგუფის პაციენტებს შორის არ აღინიშნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. ასევე, არ აღინიშნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მწვავე პათოლოგიის მქონე პაციენტებს შორის. აღსანიშნავია, რომ მთლიანი საკვლევი ჯგუფების პაციენტების დიდი უმრავლესობა,

რომელთაც დასჭირდათ პერკუტანური დრენირება ან რეოპერაცია, იყო ხანშიშეული ან მოხუცი. ლქ ჯგუფში, განსხვავებით მქ ჯგუფისაგან, საჭირო გახდა რეოპერაციის წარმოება სანაღვლე სადინრის დაზიანების გამო. ლიტერატურულ კვლევათა მიმოხილვის მიხედვით რეოპერაციათა პროპორცია ორივე ტიპის ოპერაციისათვის იყო თანაბარი და შეადგენდა 1.6%-ს [244].

ოპერაციის შემდგომ მიღებული გართულებების სიმძიმის ხარისხის შესაფასებლად და მათ შესადარებლად გამოვიყენეთ Clavien-Dindo-ს კლასიფიკაცია. აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა IV<sup>o</sup> და IV<sup>d</sup> ხარისხის შემთხვევაში. ლქ ჯგუფში აღინიშნა მძიმე გართულებები, მაშინ, როცა მქ ჯგუფში არ იყო მოცემული ხარისხის არც ერთი გართულება. უფრო ნაკლები ხარისხის გართულებების შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ იქნა ნანახი. სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით უფრო მეტი და უფრო მაღალი ხარისხის გართულებები აღინიშნა ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში. მოცემული კლასიფიკაციის არც ერთი ხარისხის შემთხვევაში, ორი ჯგუფის მწვავე პათოლოგიის მქონე პაციენტებს შორის არ აღინიშნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება.

ოპერაციის შემდგომ სტაციონარში გატარებული საწოლ-დღეების საშუალო რაოდენობის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ლქ ჯგუფის მეტობით აღინიშნა. წრფივი რეგრესიული ანალიზით საკვლევი ჯგუფების პაციენტებს შორის საწყის მონაცემთა განსხვავების კორეგირების შემდგომ, აღნიშნული სხვაობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მინიმაზიურად დამთავრებული ოპერაციებისა და კონვერსიის შემთხვევებში საწოლ-დღეების ცალკალკი დათვლისას ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა ასევე მეტი იყო ლქ ჯგუფში. ხანშიშესულ პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მეტი ასევე ლქ ჯგუფში აღმოჩნდა. ოუმცა მოხუც პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელს სტატისტიკურად არ მოუცია რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება. ცალკალკი აღებული, ორი საკვლევი ჯგუფის მწვავე ქოლეცისტიტის მქონე პაციენტებს შორის ლქ ჯგუფში აღინიშნა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა.

განსხვავებით ჩვენი კვლევისაგან, სხვა მონაცემებით, ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის შემდგომი პოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა ნაკლებია მინილაპაროტომიულთან შედარებით [365]. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მაღალი ხარისხის რანდომიზირებულ კვლევებში არ გვხვდება მნიშვნელოვანი განსხვავება ორი მინიონგაზიური ოპერაციის შემდგომი პოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობაში, მაშინ, როდესაც შედარებით დაბალი ხარისხის კვლევებში ლაპაროსკოპიული ჩარევის შემდგომი მაჩვენებლები, მინილაპაროტომიულთან შედარებით, უკეთესია [244].

ოპერაციის შემდგომი 30 დღის განმავლობაში არცერთ საკვლევ ჯგუფში არ იყო რეპოსპიტალიზაციისა ან გარდაცვალების შემთხვევა.

## 5. დასკვნები

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა მთელი რიგი დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების გაკეთების შესაძლებლობა.

1. ნათლად წარმოჩნდა მინინვაზიურ ტექნოლოგიათა პოტენცია და რიგი უპირატესობები, მათი შესაძლებლობები ტრადიციულ, კლასიკურ ჩარევასთან შედარებით. ასევე, დადასტურდა ის ძირითადი დებულება, რომ ლაპაროსკოპია და მინილაპაროგომია არათუ არ გვევლინება ერთმანეთის კონკურენტ ტექნოლოგიად, არამედ მოიაზრება, როგორც ორი სრულყოფილი მინინვაზიური მეთოდი, რომელიც შეიძლება დაახლოებით თანაბარი წარმატებით იქნას გამოყენებული სხვადასხვა სიტუაციებში და რომლებიც აგსებენ რა ერთმანეთს, გვევლინებიან ტრადიციული ლაპაროგომის რაოდენობათა შემდგომი შემცირების საკმაოდ ეფექტურ ხერხად.

2. დადასტურდა თავში მოცემული დებულება, რომ ნადვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მქონე პაციენტთა ოპერაციული მკურნალობის სხვადასხვა რისკის ჯგუფების გამოყოფით და მათთვის ოპტიმალური მინინვაზიური მეთოდის შერჩევით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ რიგი ინტრა- და პოსტოპერაციული გართულებები, ოპერაციის ადექვატურობის, რადიკალიზმის შენარჩუნებით მივიღოთ მკურნალობის უკეთესი შედეგები.

3. გამოიკვეთა პაციენტთა რისკ ჯგუფები. ოპერაციული მკურნალობისათვის მაღალი რისკის მქონე პაციენტებში, ანუ ე.წ. “რთულ ავადმყოფებში” ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია, მინილაპაროგომიულთან შედარებით წარმოჩნდა, როგორც მეტი საფრთხის მატარებელი. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ აღნიშნულ შემთხვევაში ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომია შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული, მინილაპაროგომიული ჩარევისას ზოგიერთი პარამეტრი აღმოჩნდა უკეთესი, რაც ზოგადად ეთანადება რეგიონულ თუ უცხოურ, ფართო ლიტერატურულ მასალაში მოძიებულ შედეგებს.

4. მიუხედავად ლაპაროსკოპიული ოპერაციების დიდი შესაძლებლობებისა, ნაღვლკენჭოვანი დაავადების გარკვეული გართულებების (მაგ. სხვადასხვა ფორმის დესტრუქციული ქოლეცისტიტი, მირიზის სინდრომი, ქოლედოქოლითიაზი, შეჭმუნებული ნაღვლის ბუმბი, პერიგეზიკულური ინფილტრატი და აბსცესი,

ქოლეცისტოდუოდენური ფისტულა, სხვადასხვა სახის პერიტონიტი და სხვა) შემთხვევაში, მინილაპაროგომიასთან შედარებით დადასტურებულად მეტი ინტრა თუ პოსტოპერაციული გართულება, აგრეთვე კონვერსიათა მეტი რაოდენობა მოდის ლაპაროსკოპიაზე. შედეგად, მოცემული სახის პაციენტებში მეტია ოპერაციის ხანგრძლივობა, ასევე მაღალია ოპერაციის შემდგომ მანიპულაციათა ან რეოპერაციათა საჭიროების რისკი.

5. პაციენტები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის მძიმე გადატანილი თუ თანხლები დაავადებები (განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის მხრივ), ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის წარმოებისას, პნევმოპერიტონულის მიზეზით იმყოფებიან მრავალფეროვანი ზოგადი გართულებების განვითარების გარკვეული რისკის ქვეშ. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ხანშიშესულ და მეტადრე, მოხუც პაციენტებში. ეს დადასტურდა ჩვენს კვლევაში, როცა მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მეტი გართულება ლქ ჯგუფის მოხუც პაციენტებში. ასევე, Clavien-Dindo-ს კლასიფიკაციის მიხედვით, IV<sup>o</sup> და IV<sup>d</sup> ხარისხის გართულებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მეტი აღმოჩნდა ლქ ჯგუფის პაციენტებში, რომელთაგან უმეტესობას ხანშიშესული ან მოხუცი ავადმყოფები წარმოადგენდნენ.

6. ნაკლები ოპერაციული რისკის მქონე პაციენტთა ჯგუფებში ორივე მინიონვაზიური მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას თითქმის თანაბარი წარმატებით.

7. ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე ქვეყნებისათვის, რომელთაც სამწუხაროდ ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა და ზოგადად რეგიონი მიეკუთვნება, განსაკუთრებით კი პერიფერიული კლინიკებისათვის, მინილაპაროგომიული ქოლეცისტექტომია ის არჩევის მეთოდია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩარევები ვაწარმოოთ მინიონვაზიურად, რითაც სრულად წარმოჩნდება მინიონვაზიური ტექნოლოგიების უპირატესობა ტრადიციულ ლაპაროგომიასთან შედარებით. მინილაპაროგომიული მეთოდისათვის საჭირო ინსტრუმენტების შეძენა გაცილებით, დაახლოებით 8-10-ჯერ, იაფი ჯდება ლაპაროსკოპიისათვის საჭირო ენდოვიდეოტექნიკისა და ინსტრუმენტების (განსაკუთრებით ერთჯერადის) ფასთან შედარებით. მინილაპაროგომიისათვის საჭირო ინსტრუმენტთა მაკომპლექტებლების შეცვლა საჭირო ხდება ძალზე იშვიათად და ასევე, მრავალჯერ იაფი და

ხელმისაწვდომია. შედეგად, მინილაპროტომიული მეთოდის თვითდებულების მნიშვნელოვანი სიმცირე მეტად აქტუალურს ხდის მინილაპაროტომიას, განსაკუთრებით ზემოთაღნიშნული ტიპის ქვეყნებისათვის.

8. პრაქტიკოსი ქირურგისათვის, ლაპაროსკოპიული ტექნიკის ათვისებასა და დახვეწისთან შედარებით, მინილაპაროტომიული მეთოდის შესწავლა გაცილებით იაფი და მარტივია. იგი არ მოითხოვს სპეციალურ, მათ შორის მხოლოდ საზღვარგარეთ არსებულ, საკმაოდ ძვირადღირებულ ტრეინინგებზე დასწრებასა და მულიაჟებზე ვარჯიშს, შემდეგ კი ე.წ. “სწავლების მრუდის” გარდაუვალ გავლას სხვადასხვა სირთულის პაციენტებზე. ქირურგი, რომელიც კარგად ფლობს დია წესით ქოლეცისტექტომიის ტექნიკას, თავისუფლად შეძლებს სპეციალური ტრეინინგის გარეშე მინილაპაროტომიით ოპერაციის წარმოებას.

9. ინტრა და პოსტოპერაციული რიგი პარამეტრების უარესი შედეგები თვითონ ლაპაროსკოპიული ტექნოლოგიითაა განპირობებული. მინილაპაროტომიის შემთხვევაში არ არის დაჭიმული კარბოქსიპერიტონეუმთან დაკავშირებული პრობლემები და ამიტომ თავიდანაა აცილებული მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები. მინილაპაროტომიისას გვაქვს ნაღვლის ბუშტის, სანაღვლე გზების, ღვიძლის მიმდებარე უბნის, პანკრეასის თავის, თორმეტგოჯა ნაწლავის, კუჭის ნაწილის პირდაპირი ვიზუალური და პალპატორული კონტროლის, “ფუძიდან” ქოლეცისტექტომიის წარმოების, საჭიროების შემთხვევაში ნაღვლის ბუშტის სარეცელის გაკერვის, სანაღვლე გზების შიდა ფისტულების ლიკვიდაციის, ქოლედოქოტომიის წარმოებისას კი ყველა მოწოდებული მეთოდით მისი დრენირების შესაძლებლობა. მინილაპაროტომიული მიღებობით შესაძლებელია ლაპაროსკოპიული მეთოდითა და მისი ტექნიკური უზრუნველყოფით განპირობებული იატროგენული დაზიანებებისა და ლეტალობის მინიმუმამდე დაყვანა.

10. მინილაპაროტომიის წარმოებისას კონვერსიის აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ჭრილობის სწრაფი გაფართოება. ასევე შესაძლებელია ლაპაროსკოპიის წარმოებისას, არა ფართე ლაპაროტომიაზე, არამედ, მინილაპაროტომიაზე გადასვლა. ამ დროს ჩარევა რჩება მინინვაზიური ქირურგიის ფარგლებში.

11. ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით, შესაძლებელი შეიქნა მუცლის ღრუს რევიზია. უნდა აღინიშნოს, რომ რევიზია შესაძლებელია ნებისმიერი ოპტიკური ინსტრუმენტით, მათ შორის თორაკოსკოპით, ცისტოსკოპით, ენდოსკოპით, ბრონქოსკოპით, ანუ ხელმისაწვდომი, მარტივი და იაფია. შესაბამისად, აღწერილი მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც ქალაქის ასევე რეგიონების კლინიკებში.

ამრიგად, შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ მინილაპაროტომიული მეთოდი არის ლაპაროსკოპიული მიდგომის სრულფასოვანი ალტერნატივა, როგორც ნაღვლკენჭოვანი დავადების, ასევე მწვავე ქოლეცისტიტების და ძირითადი დაავადების სხვა გართულებების ქირურგიულ მკურნალობაში. მინილაპაროტომიული მეთოდი არის უფრო მარტივი, უსაფრთხო, სწრაფი და იაფი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყნებისათვის. მოცემულმა კვლევამ გვიჩვენა რიგი მაჩვენებლებით მინილაპაროტომიული მეთოდის უკეთესი შედეგები, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ქოლეცისტიტის დესტრუქციული ფორმების მქონე ხანშიშესულ და მოხუც პაციენტებში. აღნიშნულ მეთოდს აქვს უპირატესობები, ითვლება „არჩევის ოპერაციად“ და გამოყენებადია სიტუაციებში, როცა ლაპაროსკოპია უკუნაჩვენებია ან მისი ტექნიკურად შესრულება გაძნელებულია. ეს გვაძლევს საშუალებას, რომ ჩარევა დარჩეს მინინვაზიურ ჩარჩოებში და შენარჩუნდეს როგორც იდეა. თუმცა, კვლავ აქტუალურია ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მისი მრავალფეროვანი გართულებების მკურნალობაში სხვადასხვა მინინვაზიურ მეთოდთა უპირატესობების შემდგომი კვლევა.

## 6. ლიტერატურის ჩამონათვალი

1. ახმეტელი თ., ძნელაძე ლ., პაპავა რ. ნაღვლკენჭოვანი დაავადება. თბილისი, 1996;
2. ბერიაშვილი ზ., ქოქოსაძე მ., ბერიძე ი., სვანიძე გ., წიგწივაძე გ., გურგენიძე მ. მინილაპაროტომიის შესძლებლობანი ნაღვლკენჭოვანი დაავადების მკურნალობის დროს. რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის მაცნე. 2002;3(12):45-47;
3. თოდუა ფ., გურგენიძე მ., იოსელიანი თ., წიგწივაძე გ. ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოგრაფია სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით სანაღვლე სადინრების ობტურაციის დროს. რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის მაცნე. 3(9),2001,გვ.44;
4. კილაძე მ., ფიფია გ., ხაზარაძე დ., აბულაძე დ., ჭიპაშვილი ლ., ჩართოლანი თ. მუცლის დრუს ორგანოთა პათოლოგიის ლაპაროსკოპიული ქირურგიული მკურნალობა. დიპლომუმებდებომი განათლების სახელმწიფო სამეცნიერო აკადემიის შრომათა კურსული “თეორიული და თეორიული და კლინიკური მედიცინის ნარკოგენები”. თბილისი, 2000,გვ.115-118;
5. კილაძე მ. ქოლელითიაზის ურგენტული მკურნალობა ლაპაროსკოპიული მეთოდით. ექსერიძებული და კლინიკური მედიცინა. თბილისი, 2001,1(4),გვ.14-18;
6. გუზინი გ. და თანაავტ. ქირურგიული დაავადებები. გამოძლიერება “ზოაქტინდედო”. 2001;გვ.639;
7. Баранов Г.А., Решетников Е.А., Харламов Б.В. Мини – инвазивные способы холецистэктомии у больных старших возрастных групп при остром холецистите. *Хирургия. Журнал им. Пирогова.* М.: 2008;6:27-30;
8. Бебуришвили А.Г., Михин С.В., Панин С.И. Технологические составляющие и оценка эффективности применения сочетанных минилапаротомных и лапароскопических операций. *Издательство "Медиа Сфера". Эндоскопическая Хирургия. №4.* 2005;
9. Белокуров Ю.Н.,Рыбачков В.В., Малофеева Э.В. Острый холецистит в пожилом и старческом возрасте. *Вестник хирургии.*1983;№9:с.63-64;
10. Борисов А.Е., Левин Л.А., Лисицын А.А. и соавт. Технические особенности лапароскопической холецистэктомии и ее осложнения. *СПб.: Предпятие Эфа.* 2000; с:162;
11. Борисов А.Е. и соавт. Руководство по хирургии печени и желчевыводящих путей. *Издательство «Скифия».* 2003; том 2; с:558;

12. Брыскин Б.С., Гудков А.Н., Брюнин А.В., Котовчихина Ю.А. Возможности и трудности холецистэктомии из минилапаротомного доступа. *Анналы Хирургической Гепатологии.* 2001;Том6(1):88-98;
13. Быстров С.А., Жуков Б.Н., Бизярин В.О. Миниинвазивные операции в лечении желчнокаменной болезни у пациентов с повышенным операционным риском. *Хирургия. Журнал им. Пирогова.* М. 2010;7:55-59;
14. Ветшов П.С., Чилингарида К.Е., Ипполитов Л.И., Шпаченко Ф.А. Стressовые гормоны при различных вариантах холецистэктомии. *АННАЛЫ ХИРУРГИЧЕСКОЙ ГЕПАТОЛОГИИ.* 2002;Том7(1):94-95;
15. Воросцова О.В.Оперативное лечение острого холецистита у больных пожилого и старческого возраста. *Хирургия.*1981;№1:с.49-52;
16. Гальперин Э.И., Кузовлев Н.Ф. Ятрогенные повреждения желчных протоков при холецистэктомии. *Хирургия.* 1998; N1:с.-5-7;
17. Гурин Н.Н., Логунов К.В., Митичкин А.Е. Лечение острого холецистита. СПб., 1999;с.-96;
18. Дедерер Ю.М., Крылова Н.П., Устинова Г.Г Желчнокаменная болезнь. М.: Медицина, 1983; с.- 172;
19. Дедерер Ю.М., Москвитина Л.Н., Овчинников В.И. и соавт., Холецистит у больных старческого возраста. *Хирургия.*1986;№9:с.93-97;
20. Джаркенов Т.А., Мовчун А.А., Хрусталева М.В., и соавт. Хирургическая тактика у больных хроническим калькулезным холециститом, осложненным холедохолитиазом. *Хирургия. Журнал им. Н.И. Пирогова.* 2004(3);13-7;
21. Добровольский С.Р., Богопольский П.М., Иванов М.П., Малахов А.В., Нагай И.В. Холецистэктомия из минилапаротомного доступа. Учебно-методическое пособие. *Изд-во Российского университета дружбы народов.* Москва. 2004г;
